



ძველის



ბავშობანი 36



სერია: „მატირიალური კულტურის ძეგლები“



ქეკელი ქეკელი ქეკელი

კრებული ოცდამეთექვსმეტი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერიის რედაქტორი — ოთარ თაქთაქიშვილი
Редактор серии — ОТАР ТАКТАКИШВИЛИ
რედაქტორი — ოთარ სანებლიძე
Редактор номера — ОТАР САНЕБЛИДЗЕ

გ ა მ მ დ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ბ რ ი ვ ს ა წ ა ი ს ო ბ რ ა

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, შალვა ამირანაშვილი, ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, თეიმურაზ კანდელაკი, ირაკლი ჯაჭარიაშვილი, ნიკო კაცხოველი, ლევან მატაკაძე, ოთარ სანებლიძე, გიორგი ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

„ისტორიული ძეგლის“ ცნების შესახებ

დიდი დაგვიანებით მაგრამ, ვგონებ მალე, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება თბილისის ისტორიული უბნების, ძეგლების რეგენერაციის მიზნით. ამ მხრივ ჩვენ მეტად ჩამოვრჩით ბევრ სხვა ქალაქს და საქმეს მხოლოდ ასლა ვიწყებთ. ძველი უბნების რეგენერაციისა და რეკონსტრუქციის პროექტის შედგენამდე, მეტად შრომატევადი საკვლევი სამუშაოებია ჩასატარებელი შემორჩენილი ძეგლების გამოვლენის, აღნუსხვისა და შეფასების მიზნით. მაგრამ უნდა შევთანხმდეთ თუ როგორ გვესმის ცნება „ისტორიული ძეგლი“. თითქოს-და აქ საკამათო არაფერია, მაგრამ, სამწუხაროდ ეს ასე არ არის.

მრავალ ჩვენთაგანს, მათ შორის არქიტექტორსაც, „ისტორიულ“ თუ „არქიტექტურულ ძეგლად“ წარმოუდგენია მხოლოდ კონკრეტული ნაგებობა, რომელიც განსაზღვრული ისტორიული ეპოქის ხუროთმოძღვრულ კონცეპციას ასახავს. ასეთ განმარტებას რომ ავეყვით, თბილისში ძეგლების მეტად მცირე რაოდენობა შემოგვრჩებოდა უფრო მეტიც, ზოგიერთი ჩვენთაგანი ძეგლად მხოლოდ უძველეს ხანაში აშენებულ ნაგებობას მიიჩნევს და, ვთქვათ XVIII-XIX საუკუნის ნაგებობას არ სთვლის ასეთად. ზოგიერთისათვის კი ძეგლის ცნება მის მასიურობასთან, კაპიტალურობასთან არის დაკავშირებული. მათთვის უცილობლად ისტორიული ძეგლია სვეტიცხოველი თუ გელათი, მაგრამ არა საცხოვრებელი სახლი, ბონდის ხიდი, წისქვილი, ფაცხა თუ ნალია. ამ გაუგებრობას მრავალ ქვეყანაში შეეწირა არაერთი ძვირფასი კულტურის ძეგლი. ეს საკითხი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ძეგლის ცნება მეტად პრიმიტიულად ესმის ხოლმე ზოგიერთ ქალაქთმშენებელსაც და იმათაც, ვინც ხელმძღვანელობს მშენებლობას, უკავიათ ადმინისტრაციული პოსტები და კონკრეტულად განაგებენ ქალაქების ბედ-იღბალს.

„იუნესკოსთან“ არსებულმა ძეგლთა დაცვის ორგანიზაციამ (იკომოსი) ვენეციაში 1964 წელს მოწვეულ მე-2 საერთაშორისო კონგრესზე შემუშავებულ დოკუმენტში— „ვენეციურ ქარტიაში“ სცადა ჩამოეყალიბებინა „ძეგლის“ ცნების ზოგადი პრინციპები. განვიხილოთ ქარტიის ზოგიერთი დებულება:

ა) „ძეგლის ცნების განსაზღვრა გულისხმობს, ყოველგვარ ობიექტს, რომელიც ინტერესს წარმოადგენს არქეოლოგიური, ესთეტიკური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. ეს განსაზღვრა ითვალისწინებს აგრეთვე ძეგლის ტერიტორიაზე ნაპოვნ საგნებს“.

ბ) „ღირსშესანიშნავი ადგილის განსაზღვრა გულისხმობს ბუნების, ადამიანის ან ბუნებისა და ადამიანის მიერ ერთად შექმნილ ობიექტების ერთობლიობას, რომელთა დაცვას საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს“.

„ქარტიის“ ეს მეტად ძუნწი განსაზღვრები საზოგადოების მრავალფეროვან ინტერესებს მოიცავს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ილუსტრირებასაც მოითხოვს.

ერთი წამით წარმოიდგინეთ შენობებით აფარებული ნარიყალა, რკინა-ბეტონის თანამედროვე ნაგებობა ათენის აკროპოლისზე, სვეტიცხოვლის გარშემო აგებული ტიპიური საცხოვრებელი სახლები, ალავერდის გარშემო აღმოცენებული დასახლება...



ძეგლის ღირსება ცალკეული ნაგებობით იწყება და მთლიანად ისტორიულ ნაგებობებში ვრცელდება. მცხეთის ჯვარი რომ სწორედ იმ ადგილას არ იყოს აღმართული და სხვა გარემოში იყოს მოქცეული, მას სულ სხვა მხატვრული ღირებულება ექნებოდა (თუმცა კი მრავალმხრივ არ დაკარგავდა თავის მნიშვნელობას). ჯვარის მოცულობათა წყობა, მის მიერ დაგვირგვინებულ მთასთან, ახლო და შორეულ ხედებთან ერთად წარმოგვიდგება. აქ ძეგლის ცნებაში თანაბარი მნიშვნელობით შედის შთაბეჭდილება და მისი ხელუბლებელი ფერდობებიც. ჯვარის წარმოდგენა სხვაგვარად, სხვა მეზობლობაში, ბუნების სხვაგვარ ფონზე შეუძლებელია. ანდა სვეტიცხოველი... მის ისტორიულ, არქიტექტურულ-კომპოზიციურ ღირსებებთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია მისი მასშტაბი მთლიანად მცხეთის მიმართ. მისი თანაფარდობა ერთ და ორსართულიან განაშენიანებასთან, გარემო ბუნებასთან არც თუ დიდი ხნის წინ, ჩვენს არქიტექტურულ საზოგადოებას ბრძოლა გადახდა, რათა არ დაეშვა ახალი ხიდის მშენებლობა ტაძრის სიახლოვეს, მისი შუა წელის სიმაღლეზე. ხიდის ავტორები ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან და საოცარი ის არის, რომ თავისი პროექტის განხორციელების იმედი ჯერაც არ დაუკარგავთ. აკი გაშენდა მცხეთის ადმინისტრაციული შენობა მაინცდამაინც საქართველოს სამხედრო გზის ღერძზე, ისე, რომ მცხეთაში ჩრდილოეთიდან შემომსვლელისათვის დაფარა მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობა — სვეტიცხოველი, თითქოს საგანგებოდ, თითქოს არ მოიძებნებოდა სხვა ადგილი. მოსკოვის საზოგადოებრიობა თითქმის შოკის მდგომარეობაში იყო, როდესაც მის თვალწინ აღიმართა სასტუმრო „როსიას“ ვებებერთელა შენობა, რომელმაც გარკვეულად შებღალა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კრემლის და წითელი მოედნის ანსამბლი. ეს გაკეთდა არა რაიმე მზაკვრული განზრახვით, არამედ იმიტომ, რომ ავტორს ძეგლის ცნება მეტად ვიწროდ, პრიმიტიულად გაეგო და მან არ გაითვალისწინა ის, რომ ძეგლზე „მუშაობს“ მის გარშემო არსებული სივრცე, ბუნებრივი ლანდშაფტი. სწორედ შემომოყვანილ სიტუაციებს ითვალისწინებს „ვენეციური ქარტია“ ერთ-ერთ დებულებაში;

„ისტორიული ძეგლის ცნება მოიცავს არა მარტო არქიტექტურულ ნაგებობას, არამედ მის გარემო ლანდშაფტსაც“. (აქაც და შემდგომიც ხაზგასმული ჩემია თ. კ.)-

მართლაც, თუ ვნახავთ ზოგიერთი ისტორიული ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის დასაბუთებას, შევხვდებით ისეთ გამოთქმებს როგორცაა: „ძველი ქალაქის ესთეტიკურ-მოცულობრივი მონაცემები“, „ქალაქის სივრცითი სტრუქტურა“ (პანორამა და სილუეტი), „ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის ლანდშაფტი“, („ქუჩებისა და მოედნების სივრცეების ხასიათი, არქიტექტურული დომინანტებისა და რიგითი განაშენიანების მასშტაბური ურთიერთკავშირი), „ისტორიული ქალაქური გარემო“ (ფასადების ხასიათი, ქუჩების მოკირწყვლა და მიმართულება) და ა. შ.

ყურადსადებია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დებულება „ვენეციური ქარტიიდან“ „ისტორიული ძეგლის ცნება გულისხმობს ცალკეულ არქიტექტურულ ნაგებობას და აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მთელ კომპლექსებს, დაკავშირებულთ განსაზღვრულ კულტურასთან, ფაქტთან ან ისტორიულ მოვლენასთან. ეს ცნება მოიცავს არა მარტო ღირსშესანიშნავ, გამორჩენილ ძეგლს, არამედ გაცილებით შეუმჩნეველს, მოკრძალებულს, რომელიც მომავალში მნიშვნელოვან კულტურულ ღირებულებას შეიძენს“.



ეს ლაკონური განსაზღვრაც მეტად ტყვეადა. სამწუხაროდ, არქიტექტურული ძეგლის ცნების მეტად ვიწრო, ცალმხრივმა გაგებამ, დიდი ზიანი მოგვაცყენა მრავალწლოვანი კომპლექსი და შენობათა ჯგუფი განადგურდა სხვადასხვა ქალაქებში. ერთ მეტად დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვან, ამ რამდენიმე წლის წინ თბილისში, პუშკინის ქუჩის გაფართოებისას, ვერცხლის ქუჩის დასაწყისში დაანგრიეს აივნისანი საცხოვრებელი სახლი. ამასთან, თავს იმართლებდნენ იმით, რომ თითქოს ასეთი აივნისანი სახლები ჯერ კიდევ ბევრია თბილისში. სამწუხაროდ, გასული საუკუნის აივნისანი საცხოვრებელი სახლები არც ისე მრავლად არის შემორჩენილი. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ვერცხლის ქუჩის თავში ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი საცხოვრებელი სახლი, კონსოლებზე გადმოკიდებული აივნებით და ძველი თბილისის მეტად კოლორიტულ კუთხეს წარმოადგენდა. ცალკე განხილული თითოეული მათგანი, შესაძლოა, არ წარმოადგენდეს დიდ მხატვრულ ღირსებას. მაგრამ, ერთად, სწორედ ისე როგორც ისინი იყო განლაგებული, მეტად ცხოველხატულ კომპოზიციას ქმნიდა. ამ ორი შენობის ურთიერთობა წარმოადგენდა „არქიტექტურულ ძველს“. დაინგრა ერთ-ერთი მათგანი და თბილისში კიდევ ერთი არქიტექტურული ძეგლი დაიკარგა, რადგან ობლად დარჩენილი სახლი უკვე ვეღარ ქმნის იმ ისტორიულ გარემოს, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო ძველი თბილისისათვის.

ყველას მოსწონს ძველი თბილისური ეშხით განმსჭვალული მეტეხის გასწვრივ განაშენიანება, კლდეზე გადმოკიდებული აივნები. სახლების ხასიათი და მასშტაბი ერთიან კოლორიტულ სურათს წარმოადგენს. ამავე დროს, ყოველი სახლი ცალკე განხილული, ღირსშესანიშნავ ძეგლს აღარ წარმოადგენს. აქ „არქიტექტურული ძეგლის“ ცნება აერთიანებს კლდის მთელ განაშენიანებას. თავად ვერტიკალურად მოსხვებულ კლდეს, მტკვარს, მეტეხს, გამოაკელით რომელიმე კომპონენტი და ძველი აღარ იქნება. უფრო მეტიც, ერთიანი არქიტექტურული ძეგლია მეტეხის ვიწროებში მოქცეული მთელი პანორამა: მეტეხის სწვრივის განაშენიანება, ნარიყალას ნანგრევები, მთის კალთებზე შეფენილი ხარფუხის უბანი. რაღა თქმა უნდა, ხარფუხის სახლების დიდი ნაწილი ამორტიზირებულია და რაიმე მხატვრულ ღირსებას არ წარმოადგენს და, ალბად, შეიცვლება თანამედროვე კომფორტაბელური ბინებით. მაგრამ, უნდა დარჩეს მასშტაბი, სართულიანობა. უნდა დარჩეს ის, რასაც ძველი თბილისის კოლორიტი ეწოდება. ძველი თბილისი — ეს შუა საუკუნეების მიხვეულ-მოხვეული, ვიწრო ყორე-ქვებიანი ქუჩებია, შიდა ეზოები რიკულებიანი აივნებითა და აჭურული კიბეებით, ძველი ეკლესიების გუმბათებით შექმნილი სილუეტები, გარემოზე გაბატონებული ნარიყალას ბასტიონები და მთის კალთებზე ტერასულად შეფენილი სახლები.

„ვენეციურ ქარტიაში“ ძველის ასეთი განსაზღვრაც არის: „ობიექტები და ადგილები, სადაც ნაპოვია ან ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა (მოსალოდნელია) გამქრალი კულტურის კვალის პოვნა“. მრავლად შეიძლება ისეთი მაგალითების მოყვანა, როდესაც არქეოლოგიურად საინტერესო ადგილები განაშენიანებულა ან განაშენიანება ემუქრება. მაგრამ ეს შორს წავიყვანდა, თუნდაც, თბილისში განა ცოტა რამ დაიკარგა ანქარების გამო?

იუნესკოს ერთ-ერთ მიმართვაში ნათქვამია: „ძველების დაცვა უნდა უზრუნველყვით საერთაშორისო მასშტაბით, რადგან მათი შენარჩუნების უპირველესი პირობა მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაა. წარსულის ვერც ერთი ძეგლი ვერ აღუდგება თანამედროვე იარაღს“.



ძველების შემონახვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დღეს ქალაქებში. ცალკე მდგარ შენობას შედარებით იოლად მოეგლება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გადოება შეიგნებს ძველის დაცვის აუცილებლობას და სათანადო მატერიალურ წვლილს გაიღებს. ქალაქის პირობებში ამოცანა გაცილებით რთულია. სამრეწველო ცივილიზაციის განვითარების მზარდი ტემპები საშიშროებას უქმნის არა მარტო ცალკეულ ძველებს, არამედ ქალაქების ისტორიულად ჩამოყალიბებულ რაიონებსაც. განუხრევლად იზრდება ქალაქების მოსახლეობა, ჩნდება ახალი მაგისტრალები, საცხოვრებელი მასივები, ყოველივე ეს კი ახალ ტერიტორიებს მოითხოვს, ხოლო ყველა ქალაქს როდი გააჩნია ტერიტორიის საკმარისი მარაგი. ამ პირობებში გასაკვირია არაა, რომ სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ქალაქების ისტორიული რაიონები, დაბალსართულიანი და, ხშირად, ამორტიზირებული განაშენიანებით. ამას ისიც უნდა დავამატოთ, რომ ამ რაიონებს, უმეტეს შემთხვევებში მეტად სახარბიელო ტერიტორიები უკავიათ ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქების ცენტრალურ ნაწილებში. ასეთ ვითარებაში ისტორიულ უბნებს, არქიტექტურულ ძეგლებს ხშირად მოსპობის საშიშროება ემუქრება.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ არქიტექტურულ ძეგლებს და მათი დაცვის საკითხებს, როგორც წესი, ქალაქთმშენებლობის სხვა ამოცანებისაგან დამოუკიდებლად განიხილავდნენ. ეს გამოწვეული იყო ძირითადად თვით ძველის ცნების შეზღუდული, პრიმიტიული გაგებით. ახლა ცხადია, რომ ძველისა და ახლის ურთიერთობა ქალაქებში გარემოს დაცვის საერთო პრობლემის ერთ-ერთი ასპექტია. „არქიტექტურის, ისტორიისა და კულტურის ძეგლის“ ცნება დღეს გავრცელებულია ძველი ქალაქის ვრცელ ტერიტორიებზე. ძალაში შემოვიდა ისეთი ტერმინი როგორცაა „ქალაქის ისტორიული გარემო“, ქალაქებში იქმნება „ნაკრძალი“ უბნები და „მკაცრი ქალაქთმშენებლური რეჟიმის“ ზონები. ეძიებენ ისტორიული რაიონის ოპტიმალურ ფუნქციებს, წინააღმდეგობების გადალახვის გზებს, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლური შემკვიდრების შემონახვისა და ქალაქის თანამედროვე განვითარების მოთხოვნებს შორის. ახლა სულ მეტად პოპულარული ხდება ის აზრი, რომ არქიტექტურული ძეგლი აქტიურად და ორგანულად უნდა ჩაერთოს ქალაქის გარემოში, ქალაქთმშენებლურ გეგმებში. ისტორიული ძეგლებისადმი ქალაქთმშენებლური მიდგომა სწორედ ის საფუძველია, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს ძველების დაცვაზე. არქიტექტურულ ძეგლთა დაცვის და ქალაქთმშენებლობის საკითხების კომპლექსურმა განხილვამ უკვე გამოიღო ნაყოფი. შეგვიძლია დავასახელოთ მრავალი პროექტი და განხორციელებული სამუშაოები: ბალტიისპირა ქალაქების ისტორიული ცენტრების რეკონსტრუქციის პროექტები, სუზდალის გენგეგმა, კალუგას ცენტრის დაგეგმარების პროექტი და სხვა. სამწუხაროდ, ამას ჯერ ვერ ვიტყვი ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებზე.

ხომ არ ვვარდებით მეორე უკიდურესობაში, როდესაც ესოდენ ვაფართოვებთ ძველის ცნებას? ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ მსოფლიოს მნიშვნელოვანი რაიონები გიგანტურ მუხეუმებად გადაიქცევა? ძველების ყველაზე ორთოდოქსალური დამცველნიც კი უარყოფენ ასეთ ბიპოტოზას. იმისათვის, რომ ძველი არსებობდეს, ცოცხლობდეს, იგი ამა თუ იმ გზით უნდა ჩაება თანამედროვე ცხოვრების ფერხულში. თუ კი იგი ვერ ასრულებს ფუნქციას, რომლისთვისაც იყო შექმნილი, ძველი ადაპტირებულ უნდა იქნეს ახალი დანიშნულებისათვის.



ძველის სიცოცხლის თუ მოსპობის საკითხი ჩვენს წინაშე მეტად კონკრეტულად დგას: ან ავიღებთ ჩვენ თავზე პასუხისმგებლობას მომავლის წინაშე და წარსული ცივილიზაციების მოწმეთ და ამით უარს ვეტყვით მომავალ თაობებს იმ ნაწარმოებთა გაცნობაზე, რომელნიც ჩვენმა წინაპრებმა გვიანდერძეს და ჩვენ თანამედროვეობის საშესწერპლოზე გავიღეთ, ან ხელს შევუწყობთ ჩვენ წინაპართა და შთამომავალთა ნაწარმოებების დიალოგს, მხარს ავუბამთ კაცობრიობის დიალოგს თაობებში. საცხოვრებელი გარემო მდიდრდება არქიტექტურის ისტორიული მემკვიდრეობით, რომელიც განუმეორებელი კულტურის განძეულს, ხალხის უწყვეტი სულიერი ცხოვრების საბუთს წარმოადგენს.



იონა გადამწერი — იენაშის ოთხთავის ორნამენტული
მხატვრობის შემსრულებელი

მესტიის (ზემო სვანეთი) მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ხელოვნების ნიმუშებთან ერთად, დაცულია რამდენიმე მდიდრულად მოხატული ქართული ხელნაწერი. მათ შორის გამოირჩევა XIII ს. იენაშის ოთხთავი, რომელიც ეპიფანე ქართლის კათალიკოსის დაკვეთითაა შესრულებული (ხელნაწერი მუზეუმში გადატანამდე იენაშის ეკლესიაში ინახებოდა).

იენაშის ოთხთავი შეიცავს 252 ფ., ზომით 27X21 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით, ორ სვეტად. ხელნაწერი აკინძულია ტყავადაკრულ ხის ტვიფრულ ყდაში, რომელიც თავის მხრივ ჩასმულია ორნამენტებითა და გამოსახულებებით შემკულ ვერცხლის ჭედურ ბუდეში. ხელნაწერი მდიდრულადაა მოხატული კამარებით, მახარებელთა მინიატურებით, თავსართებითა და საზედაო ასოებით. იენაშის ოთხთავის შესახებ ცნობებს გვაწვდის დ. ბაქრაძე (Сванетия, Зап. Отд. Имп. Русск. геогр. общ., книга 6, 1861 г., стр. 84—86), პრ. უგაროვა (МАК, вып. X, М., 1904 г., стр. 153—154, рис. 88), ა. ხაზანაშვილი (Сванетские рукописные евангелия, МАК, вып. X, М., 1904 г., стр. 19—20), ე. თაყაიშვილი (Antiquities of Georgia, Georgia 4—5, 1937, стр. 96—100, таблица I—III; არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937., გვ. 245—349). მათ ძირითადად აინტერესებდათ ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები. ხელნაწერის მხატვრობას კი გაკვრით ეხებიან. მოხატული საზედაო ასოებისა და მონოგრამების ფერადი ასლები დაბეჭდილია „ქართულ ხელნაწერებში“ (ელ. მაჭავარიანი, „ხელოვნება“, თბ. 1970, ტაბ. 37, 38).

ვერცხლის ჭედური ყდის წინა პირზე წარმოდგენილია ჯვარცმის კომპოზიცია, ხოლო ზურგის მხარეს — ხელნაწერის მომგებელი ეპიფანე ქართლის კათალიკოსი. ფონი დაფარულია სტილიზებული სახის მცენარეული ორნამენტით. ყდა ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. ე. თაყაიშვილის ცნობების მიხედვით ჯვარცმის კომპოზიციას აკლდა ქრისტესა და მარიამის ფიგურები, ყდის კუთხეებში — მახარებელთა წელსვეითა გამოსახულებანი (მათეს გარდა) და მათ შორის წარმოდგენილი ანგელოზის ფიგურები მედალიონებში. ზურგის მხარეს, ამჟამად, შემორჩენილია ეპიფანე კათალიკოსის ტანისამოსის ნაწილები და ასომთავრულით შესრულებული წარწერა, სადაც ეპიფანე ქართლის კათალიკოსი მოხსენებულია როგორც დამკვეთი.

ე. თაყაიშვილის აღწერით ეპიფანე კათალიკოსი ვედრების პოზაში ყოფილა გამოხატული: ფეხზე მდგომი, კათალიკოსის სამოსში და მიმართული კვარცხლბეკზე შედგმული სვეტისადმი. ასომთავრულით შესრულებული თერთმეტსტრიქონიანი წარწერა იკითხება ასე: „ამის ნეტარისა ეპიფანეს¹ ქართლის კათალიკოსისაგან მოგებული ამისგანვე შეიმკო კათოლიკე² ეკლესიისათვის სახარებაჲ ესე მოიხსენე ქრისტე“. როგორც მინაწერიდან ჩანს, ხელნაწერი ეპიფანე კათალიკოსს მცხეთის ეკლესიისათვის შეუწირავს³.

ეპიფანე კათალიკოსის ოთხთავი, ისევე როგორც სხვა, მეფისა თუ მაღალი სასულიერო პირის მიერ დაკვეთილი ხელნაწერები, მდიდრულადაა შემკული. შუა საუკუნეების წიგნის მდიდრულად მორთვა კი, როგორც ცნობილია, დამოკიდებული იყო



იენაშის ოთხთავი XIII ს. იონას მინაწერი
ლუკას სახარების თავსამკაულში.

Иенашский четвероглав XIII в. При-
писка Ионы в заставке евангелия Луки.

იმ გასამრჯელოზე, რომელსაც მომგებელი გაიღებდა წიგნის შესასრულებლად. როგორც ჩანს, ამიტომაც ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში წინა პლანზე წამოწეულია დამკვეთის პიროვნება.

ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ძირითადად მოხსენიება გადამწერისა და დამკვეთის სახელები, წიგნის მხატვრობაში კი ძირითადად ტექსტის ავტორთა გამოსახულებებს ვხვდებით (სახარების ტექსტის წინ ხშირად და დართული მხარებულთა გამოსახულებანი). იშვიათია ხელნაწერის შემსრულებელთა — გადამწერისა და მხატვრის გამოსახვა მინიატურებზე. რაც შეეხება მომგებელთა პორტრეტებს, ისინი უმთავრესად გვხვდებიან ტაძრის ფასადებსა და კედლის მხატვრობაში (ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბილისი, 1956, გვ. 6; 6. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, თბილისი, 1964, გვ. 7) ზოგჯერ ხელნაწერის მომგებელი გამოსახება მინიატურაზეც (ლევან დადიანი თავაქარაშვილისეულ ვეფხის ტყაოსანში H—599, დანიელ მოქველ ეპისკოპოსი მოქვის ოთხთავში Q—902; ვახტანგ VI ქილილა და დამანას ხელნაწერში P—2 ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და სხვ.). ბიზანტიური მხატვრობის ისტორიაში უნიკალურ მოვლენად ითვლება 1100 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომლის თავფურცელზე გამოსახული თეოფანე ბერი — მომგებელი, გადამწერი და მომხატველია. თეოფანე ბერი მსგავსად მოქვის ოთხთავის მინიატურაზე გამოსახული დანიელ ეპისკოპოსისა, მიმართულია ღვთისმშობლისაკენ, რომელსაც უძღვნის ოქროს ყდაში ჩასმულ, ძვირფასი თვლებით შემკულ ხელნაწერს (H. Buchthal, «An illuminated Byzantine Gospel-book National Gallery of Victoria, 1961, Melbourne). კონსტანტინოპოლური სკოლის მხატვრობაში არ არის იშვიათი დამკვეთი იმპერატორ-



რისა და მისი ოჯახის გამოსახვა. დამკვეთთა პორტრეტები ცნობილია რუსულ ხელნაწილებშიც. საინტერესოა, რომ ნოვგოროდის წიგნის მხატვრობაში დამკვეთთა გამოსახვაშიც მისი მოსახელე წმინდანის სახით (О. С. Попова, «Новгородская рукопись 1270 года», Записки отдела рукописей Государственной библиотеки СССР имени В. И. Ленина, № 25, М., 1962 г., стр. 196. ამ ხელნაწერში № 185 იოანე მახარებლის მინიატურა, როგორც ჩანს, ხელნაწერის შემდეგდროინდელი მფლობელის მიერ წინ არის გადმოტანილი და ხელმოწერად მოხატული, რათა მახარებელთან ერთად წმინდა პრიორეს ნაცვლად თვითონ ყოფილიყო გამოხატული). იენაშის ოთხთავში, როგორც ვხედავთ, დამკვეთი თვალსაჩინოდ ადგილას — ხელნაწერის ჭედურ ყდაზეა გამოხატული, რაც იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. ეპიფანე კათალიკოსი წარმოდგენილია ჭედური ყდის ზურგის მხარეს, იქ, სადაც ძირითადად გამოისახება ერთ-ერთი კომპოზიციის საუფლო დღესასწაულთაგან (ვედრება Q—907, Q—906, ამაღლება Q—908, ჯვარცმა A—561, Q—900 და სხვ. ყდის წინა მხარეს უმთავრესად ჯვარცმის კომპოზიციის წარმოდგენილი).

ეპიფანე კათალიკოსი, როგორც მომგებელი, მოხსენებულია თვით ხელნაწერში, გადამწერის ერთერთ ანდერძში: „დაესრულა თავი მარკოზისი ხელთა ფედ ცოდვილისა იონაძისთ მოძღვრისა ჩმისა ეპიფანესათვის (120v). ეპიფანე კათალიკოსის მოღვაწეობის შესახებ ცნობას შეიცავს 1218 წლის იურიდიული დოკუმენტი. იგი წარმოადგენს ქ. ანისის ერთ-ერთი ქართული ეკლესიის კედლის წარწერას, რომელიც აღმოაჩინა ნიკო მარმა 1910 წელს (Н. Марр, Надпись Эпифания, Католикоса Грузии, 1218 г., Изв. АН, 1910., стр. 1433—34). მაშასადამე, ხელნაწერის შესრულების დრო XIII ს. პირველი ნახევრით განისაზღვრება. ხელნაწერის მხატვრული სტილიც ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს შეესაბამება.

იენაშის ხელნაწერის დეკორატიული სისტემა — მორთულობის შემადგენელი ელემენტები და მათი განაწილების თანმიმდევრობა ტექსტში — წინა საუკუნეებში შემუშავებულ ტრადიციას მისდევს, მხოლოდ იენაშის მოხატულობას ახასიათებს ახალი სტილისტური თავისებურებანი, რაც XIII ს. მთელ რიგ ხელნაწერებშია (A—138, A—496, A—922 და სხვ.) გამოხატული. შეიცვალა ცალკეული გვერდის მხატვრული კომპოზიციის მორთულობის ცალკეულ ელემენტთა ორნამენტული ნახატის აგების პრინციპი და ამ ელემენტთა ურთიერთშეფარდება ტექსტთან.

იენაშის ოთხთავში მდიდრული ორნამენტული მორთულობაა წარმოდგენილი. ხელნაწერის დასაწყისში ევსებიოსის კარპინესადმი წერილი (1v) შექცულია თავსამკაულითა და მხატვრული საზედაო ასოთი, რაც ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრობაში იშვიათად გვხვდება (იხ. Q—908, S—962, A—484 და სხვ.); ევსებიოსის წერილს მოსდევს ფურცლის ორივე მხარეს განაწილებული 12 კამარა. (3r—9v) კამარის ზედადანი ორნამენტულ ნახატში ჩართულია წმინდანთა გამოსახულებანი. სახარების დასაწყისი ტექსტი დაგვირგვინებულია თავსამკაულით (12r, 82r, 125r, 191r). თითოეულ თავს წინ უძღვის სახარების შესაბამისი ავტორის — მახარებლის მინიატურა (11v, 81v, 124v, 190v). ტექსტის გვერდები მორთულია მრავალრიცხოვანი საზედაო ასოებით. მარტო მოხატული ასო „დ“ ხელნაწერში 172 ჯერ გვხვდება.

ხელნაწერის ორნამენტული დეკორი — თავსამკაულები და საზედაო ასოები საფერწერო ტექნიკით, ორნამენტული ნახატითა და კოლორიტით განსხვავდება მახარებელთა მინიატურებისა და კამარებისაგან. მახარებელთა მინიატურები და კამარათა მხატვრობა შესრულებულია მრავალმრიანი საფერწერო ტექნიკით, კოლორიტში სუბობობს შინდისფერი, ლურჯი, ყავისფერი, ღვინისფერი და ოქრო. ორნამენტულ ნა-



სატში გარკვეული ინტერვალებით დაცილებული წრეებია, რომლებშიც სტილიზებული ყვავილებია ჩახატული. ამ წრეებს ერთმანეთთან აკავშირებს ასევე სტილიზებული მცენარეული მოტივები. ფონი დაფერილია ოქროთი. ამჟამად მახარებელთა გამოსახულებანი და კამარებში წარმოდგენილი გამოსახულებანი ძლიერ დაზიანებულია (მათ შარავანდედზე თეთრათი შესრულებული ასომთავრული მინაწერებია და გარკვევით იკითხება „კრიგოლ ნოსელი“ ნვ).

საზედაო ასოებისა და თავსამკაულთა ფერწერაში გამოყენებულია აკვარლისებრი საღებავები, ფერთა შეხამება მეტად ნაზია. მხატვრის პალიტრას ქმნის შაბიამ-ნისფერი, ყვითელი და სინგური, რაც სამხრეთ საქართველოში გადაწერილ ხელნაწერთა (იხ. A—138, S—425, A—28, A—87 და სხვ.) მხატვრობას ახასიათებს. კოლორიტში ჩართულია ეტრატის ფერიც. ორნამენტის ნახატი შესრულებულია ტექსტის მელნით ან სინგურით. კონტურები ზოგჯერ დაფერილია ოქროთი. დეკორის ამ ელემენტებში ძირითადია სტილიზებული მცენარეული მოტივები. ზემოაღნიშნული განსხვავებანი მიგვითითებენ, რომ ხელნაწერი ორი სხვადასხვა ოსტატის მიერაა მოხატული. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მახარებლები და კამარები ცალკე ფურცლებზეა შესრულებული, თუმცა ტექსტთან ერთდროულადაა აკინძული და ყდაში ჩასმული.

იენაშის ოთხთავის დეკორატიულ სისტემაში ყურადღებას იპყრობს სახარების ცალკეული თავის დასაწყისი გვერდის კომპოზიციური გადაწყვეტა. მხატვრულ ელემენტებს — თავსამკაულებსა და საზედაო ასოებს მჭიდრო კავშირი აქვთ ტექსტთან. თავსამკაულის მდიდრული ორნამენტაცია ვერ იცავს ჩარჩოს ფარგლებს, ტექსტის არეში იჭრება; სტრიქონები ზოგჯერ შეწვეულია, ისინი შემოწერენ ორნამენტულ ხვეულებს. მხატვრობისა და ტექსტის ასეთი ურთიერთკავშირი კი ცხადყოფს, რომ ტექსტის გვერდები კომპოზიციურად ერთი პირის ჩანაფიქრია, რომ ტექსტთან უშუალოდ დაკავშირებული ორნამენტული მხატვრობა გადამწერის მიერაა შესრულებული.

ხელნაწერი გადაწერილია იონას მიერ. მათეს, მარკოსისა და ლუკას სახარების ტექსტის ბოლოს მისი ანდერძებია მოცემული. ხელნაწერში ბევრია მისი ხელით შესრულებული ანდერძ-მინაწერები, რომლებიც შინაარსობლივად, კომპოზიციურად და მხატვრულად დაკავშირებულია ორნამენტულ მხატვრობასთან. ისინი შესრულებულია ტექსტის მელნით ან სხვადასხვა ფერადებით და ჩაქსოვილია მოხატულ საზედაო ასოებისა და თავსამკაულთა ნახატში...

მათეს სახარების ბოლო მუხლის ასო „დ“-ს დეკორატიულ ხვეულში (79r) სპირალისებურად ორნამენტს გასდევს სინგურით შესრულებული იონა გადამწერის ანდერძი: „სრულ იქმნა მათეს თავი სახარებაჲ ხელითა ცოდვილისა იონასითა“; ლუკას სახარების ბოლო მუხლის საზედაო ასო „დ“-ში (188v) ტექსტის მელნით დაწერილია „ქ (რისტ)ე შ(ეიწყალ)ე იონა“; 128—v-ზე ასო „კ“-ს ორნამენტულ ხვეულში, ასევე, ტექსტის მელნით ჩაწერილია: „მართლად სწერია“, 160v-ზე ასო „რ“-ში სინგურით ჩაქსოვილია: „ეჲე მამსილებს“. 94r-ზე ასო „ხ“-ში სინგურითა და მწვანე საღებავით შესრულებული მინაწერია: „ერთი სტავრაჲ დია გიჯობს, თუმცა ჩემი ისმინე“. იონა ამ მინაწერში თავის მხატვრობას ადარებს სტავრას — სირმას ანუ ოქრომკედით ნაქსოვს.

ტექსტისა და მხატვრობის მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიგვითითებენ შემდეგი მინაწერები: 195v-ზე საზედაო ასოს სახით წარმოდგენილია გველის გამოსახულება, რომელიც შინაარსის დასურათებას იძლევა. ცხადია, რომ ტექსტის ასეთი ერთ-



191r



94r



79r



128v




160r



188v

ჩუკი



195v

იენაშის ოთხთავი XIII ს. იონა ვადაშვილის
მინაწერები თავსამკაულსა და საზედაო ასოებსში

Иенашский четвероглав XIII в. Припи-
ски переписчика Ионы в заставках и в
художественных инициалах.



დროული ილუსტრირება მხოლოდ გადაშწერას შეეძლო. ლუკას სახარების თარგმანების წარმოადგენს გრეხილი ორნამენტის სახეობა. ტულ ვეშაბის გამოსახულებას, რომელშიც შავი და ოქროს საღებავების მონაცვლეობით ჩაწერილია ფსალმუნის ტექსტი: „იყავნ ნათელი უფლისა: ღთისა ჩ(უე) ნისაჲ. ჩ(უე) ნზედა საქმენი ხელთა ჩ(უე)ნთანი წარკმართენ ჩ(უე)ნზედა და ჭმნული ხელთა ჩ(უე)ნთა წარგვმართე: ვეშაბი ესე, რ(ომე)ლ დაჰბ(ა)დე სამღერელად მისდა. ყოველივე შენგან ელიან მოცემ(ა)დ საზრდელი მათი: ვამსა მოსცი მათ: და აღიზარდნან იგინი“.

იოანეს სახარების თავსამკაულის გრეხილ ორნამენტში (191r) ოქროს, შავისა და მწვანე ფერების მონაცვლეობით, წერილი ნუსხურით შემდეგი შინაარსის ანდერძია ჩაწერილი: „წმიდაო იოვ(ა)ნე მახ(ა)რ(ე)ბელო ღ(ვ)თისმეტყულო ქწ(?)ლო საყ(ვა)რ(ე)ლო მ(ო)წ(ა)ფეო მ(ა)ცხ(ოვ)რის(ა)ო მ(ე)ოხ გუჭყავ ჩ(უე)ნ. ქრისტე ძეო და სიტყუაო ღ(მრთ)ისაო შეუნდვენ ფ(რია)დ ცოდვილსა ამისსა მოქმედსა იონას“.

ტრმინი „მოქმედი“ სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც „მქნელი“. ამ ეპითეტით ცნობილია X ს. საუკეთესო ოქრომქანდაკებელი, დავით კურაპალატის ჯვრის ოსტატი, ასათი. იენაშის ოთხთავის მინაწერში. „მოქმედის“ ეპითეტით ხელოვანია მოხსენიებული. იოანე გადაშწერი აღნიშნული თავსამკაულისა და ამავე სტილში შესრულებული სხვა თავსამკაულებისა და საზედაო ასოების შემოქმედი-შემსრულებელია.

მხატვარ იონას გვერდით ხელნაწერში ჩნდება მეორე ოსტატის — თევდორეს სახელიც. ლუკას სახარების ტექსტის ბოლოს (188v) მოხატული საზედაო ასო „დ“-ს ორნამენტული ნახატი, რომელშიც ტექსტის მეღნიით იონას ანდერძია ჩაწერილი: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე იონა“, ოქროთია შემოვლებული, ხოლო ქვევით ოქრომელნითვე, მრავალწერტილით მითითებულია: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე თ(ევდორ)ე“. ცხადია, რომ თევდორე ოქრომ-მწერალი ყოფილა და იონას მიერ შესრულებული ნახატი ოქრომელნით მან შემოწერა. საფიქრებელია, რომ მახარებელთა მინიატურები და კამარებიც, სადაც ოქრო ასე ჭარბადაა გამოყენებული, თევდორეს ნახელავი უნდა იყოს“. როგორც ჩანს, ეპიფანე კათალიკოსის სპეციალური დაკვეთით თევდორე მხატვარმა ხელნაწერისაგან დამოუკიდებლად, ცალკე ფურცლებზე შეასრულა მახარებელთა გამოსახულებანი და კამარებში, წარმოდგენილი გამოსახულებანი, ხოლო რათა მხატვრულად გაემართა — ხელნაწერისათვის საერთო საზეიმო იერი მიენიჭებინა, ორნამენტული ნახატის კონტურები ბევრგან ოქროთი დაფერა.

ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრობის ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როცა მინიატურები და კამარები ხელნაწერისაგან დამოუკიდებლად სრულდებოდა. მაგ. სამოელ ეპისკოპოსმა X ს. ტბეთის ოთხთავისათვის (ხელნაწერი დაცულია ლენინგრადში საჯარო ბიბლიოთეკაში) ისინი კონსტანტინეპოლიდან გამოიწერა. ბერთის ოთხთავის (Q—906) მახარებელთა მინიატურები ასევე ცალკეა შესრულებული. ოპიზის მოძღვრის იოანეს ანდერძში ვკითხულობთ: „მე ვიშენ ხატნი წ(თ)ა მახარებელთანი და ჩაუსუქნენ ოთხთავე თავთა შინა“ (340r—341r). ხშირად მინიატურები სხვა ხელნაწერიდანაც გადმოჰქონდათ. მაგ. მახარებლის მინიატურა (A—40) ან ჯვრის გამოსახულება (A—38) უფრო დიდი ფორმატის ხელნაწერიდანაა გადმოტანილი (ნახატი კიდევბზე ჩამოუჭრიათ). იოსებ ზილიზანიანის (S—1283) თორმეტი მინიატურა სხვა ხელნაწერიდანაა ამოჭრილი. ზაზასეული ვეფხისტყაოსნის

ხელნაწერში (Q—1082), იოსებ თბილელის მიერ გადაწერილი ტექსტის შესამოკლად გამოუყენებიათ უფრო ადრეული ხანის ხელნაწერის ოქროთი დაფერილი პირადი კოპია და შოთას მინიატურა.

იენაშის ხელნაწერი საინტერესოა იმ მხრივ, რომ აქ ხელნაწერის მოხატულობაზე მუშაობს ორი ოსტატი: მინიატურისტი-მხატვარი და მხატვარ-დეკორატორი, რომელიც ამავე დროს გადაწერია. იონა გადამწერი გრაფიკოსი მხატვარია და ასრულებს იმას, რაც ტექსტთან უშუალო კავშირშია. იგი ხალხურ ტრადიციებზე აღზრდილი ოსტატია. ერთ-ერთ თავის ანდერძში მან შემთხვევით არ შეაღარა თავისი მხატვრობა ოქრომკედით ნაქსოვ ძვირფას ქსოვილს.

ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრული და პალეოგრაფიული თავისებურებების შესწავლამ საშუალება მოგვცა დავასახელოთ მრავალი მაგალითი, როცა გადამწერი და მხატვარი ერთი პიროვნებაა. მხატვრისა და გადამწერის ასეთი იდენტიფიკაცია კი, როგორც ეს იენაშის მაგალითზე დავინახეთ, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ხელნაწერის მხატვრობა ტექსტთან მჭიდრო ურთიერთობაშია, ან როცა გადამწერის ანდერძი კომპოზიციურად უკავშირდება მხატვრობას. გადამწერისა და მხატვრის გაიგივება კი ჩვენ საშუალებას გვაძლევს ქართველ ოსტატთა გალერეას შევმატოთ მრავალი, დღემდე უცნობი მხატვრის სახელი.

ამრიგად, იენაშის ოთხთავი შუა საუკუნეების წიგნის მხატვრობის ისტორიისათვის მეტად საინტერესო ხელნაწერია. მისი მხატვრული შემკულობის საფუძველზე ქართველ ოსტატებს შეემატა წიგნის მომხატველთა კიდევ ორი ახალი — იონასა და თევდორეს სახელი.

1 დ. ბაქრაძეს და ა. ხახანაშვილს ეპიფანეს სახელი შეეძლოთ აქვთ წაიოხებული „სტაფანელ“.

2 კათოლიკე — საოველთაო; დედა (ეკლესია) ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 191.

3 აღსანიშნავია, რომ ანდერძ-მინაწერებში ოთხთავს ხშირად უწოდებენ ეკლესიის „სამკაულს“ (Q—929, H—1348) ან ეკლესიის „შემამკობელს“ (H—1714). როცა ზრუნავენ ეკლესიის გამშენიერებაზე, მოხატვისა თუ სამკაულებით გამდიდრებაზე, ზატებთან და ძვირფასეულობასთან ერთად ყოველთვის იხსენიებენ ხელნაწერებს (იხ. მედიქსედექ კათალიკოსის XI ს. მცხეთის საბუთი, შალვა ქვენიფნეველ ერისთავის ლარგვისის მონასტრისადმი 14/VI წლის შეწირულების საბუთი და სხვ.). ხშირად მომგებელი ოთხთავს სწირავდა ეკლესიის მის შესანდობად, ოჯახის წევრთა სალოცველად ან გარდაცვლილთა სულის მოსახსენებლად.

4 ოქრომთქვარი არ ნიშნავს მარტო ოქროთი მწერალს; ძველ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ფერმწერი ოსტატი იგულისხმება ალავერდის ოთხთავის (A—484, XI ს.) ფერადებით შესრულებულ ასობზე აღნიშნულია: „და ყოველი ასომთავარნი ოქრომელნითა დაწერილნი“. XII ს. ვანის ოთხთავის (A—1335) მომხატველი თავის თავს ორომთქვარლს უწოდებს.

კიდევ ერთი ცხრაპარა ივრის ხეობაში


ერწო-თიანეთი მეტად მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. ამ ძეგლებიდან, ამჟამად, ყურადღებას გაავსახვილებთ სოფ. ბადანიის ცხრაპარაზე.

საერთოდ ცხრაპარა ცნობილი და აღიარებულია სამეფო სასახლეად. ასეთი სახელწოდებით მეფის სასახლე კახეთში რამდენიმეა: ალვანის, მატაანისა და თიანეთისა. „ბოდოჯის სასახლე“ წოდებული. „დარბაზი ბოდოჯი“ კახთა მეფეს კვირიკე III აუშენებია X საუკუნეში. ამის შესახებ „მატიანე ქართლისა“ შემდეგ ცნობას გვაწვდის. „გარდადგა თიანეთს და დაწვა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი დიდისა კვირიკე მეფისა აგებული“¹. ე. ი. კვირიკე III მიერ აშენებული ბოდოჯის სასახლე დაუწვავს ბაგრატ მეოთხეს XI საუკუნის 40-იან წლებში, ბოდოჯის სასახლეა ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს: „კუალა ამანვე (ე. ი. კვირიკე კახთა მეფემ) ჰყო სასახლე თიანეთს სახელოვანი“².

აკად. ივ. ჯავახიშვილიც დაინტერესებულა ამ ისტორიული ადგილით, დაუწვია მისი ძებნა, მაგრამ ამოღ: „ცნობების უკონლობის გამო ვერ გამოვარკვეე შემდეგი ადგილების მდებარეობა. არ ჩანს, სად იყო დარბაზი ბოდოჯისა, დიდისა კვირიკე მეფისა აგებული“³. როგორც ჩანს, აკად. ივ. ჯავახიშვილს „მატიანე ქართლისას“ გადმოცემა საკმარისად არ მიუჩნევია და მის ძიებას შესდგომია.

შემდეგისათვის აკად. ნ. ბერძენიშვილს მოუნახულებია თიანეთის ცხრაპარა, როგორც თიანეთიდან ორი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ეს ძველი საჭურის ხეობის მარცხენა ნაპირის მალლობზე ყოფილა აღმართული. აქედან ლამაზად მორჩანს ივრის ხეობა საყარაულომდე, კვეტარასკენ მიმავალი გზა დიდ სიერცყეზე, საჭურის ხეობა და ზემო თიანეთის გარკვეული მონაკვეთი: აკად. ნ. ბერძენიშვილი ამ ცხრაპარაზე გამოთქვამს აზრს რომ „შეიძლება ეს“ ცხრაპარა“ იყო დარბაზი ბოდოჯისა სახლი სახელოვანი კვირიკე მეფისა აგებული“-ო.⁴ ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული თიანეთის ცხრაპარაზე ვლ. აბრამიშვილსაც, რომელიც აღნიშნავს, რომ „როგორც ხევა წყაროები, ისე ხალხური გადმოცემები თავისთავად მეტყველებს და გვიმტკიცებს იმ ვარაუდის რწმენას, რომ „ცხრაპარა“ ბოდოჯაა“, მისი დარბაზი კი „ბოდოჯის დარბაზი“-ო.⁵

მაშასადამე, ერთი ცნობილი ცხრაპარა, რომელიც ბოდოჯადაა აღიარებული, თიანეთის მახლობლად ყოფილა, ხოლო მეორე ცხრაპარა მდებარეობს ივრის ხეობაში, ბოჭორმის ციხის მახლობლად, სოფ. საჯინიბოს თავზე, ტერიტორიულად სოფ. ბადანიის განაპირას, მდ. ორხევის მარცხენა ნაპირის ბოლოს, ცხვირგაშვრილ შთაზე აღმართულ ძეგლს მეტად მომგებიანი და ლამაზი მდებარეობა აქვს; მის ირგვლივ გადაშლილია ივრის ხეობის მარჯვენა და მარცხენა ხედები. მარცხნივ სამხრეთით მშვენივრად მორჩანს ბოჭორმის მხარე, წინ სამხრეთ-დასავლეთით იკვლივის მაღალი მთები, დასავლეთით ხელისგულივით გადაშლილია ერწოს ქვაბული, ჩრდილოეთით ივრის ხეობა დაბა სიონის მიმართულებით, აღმოსავლეთით კი სასახლეს მაღალტყვიანი მთები „სალეკის გორა“ დაჰყურებს, რომელზეც გადადის „საკახეთი“ გზა-ბილიკები. ცხრაპარას აშენებულ ხუროთმოძღვარს კარგად შეურჩევია მისთვის ღირსეული მდებარეობა, რის წყალობითაც ცხრაპარა კონტროლს გაუწევდა ოთხივე მხარის დიდ ტერიტორიას.



წმ. სტიფანეს საბ. ამბლდობის ეკლესია.
სოფ. ნაკალაკარი (ბენეწურები)



დღეს ცხრაკარას ნანგრევები საუკუნოვანი ტყით არის დაფარული, ბადანიის სოფლის ბოლოს — ცხრაკარას ძირას, გზას გამოეყოფა პატარა ბილიკი, რომელსაც ცხრაკარაში შევყავართ. სასახლის თავშივე მოჩანს დულაბით ნაშენი კედლის ნაშთი, რომელიც თავის დროზე კარიბჭის კედელი უნდა ყოფილიყო. აქვე სასახლის მისასვლელი გადაკვეთილია დიდი ხელოვნური თხრილით, რომლის გასწვრივ გადის ბურჯიანი კედლის გალავანი. ასეთი ორი გალავანი მოჩანს: პირველი ფერდის ძირას მიემართება (სასახლის სამხრეთ ფერდობზე) მეორე კი სასახლის ძირითად ნაგებობებს გასდევს გარშემო. გალავნის ბოლოშიც ფერდიდან — ფერდამდის დიდი ხელოვნური თხრილის კვალია დარჩენილი. გალავნის შიგნით ნაგებობათა დიდი ანსამბლია. წინა ეზო, როგორც ჩანს სამეურნეო ნაგებობებს ეკუთვნოდა, რადგან აქ დულაბით ნაშენი სამი დიდი ქვევრისებური ფორმის პურის ხარაა მოთავსებული. სამეურნეო ნაგებობებს უკან დიდი სასახლის კედლის ნანგრევებია შემორჩენილი, რომლისგანაც მეორე და მესამე ხართულის კვალია დარჩენილი. პირველი ხართულის კედლებში ვხვდებით ბუხრებს, თახჩებს, თაღოვანი კარის ნაშთებს. მასალად ნახმარია რიყისა და კლდის ქვა, სასახლე ნაშენებია დულაბის ხსნარით. სასახლის კედლების თავში, ერთნაირი ეკლესია დგას, რომლია სახურავი ჩანგრევის პირასაა მისული. ეტყობა ეკლესია შუა საუკუნეებში აღუდგენიათ. სასახლის თავში აღმართულია კოშკისებური ბურჯის სვეტი, რომლის გულშიც დიდი ქვევრისებური ქვიტიკრის ხარაა მოთავსებული. რა დანიშნულებას ასრულებდა ეს ნაგებობა, ამაზე პასუხის გაცემა ნაადრევია.

ცხრაკარა შემდეგ ფართობს მოიცავს: სიგრძე 66 მეტრია, თავის სიგანე — 14 მ, ბოლოსი — 20 მ უდრის. აქ არ შედის სამხრეთ ფერდობზე აღმართული კედელ-ბურჯების ზომა და ამიტომ ცხრაკარას ზუსტი ზომა სრულად არ არის ნაჩვენები.

შიგნით სასახლის შენობათა ფართის ზომა ასეთია: პირველი ოთახი 3,4×4,40 კვ. მ, მეორე 10×4,90 კვ. მ, მესამე 5×5,40, მეოთხე 7,70×2,40 კვ. მ, მესხეთე 6,80×3,60 კვ. მ, მეექვსე ოთახი 7×6 კვ. მ. უდრის. სასახლე თითქოს ორსართულიანი შენობა იყო. დიდი დარბაზის კედლების ნაშთი სამსართულიანი შენობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენნი დაკვირვებით, სასახლე ტერასული ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ამას შემდგომი კვლევა-ძიება დაადგენს.

როცა ცხრაკარას და მის გარემოს აკვირდებით, არ შეიძლება არ მოგაგონდეთ ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგი აღწერილობა: „ხოლო ბოჭორმის ზევით ერთვის იორს დასაველეთიდამ ერწოს-წყალი, გამოსდის ხერკისა და ერწო-თი ანეთის შუას მთას და მოდის აღმოსაველეთ-სამკრეთს შუა. ამ წყალზედ არს კეობა ესე იმიერ და ამიერ შენობა დაბნებიანი, კვალად ამავე წყლის შესართავს ზევით, იორის პირზედ არს, აღმოსაველეთით კერძ ქალეთი, შენობა დიდი და შემუსვრილი, ვგონებ ამას ჩელეთად“⁶ ვახუშტი ბატონიშვილის მინიშნებით, ნართლაც ერწოს წყლის (აძეძის) შესართავთან არის პატარა, ლამაზი, შირიმის ქვით ნაგები ეკლესია, გალავნითა და კოშკით შემორჩენილი. აქვეა სხვადასხვა ხასიათის ნაგებობები, რომელიც შეიძლება იყოს „მონასტერი მცირე შეენიერი, შეენიერის ადგილას და აწ ხუცის ამარ“⁷-ი. ხოლო ამვე წყლის შესართავს (იგულისხმება ერწოს წყალი აძეძი — ჯ. ს.). ზევით, იორის პირზედ არს აღმოსაველეთით კერძ ქალეთი შენობა დიდი და შემუსვრილი, ვგონებ ამას ჩელეთად⁸. მინიშნება ზუსტია; ასეთ დიდ და შემუსვრილ შენობად შეიძლება ჩვენ მიერ აღწერილი ცხრაკარა მივიჩნიოთ. სასახლის გარშემო და მის უახლოეს ტერიტორიაზე მართლაც მრავალა სიძველვა აღრცელებული. ასეთებია: ეკლესიები, კოშკები, საცხოვრებელი და სამეურნეო

ნაგებობების ნაშთები და სხვ. აქვე ცხრაკარას ძირში არის სოფელი, რომელსაც „საჯინიბო“ ეწოდება. თავისთავად ტოპონიმი — „საჯინიბო“ სამეფო სასახლესთან უდაბლოდ უფილიყო დაკავშირებული, რაც ცხენთა სადგურ-სახლს ნიშნავს,⁸ ამასთან ერთად ცხრაკარას წინ მდებარე ტერიტორიას, იორ გაღმით, ნაქალაქარი ეწოდება, რაც შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს.

ამავე ცხრაკარას ძირში ჩრდილოეთის მხრიდან, საიდანაც ორხევის ხევი ჩამოდის, ტყეში მივაკვლიეთ ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებს, რასაც ეპოზის მარცხენა ნაპირი უკავია. ნაგებობათა განლაგება ტერასულია, ხეობის მარჯვენა და სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე აკრფილია სხვადასხვა ეპოქის ძვირფასი მასალა.

როგორც ისტორიული წყაროები, ასევე მკვლევართა გარკვეული ნაწილი ამ ტერიტორიაზე ვარაუდობს ფალეთ, ჩელთას, ხოლო როგორც გამოკვლევებიდან ჩანს, ძველი ქალაქი ფალეთი ანუ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ვარაუდობს, იგივე „ჩელეთი“ ანუ „ჩელთა“⁹ ლეონტისა და ჯუანშერის ცნობათა მიხედვით, ივრის ხეობაში არის საგულისხმეხელი.⁹ ივრის ხეობას კი საერთოდ კახეთის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან ცნობების მიხედვით კახეთის ცენტრი ივრის ხეობაში იგულისხმება. VII-XI საუკუნის ცნობები ეჭვს არ ტოვებენ, რომ კახეთის პოლიტიკური ცენტრი ამ ხანებში ჯერ ისე ივრის ხეობაშია¹⁰. ლეონტი მროველის ცნობათა შორის კახეთის გეოგრაფიული საზღვრების შესახებ, კერძოდ, მეტად მნიშვნელოვანია ცნობა ჩელეთის შესახებ. ჩელეთი უმჯველია, კახეთის თავდაპირველ ცენტრად აქვს წარმოდგენილი ლეონტის წყაროს, სადაც ნათქვამია: „ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთს მთას შორის, არაგვთაგან ვიდრე ტყეებამდე, რომელი არს საზღვარი ქერეთისა, და მან კახოს ალაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამე თუ დედაციხე კახოსის ხუდრი იყო. და მისცა კახოს შეწევინათვის და შეეწია შენებისა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველ შენებულსა კახეთისასა“¹¹. რა თქმა უნდა, ამ ადგილის პოვნა-დადგენა უდიდესი მნიშვნელობის საკითხია, — აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი. ვახუშტის მოსაზრება, რომ ჩელეთი შემდეგი დროის ფალეთი იყო, მეტად საყურადღებო ჩანს: „ამავე წყლის (იგულისხმება ერწოს წყალი აძეძი) შესართავსებით აორის პირზედ არს აღმოსავლეთ კერძ ფალეთი. შენობა დიდი და შემუსკრილი ვგონებ ამას ჩელეთად, რომელ ალაშენა ეკლესია კეთილ შეენიერი გუმბათიანი და დასვა ეპისკოპოსი მწყემსი, ერწო-თიანეთისა, ფშავ-ქვესურისა და კვეისა“. თავის მოსაზრებას, რომ ფალეთი იგივე ჩელეთია, ვახუშტი შემდეგ მომენტებზე ამყარებს: 1. ლეონტის ცნობის კონტექსტზე, რომლის მიხედვით სავარაუდებელია ჩელეთის მდებარეობა ბოჭორმის მახლობლად; 2. ფალეთის ნანგრევთა ხასიათზე „შენობა დიდი და შემუსკრილი“; 3. ფალეთის ეპისკოპოსო საწყემსოს საზღვრებზე; 4. გადმოცემაზე რომ აქ გორგასალ ალაშენა ეკლესია“. ქართლის ცხოვრებით კი „გორგასალ დასვა მეცხრე ეპისკოპოსი ჩელთას, რომელ სოფელშუა ალაშენა“¹². უმჯველია ვახუშტის იხილ კარგად იცოდა, რომ ფალეთი, ძველად ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრი იყო და შეიძლება ქალაქიც. ამრიგად, ჩელეთი, კახოსის მიერ აგებული ცენტრი იყო კახეთისა. გორგასალმა ჩელთას დასვა ეპისკოპოსი და ეკლესია ააგო. ლეონტისა და ჯუანშერის ამ ცნობათა მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, ჩელეთი და ჩელთა ივრის ხეობაში არის საგულისხმეხელი¹².

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას არ ეთანხმება ვ. აბრამიშვილი, როდესაც აღნიშნავს, რომ „ჩელეთი და ფალეთი კახეთის სხვადასხვა დასახლებული პუნქტების სახე-



ლებს წარმოადგენენ. ქალეთი, მისი ციხე, მისი ხატი და ქალეთის სიონი მდებარეობენ ერწოსა და თიანეთის გვერდით, ხოლო ჩელეთი ყვარლის რაიონშია საძირებელი¹². და ჩელეთს გულისხმობს „ჩელეთის წყალზე“, რომელიც ჩრდილოეთით ერავის ალაზანს ენიხელის მახლობლად¹³.

ჩვენის აზრით ჩელეთისა და ქალეთის სხვადასხვაობის ჭეშმარიტებას არქეოლოგიური გათხრები დაადგენს. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ ქალეთი და ჩელეთი სხვადასხვა ქალაქების სახელწოდებები იყოს და ორივე მათგანი იგრის ხეობაში ვიგულოთ, მაშინ როდესაც დღევანდელი ქალეთის ნაგარაუდებელ ადგილას მართლაც წოჩანს დიდი ქალაქური ცხოვრების კვალი. ჩვენს მიერ აღწერილი ცხრაკარას მიდამო ასევე დიდი ქალაქის კვალს ატარებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ცხრაკარას გარშემო მდებარე ტერიტორია და თვით ცხრაკარა კახეთის პოლიტიკური ცენტრი, წელეთი უნდა იყოს. ამის საფუძველს იძლევა შემდეგი მონაცემები: 1. ლონტის ცნობა, ჩელეთის მდებარეობაზე („დედაციხესთან“) ბოჭორმის სიახლოვეს; 2. ცხრაკარას გარშემო მრავალი ნაშთსახლარი, სამეურნეო ნაგებობანი, ეკლესიები, კოშკები; 3. ცხრაკარასთან არსებული ტაონიმი „საჯინიბო“, რომელიც „ცხენთა სადგურ სახლს“ ნიშნავდა; 4. ცხრაკარას წინ მდებარე იორს გაღმა ტერიტორია, რომელსაც ნაქალაქარი ეწოდება; 5. საქალაქო ცხოვრებისათვის გეოგრაფიულად ხელსაყრელი პირობები (ქალაქი გზაჯვარედინს გასავალშია წარმოდგენილი); 6. ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური ცენტრის „ცხრაკარას“ არსებობა, და თვით ვახუშტი ბატონიშვილის შეხედულება „გონებ ამას ჩელეთად“-ო; 7. შედაპირული არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ ენეოლითის ხანიდან, გვიან ფეოდალურ ხანამდის ცხრაკარას გარშემო ტერიტორია ინტენსიურად იყო დასახლებული.

ყველა ზემოთ მოტანილ მოსაზრებათა სისწორეს მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაადგენს.

1 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 298.

2 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 91.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948, გვ. 44.

4 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 184.

5 ვლ. აბრამიშვილი, ქალეთის, ჩელეთისა და ბოდბის ადგილმდებარეობა შესახებ, მაცნე № 2; 1967, გვ. 155.

6 ვ. ბატონიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

7 იქვე.

8 იქვე.

9 ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928; ნ. ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961.

10 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

11 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

12 ნ. ბერძენიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 180, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 9.

13 ვლ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 151-152.

კარ-მიდამოთა სტრუქტურა ქსნის ხეობაში

ქსნის ხეობაში არსებულ კარ-მიდამოთა სტრუქტურის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ამ ხეობის ბუნებრივი პირობების (რელიეფი, წყლები, კლიმატი, ფლორა, ფაუნა) გათვალისწინებას.

წარმტაცი და მრავალფეროვანია ამ ხეობის ლანდშაფტი, რომელიც მაღალი მწვერვალებიდან იწყება და ხასიათდება ფრიადნაირი რელიეფით. იგი თანდათან დაბლდება და უერთდება ბარს.

ქსნის ხეობის მთავარ მაგისტრალს ესაზღვრება მთის სწრაფი ნაკადულებით და მცირე მდინარეებით დასერილი ტყიანი მთა-გორები და მწვანე ფერდობები. იგი რამდენიმე მცირე ხეობით არის დატოტვილი. განსხვავებული რელიეფი და ბუნებრივი პირობები განაპირობებდა მეურნეობის განსხვავებას.

ბუნებრივი პირობებისა და მისგან გამომდინარე სამეურნეო მაჩვენებლის მიხედვით ქსნის ხეობას ახასიათებს ვახუშტი ბაგრატიონი. იგი წერს: „ზებუყურის მთა... ჩამოადგების ცხვირად კსანსა, დასავლიდამ, და აღმოსავლეთიდამ ალვეის მთის ცხვირი და დაავიწროვებს კსანს კლდითა. ამ კლდეს ქვეით, მტკვრამდე, ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწროდა მჭიდრო, უვენახო, უხილო, წირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა ტყიან კლდიანობითა“.

ქსნის ხეობის მთად და ბარად დაყოფას იზიარებს აკად. გ. ჩიტაია. იგი შენიშნავს, „მთა და ბარად დაყოფილი ჩანს ეს ხეობა ხალხის აღწერის დაფორმების მიხედვითაც: ბარის მოსახლეობა ცალკე აუწერიათ, ზოლო მთის ცალკე“.

მართალია, ბუნებრივ გარემოს და მის შესაბამის მეურნეობას კარ-მიდამოთა ტიპების წარმოქმნისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იმასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, როგორ ისტორიულ და სოციალურ პირობებში ხდებოდა კარ-მიდამოს ამა თუ იმ ტიპის ფორმირება, როგორ ზეგავლენას ახდენდა ამ პროცესზე სოციალური ფაქტორები.

გამოუდივართ რა ზონალობის პრინციპიდან, ქსნის ხეობაში არსებულ კარ-მიდამოს ვყოფთ სამ კგუფად: მთის, გარდამავალი და ბარის.

მთის კარ-მიდამო.

მთის კარ-მიდამოს გავრცელების არე მოქცეულია მთიანი ზონის ფარგლებში (1100-1800 მ ზღვის დონიდან). მაგრამ აქ მთის მკაცრმა პირობებმა, გვერდა, ფერდა და მწირმა ადგილებმა, ხანგრძლივმა ეროზიულმა მოვლენებმა და ცივმა კლიმატურმა პირობებმა, მოსახლეობა იძულებული გახადა ცხოვრების მთავარ სახსრად მესაქონლეობა გაეხადა. იგი ვერტიკალურ ზონაში მეურნეობის წამყვან დარგად იქცა. ამ გარემოებით უნდა აიხსნას მთის ზოლის კარ-მიდამოთა სტრუქტურაში მესაქონლეობისათვის დამახასიათებელი ელემენტების სიჭარბე, რელიეფურობა. მთის კარ-მიდამოში შედიოდა შემდეგი ელემენტები:

1. სახლი. ა. ბანიანი, ბ. ახალი ტიპის სახლი (წახანაგოვანი სახურავით, გ. ჩიტაია), იყო აგრეთვე გაბმული სახლებიც, სადაც ოჯახის განაყარი ცხოვრობდა.



2. „დაფარებული კალო“. ეს არის ისეთი კალო, რომლის ქვეშ მოწყობილია „საწყობო“ ან ბოსელი. იყო აგრეთვე „ფუხის კალო“ და „ველის კალო“, ბოსელში შედიოდა საძროხე, სახბორე, საღორე (იგი შეიძლება ცალკეც ყოფილიყო), საქათმე (ქანდაკაზე). ყველა—ეს სათავსო დაწნული, ან ფიცრული ძვიდევებით იყო განცალკევებული. კალო მეორე სართულზე იყო და ის სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდა: მასზე ქერი იღვწებოდა, ზაფხულში იყენებდნენ ძროხების საბმელად, თივის სათავსოდ, ტყავის „სახმობად“; 3. საბძელი; 4. ახორი (ცხენის საჭმლის ჩასაყრელი) 5. „გარეშამო“ (ეზო); 6. საძნე; 7. ორმო (მარცვლეულის ან კარტოფილის შესანახად; 8. „გოდორი“ დიდი (მარცვლის სათავსო); 9. თონე ან ფურნე; 10. მარანი; 11. საკუჭნაო, 12. ბაკი; 13. საბატკნე; 14. ბოსტანი; 15. წყარო.


ესოში იყო აგრეთვე სახორე ადგილი, ან შეშის საყუდელი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ გარეშამო (ეზო) კალო იყო და ეს კალო მეორე მეზობლის ბოსლას სახურავს წარმოადგენდა (ს. ღარუეთი). ქსნის ხეობის მთიან ზოლში კარ-მიდამოს ელემენტების განლაგების არე მაქსიმალურად შევიწროებულია. მეტწილად სამეურნეო სათავსოები გაერთიანებული იყო საცხოვრებელ სახლთან. ზოგჯერ სახლს არ ჰქონდა „გარეშამო“ (ეზო), ან იგი ძალზე მცირე იყო (რამდენიმე კვადრატული მეტრი). არა იშვიათად ერთი მოსახლის კალო მეორე მოსახლის ბოსელს წარმოადგენდა. კარ-მიდამოს ასეთი სტრუქტურა უნდა აიხსნას მთიან ზოლში რელიეფის თავისებურებით, მიწის სიმცირით, ზამთრის სიმკაცრით, მეურნეობის ხასიათით და სოციალური ვითარებით.

მთის ზონაში კარ-მიდამო განლაგებულია მაღალ, უსწორო რელიეფზე. რელიეფის უსწორობა, მიწის სიმცირე, მკაცრი კლიმატური პირობები (ხანგრძლივი ზამთარი, დიდი თოვლი და სხვ.) ზღუდავს საკარმიდამო ნაგებობათა ვრცელ არეზე განლაგების შესაძლებლობას, ამცირებს კარ-მიდამოთა გაშლის რადიუსს.

კარ-მიდამო გარდამავალ ზონაში

სხვა ვითარებაა გარდამავალ ზონაში (1000-1100 მ ზღვის დონიდან) აქ საკარმიდამო ნაგებობების განლაგების არე უფრო ვრცელია.

ქსნის ხეობაში გარდამავალი ზონის ძირითად (საწყისი) ადგილად მიგვაჩნია სოფელი საძვეური. ეს არის ამ ზონის დასაწყისიც და დასასრულიც. გარდამავალ ზონას ახასიათებს როგორც მთის ისე ბარის ნიშნები. ამიტომ ის არც მთაა და არც ბარი, არამედ რაღაც საშუალო. ეს თავისებურება ვლინდება როგორც ბუნებრივ პირობებში (რელიეფი, კლიმატი, მცენარეული საფარი და სხვ.), ისე მეურნეობისა და დასახლების სტრუქტურაში. მთის ზონაში, როგორც აღინიშნა, სამეურნეო ნაგებობანი მეტწილად საცხოვრებელ სახლთან იყო შერწყმული, ნაწილობრივ ასეა დღესაც. პირიქით, საშუალო ზონაში სამეურნეო ნაგებობანი გამოჯნულია სახლისაგან. აქ ვხვდებით ძველებურ ბანიან სახლებს, მაგრამ ისინი გადაკეთებულია და შერწყმულია ნაგებობის ახალ ელემენტებთან. არსებობს ახალი ტიპის ოთხფერდა სახურავიანი სახლებიც. (სახურავად გამოყენებულია კრამიტი). აქაურ კარ-მიდამოში, გარდა საცხოვრებელი სახლისა, არის ბეღელი და „ზარი“ (სასიმინდე), რომელიც მთის ზონაში არ შეინიშნება. აქ მათ ფუნქციებს ასრულებდა „დიდი გოდრები“. რაც მთავარია, აქაურ კარ-მიდამოში შეიმჩნევა სამეურნეო ვითარებით გამოწვეული ცვლილებები. ეზოები ფართოა, მოიცავს ერთმანეთისაგან გამოჯნულ სხვადასხვა ნაგებობას. ეზოს ორი კარი აქვს (წინა და უკანა). კარ-მიდამოში ზოგიერთ ნაგებობათა საჭიროება ნაკარნახევი იყო შემინდვრეობის ხასიათით. აქ მოქყავთ ნაირგვარი პურე-



საცხოვრებელი სახლი სამეურნეო ნაგებობებით
(ქსნის ხეობა სოფ. შუაუბანი)

Жилой дом с хозяйственными пристройками (Ксанское ущелье с. Шуаубани)

ული: ქერი, დიკა, დოლი, ასლი, სიმინდი და სხვა. პირიქით, მთიან ზოლში მარცვლეულიდან მხოლოდ ქერს ან „ქერდიკას“ თესავენ (სხვა მარცვლეული არ ხეირობდა), თანაც მოსავალი მცირე იყო. მარცვლეულს შესანახად საკპარისად იყო გოდრები, ბელელს არაეინ საჭიროებდა. მთაში ნათესებს არ რწყავდნენ, ამიტომ სარწყავი არხები არ ჰქონდათ, საშუალო ზონაში არხი არის, თუმცა მარტივი სახისა, იყენებენ ბოსტნების მოსარწყავად. ბოსტნეულიდან მოკვავთ: კარტოფილი, კომბოსტო, პამიდორი; ამ ზონაში მოურწყავად ბოსტნეული ვერ იხარებს. გავრცელებულია ვაზიც, მაგრამ მცირე მოსავალს იძლევა და დიდ შრომას მოითხოვს. მოსახლეობა ამბობს: ვაზი აქ „ძალინი არისო“, „როგორც არ უნდა იყოს, მაინც მთა არის მთაო“. საერთოდ ქსნის ხეობის გარდამავალ (საშუალო) ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურები ისეთ ვეფქტს ვერ იძლევა, როგორც ბარში, რაც გამოწვეულია ამ ორი ზონის ბუნებრივი პირობების განსხვავებით, მთავარია ადგილთა განსხვავება ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით. ჭირანახულის უკმარობის გამო მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობასაც მისდევდნენ (აქ ყველა სახის საქონელი ჰყავთ რაც საქართველოშია) მაგრამ მეურნეობის ეს დარგი არ იყო და არც ამჟამადაა ისე განვითარებული, როგორც მთიან ზოლში. დასახლებული გარდამავალი ზონის მეურნეობის აღნიშნული თავისებურება გამოხატულებას პოვებდა კარ-მიდამოს სტრუქტურაში. მას თანაზომიერად ახასიათებს, როგორც მთის, ისე ბარის მეურნეობის შესატყვისი ნიშნები.



კარ-მიდამოთა ელემენტები გარდამავალ ზონაში 1. სახლი (მეტწილად თანამედროვე ტიპის, ორსართულიანი), 2. ბოსელი, „დიდი გოდორი“. (აქედან იმ- ვიათია), 3. მარანი (არყის და ზილისათვის), 4. საკუჭნაო, 5. თონე ან ფურნე, 6. „ზა- რი“ (სიმინდის სათავსო), 7. „დაფარებული კალო“, 8. საბძელი, 9. სათიფე, 10. სა- ფუტკრე, 11. ბოსელი: ა. სახარე, ბ. საძროხე, გ. სახბორე, დ. საქათმე, 12. ბაკი, სა- ბატკნე, 13. თონე ან ფურნე, 14. ეზო, 15. ბოსტანი, 16. ბაღა, 17. წყარო, 18. სარ- წყავი არხი.

კარ-მიდამო ბარის ზონაში

სულ სხვაა ბარის ზონაში მოქცეული კარ-მიდამოს სტრუქტურა ბუნებრივ პი- რობებთან დაკავშირებით. აქ უკვე სიმაღლეები თანდათან იწევეს ძირს და დადის სა- თანადო პირიზონტზე. სიმაღლეთა შკალა გვიჩვენებს, რომ მთასა და ბარს შორის განსხვავება დიდია. მაგ. ლამისყანა 680 მ, ძალინი 590 მ, მუხრანი 540 მ. საკმარის- სია ეს მონაცემები შევადაროთ მთის ზონას, დავინახავთ მათ შორის 1000 მეტრზე მეტ სხვაობას. რასაკვირველია, ასეთი განსხვავება თავისებურ გავლენას ახდენს ბუ- ნებრივ ლანდშაფტზე. ამ ზონებს შორის ცხადია არა მარტო განსხვავება, არამედ უშუალო გამიჯვნაც. გარდამავალი ზონის ქვემოთ ჩვენ უკვე ნამდვილ ბარში ვართ. სწორედ ამაზე მიუთითებს თვით მიწის დასამუშავებელი იარაღი — „ბარული გუთა- ნი“. აქ ბარის ყველა კულტურული მცენარეა წარმოდგენილი, განვითარებულია მკ- ვენახობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა, რასაკვირველია, ასეთ ინტენსიურ მეურნე-ობას არ შეიძლება კარ-მიდამოზე გავლენა არ მოეხდინა.

ქსნის ხეობის ბარში, კარ-მიდამოები ძველად ატარებდა სოციალური დიფერენციაციის ნიშნებს. მუხრან-ბატონთა, ერისთავთა და ორბელიანთა კარ-მიდამო თვალნათლივ გამოიყოფოდა გლეხური კარ-მიდამოსაგან. მათი საცხოვრებელი, ციხე-გალაენებით, ციხე-სასლევით ხასიათდებოდა. ისინი შემოსულდული იყო გალაენე- ბით და ქვის ზღუდეებით, ალყაფის კარებით ჩაკეტილნი, ეზო დიდი და ფართო, მარცვლეულთათვის დიდი ბელლები ჰქონდათ. საკმარისია თვალი გაგადევნოთ ახალ-გორის ერისთავთა კარ-მიდამოს, რომელიც რამდენიმე ციტადელით იყო გამაგრებული. მასში იყო საჯინბოები, მარნები, ბელლები, ბაღები და სხვა. ეზოს სივრცე რამდენიმე კილომეტრს მოიცავდა, გიორგი ერისთავის კარ-მიდამო, რომელსაც არც თუ იხეთი დი- დი ისტორია აქვს, 42 ელემენტს მოითვლიდა. ასევე, მუხრან ბატონის კარ-მიდამო, რომელიც უკვე საკმაოდ ცნობილია ჩვენს ისტორიაში, რთულ საცხოვრის წარმოად- გენდა.


მაგრამ სულ სხვა იყო გლეხთა კარ-მიდამო. მათი ბანიანი სახლები ძველად მი- წაში იყო ჩაფლული, შიშინანობისა და ავებდობის დროს რომ თავი გადაერჩინათ. ამ- ით აიხსნება მათი ასეთი კარჩაკეტილობა. მეტწილად გლეხური კარ-მიდამოს კომპ- ლექსი საცხოვრებელ სახლთან იყო გაერთიანებული და ზოგს ეზო არც კი გააჩნდა. ხშირად მარცვლეული და სხვა საჭირო საკვები, თვით საცხოვრებელ ბინაში მოთავსე- ბულ — „დიდ გოდრებსა“ და „ორმოებში“ ინახებოდა. თუმცა მათი საცხოვრისი და- ნაწევრებული იყო, იგი მაინც პასუხობდა ბარის ინტენსიურ მეურნეობას. ქსნის ხეო- ბის ბარში რომ სათანადო სიმაღლეზე იდგა სოფლის მეურნეობა, იმით მტკიცდება,



რომ ქსოვრისში ძველი დროიდან გამოყვანილი იყო სარწყავი არხი, რომელიც ხანია-
თდებოდა რწყვის რთული სისტემით. ძველად ახალგორის ქვემოთ უფრო შვედრად
შეიმჩნეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი სოციალური დიფერენციაცია,
რაც დიდი ხანია აღარ არსებობს. აქ არის მსხვილი გაერთიანებული კოლმეურნეობები,
საცხოვრებელი ნაგებობები დამშვენებულია ეზოებით, სადაც მრავალი სახის ხეხილია
დარგული. რევოლუციის შემდეგ კარ-მიდამოთა სტრუქტურა ქსნის ხეობაში რადიკა-
ლურად შეიცვალა.

სვანური საცხოვრებლის ერთი სახე

სვანურ საერო ზუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის გამოირჩევა ნაგებობათა ჯგუფი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სვანირიანი სახლის სახელწოდებით¹. ბალს ჭვემო სვანეთისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ასეთი ნაგებობა გრაფიკულად დაგაფიქსირეთ ეცერში (სურ. სურ. 1, 2, 3). იგი აღმართულია სოფ. ბარშის სამხრეთის მისასვლელთან, გზისპირას და ეკუთვნის ნ. გურჩიანს.



სურ. 1.

ფოტო 1

სვანირიანი სახლი წარმოადგენს ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ ორ-სართულიან საცხოვრებელ სახლსა და სამსართულიან „სვანირ“-ს. სვანირიანი სახლის კედლები ქვისაა, ფსადის მხარე შელესილია და შეეთორებული.


საცხოვრებელი სახლის სართულშუა გადახურვები განხორციელებულია მზიდი და სასვენი დირეების კონსტრუქციული სისტემით, რომელიც სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებს თანაბრად ანაწილებს ნაგებობის ოთხსავე კედელზე. სახლი ორქანობიანი სახურავითაა გადახურული. სახურავ მასალად ყავარია გამოყენებული.

სვანირის სართულშუა გადახურვები მალის სიმცირის გამო მარტივადაა გადაწყვეტილი. აქ მხოლოდ მზიდი დირეებია გამოყენებული. სვანირი ერთქანობიანი სახურავითაა გადახურული.

საცხოვრებელი სახლისა და სვანირის რამდენიმე კარის მუხის ხის ფრთები, მიზურვის შემდეგ მუხის ხისავე მასიური ურდულეებით იკეტება. ურდულეებით იკეტება აგრეთვე სარკმლების დარაბები. სახლის პირველი სართულის აღმოსავლეთის კედელზე ერთ-ერთი სარკმელი, სალოცავ სარკმელს წარმოადგენდა. თავდასხმების საფრ-



ՆԱՐԻՆԵՄԷՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ





կցճ. 2.

ֆոտո 2

կցճ. 3.

ֆոտո 3





სურ. 4.

ფოტო 4

თხის შემცირების შემდეგ რამდენიმე სარკმელი გაუგანირებიათ ნაოთხალების მონგრევის ხარჯზე.

საცხოვრებელი სახლის და სვანირის სართულების სათავსები ერთმანეთთან იატაკში დატოვებული საძრომებითა დაკავშირებული.


სვანირის შესამე სართულის აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებს თაღებიანი საბრძოლო პარაპეტი ამთავრებს, რომელშიც სათოფური ხვრელები და სამზერი ღიობებია დატოვებული.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსი (სვირი) ადამიანების სამყოფად და საქონლის სადგომად გამოყენებული. საქონლის სადგომი ადამიანის სამყოფისაგან გამოყოფილია ხის მაღალი ტიხრით. ტიხარი უხვადაა შემკული გეომეტრიული ორნამენტით. სახლის მეორე სართულის სათავსი (დარბაზი), საქონლის საკვების შესანახად გამოიყენება. დარბაზის ფართი ქვედა სართულის სათავსთან შედარებით გაზრდილია კედლების სიგანეების შემცირების ხარჯზე.

სვანირის პირველი სართულის სათავსი (გვემ-გომი) სარდაფის მოვალეობას ასრულებდა. მეორე სართულის სათავსი (სვანირის სვირი) საცხოვრებლად გამოიყენებოდა, ხოლო შესამე სართული კი (სანგეჭვ=სიმეგრე) თავდაცვის მიზნებს ემსახურებოდა.

სოფ. ბარში ავზომეთ კიდევ ერთი სვანირიანი სახლი. იგი სოფლის სამხრეთითაა აღმართული და ეკუთვნის თ. გურიანს (სურ. სურ. 4, 5) თუ წინა შემთხვევაში სვანირი წაგრძელებულ ნაგებობას წარმოადგენდა, აქ ის ატარებს კომპისმაგვარი ნაგებობის სახეს. სვანირი ოთხსართულიანია.

სვანირის მეოთხე სართულს აქ ოთხსავე მხარეს საბრძოლო თაღებიანი პარაპეტი აგვირგვინებს. პარაპეტის კედლებში ორ იარუსადაა განლაგებული სათოფური ხვრელები. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს ოთხ-ოთხი თალი გააჩნია. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებზე კი სამ-სამი თალია.



სურ. 5.

ფოტო 5

სვანირის თაღებქვეშ ზოგან სათვალთვალო ღიობებიცაა დატოვებული.

ერთი სვანირიც სოფ. ფარში აღეწერეთ. ნაგებობა აღმართულია, სოფლის განაპირას დასავლეთით და ამ მხრიდან სოფელში მომავალ გზას იცავდა სვანირი დიდი ხნის წინათ მიუტოვებით და მისგან ნანგრევებიღა დარჩენილა. სვანირის ჩრდილოეთის კედელთან სვანური საცხოვრებელი სახლი მდგარა, რომლისგანაც ჩვენამდე აღარაფერს მოუღწევია.

სვანირიანი სახლის გავრცელების არეალი ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთს მოიცავს. ბალს ზემო სვანეთში სვანირი გვხვდება რთულ ვალაყნიან საცხოვრებელ კომპლექსებში, ეს კომპლექსები დაკავშირებულია დაწინაურებულ გვარებთან (ჩარკვიანები, იოსელიანები, ხერგიანები...). ბალს ქვემო სვანეთში სვანირიანი სახლები დაკავშირებულია დადემქელიანების საცხოვრებელ კომპლექსებთან. ბარშის სვანირიანი სახლები დადემქელიანების სასახლის დაცვის გაძლიერებას ემსახურებოდნენ. ასევე იყო სოფ. ფარშიც, სადაც ჩვენს მიერ აღწერილი სვანირი დადემქელიანების მეორე შტოს სასახლის დაცვას აძლიერებდა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ მატერიალური კულტურის ამ ძეგლების დაცვას არავითარი ყურადღება არ ექცევა. ზემოაღწერილი პირველი სვანირიანი სახლი ავსომეთ 1967 წ. სამი წლის შემდეგ, 1970 წ. სვანური საცხოვრებელი სახლის ნახევარი მონგრეული დაგვხვდა. მისი მასალით იქვე, ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლი აუგიათ. მეორე სვანირიანი სახლი ავსომეთ 1966 წ. ოთხი წლის შემდეგ, 1970 წ. სვანირის საბრძოლო სართული უკვე მონგრეული იყო. დასანანია თავისებურად უნიკალურ ნაგებობათა ასე ხელაღებით განადგურება. კარგი იქნებოდა თუ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება ზოგიერთი ამ ძეგლის გადარჩენისათვის საჭირო ღონისძიებებს განაზოცილებდა.

1 რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, 44, 46.

მელოურის ციხე

საქართველოს ისტორიის პატრიარქი და მამამთავარი ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ ჩვენი კულტურული ქმნილებების ნაწილი გვეკარგება საუკუნეების მიღმა პერიოდში. ამ ხარვეზების შევსებაში ისტორიკოსებთან ერთად გარკვეული როლის შესრულება შეუძლია ყველა ქართველს, ვისაც ერზე გული შესტკივა და დაინტერესებულია მისი კულტურული საგანძურების ძიებით.

საქართველოში ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი ძეგლები, რომლებიც არ არის შესწავლილი და არც ერთ ისტორიულ წყაროში არაა მოხსენებული. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია მელოურის ციხე. იგი ვანის რაიონის განაპირა მთიანი სოფლის — ძულუხის აღმოსავლეთ უბანში — მელოურის მთაზე მდებარეობს, სასოფლო ცენტრიდან 3 კმ დაშორებით.

სოფელში მცხოვრები ხანდაზმული ადამიანების: ისაკი ხელაძის, იპოლიტე და ვენედიქტე ხურციძეების, პოლიკარპე, სტეფანე და გრიგოლ გომიგერიძეების გადმოცემული ლეგენდებით — ციხე თამარ მეფის დროს აუგიათ. „მდინარე ძულუხურიდან მელოურის მთამდე ხალხი ერთმანეთის გვერდით იდგა, ქვა ხელიდან ხელში გადადიოდა და ისე ეზიდებოდნენ“.

ხალხში არსებობს ასეთი თქმულება. თამარს თავისი მსლებლებით მესხეთიდან საირმე და ვანის მთები გადმოუვლია, ერთ-ერთ მთაზე დაუსვენიათ, წყალი მონდომებითა, უძებნიათ და ახლო უნახიათ. მთისთვის და წყაროსთვისაც მეფის წყარო დაურქმევიათ, მელოურის მთა საციხედ მოსწონებია და აუშენებია კიდევ.

საქართველოში მრავალი ტიპის ციხე გვხვდება. მელოურის საფორტიფიკაციო ნაგებობა სახელმწიფო მნიშვნელობის ციხეს წარმოადგენდა. ამაზე მოუთითებს ის, რომ მას სტრატეგიულად მეტად ხელსაყრელი ადგილი აქვს შერჩეული. იგი მდებარეობს მდინარე ძულუხურას მარცხენა-მხარეს, მაღალ გორაზე. მისი სამი მხარე ციკაბო კალთებს წარმოადგენს, ხოლო მეოთხე ვაკეა. ძულუხიდან მელოურის გავლით გზა ადის მეფის წყაროზე. იქიდან საირმეში, წითელ მინდორზე და მესხეთში. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ მტერი სამხრეთიდან ამ გზით განიზრახავდა იმერეთში შემოჭრას, ციხე უნად იყო თავდასაცავად.

ხანდაზმული ადამიანებისაგან ხშირად გვამენია, რომ ოსმალებსა და ლეკების შემოსევის დროს ხალხი ტყეში იხიზნებოდა. ამდენად შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ციხე ამ მიზნისათვისაც იყო აგებული.

ციხის ფართობი 350 კვ. მ. უდრის. იგი შესაძლოა ციტადელი იყოს. მისი კედლების ორი მხარე თითქმის მთლიანადაა შენარჩუნებული, ნაწილი კი დანგრეულია. ამჟამად არსებული კედლების სიმაღლე 7-8 მ აღწევს, სიგანე 2 მ. დანგრეულ კედლებზე ამოსული მუხის ხეები დაზერებულია. კედლის კუთხეები მრგვალადაა გამოყვანილი. ციტადელი შიგნით დაყოფილია. ერთი სადგომი დღესაც შესანიშნავადაა დაცული.

ციხეს ორი გალავანი ჰქონია, რომლებიც მთლიანად დანგრეულია. პირველი გალავნის ფართობი დაახლოებით 2000 კვ. მ, მეორე გალავნისა კი 10000 კვ. მ-ია. ციხეში



მელოურის ციხე

Крепость Мелоури

ქვევრებიც ჰქონიათ. ციხის შიგნიდან გვირაბი ჩადიოდა მდინარე, ძულუხურამდე, საიდანაც ამოჰქონდათ წყალი მტრის გარემოცვის დროს.

ხალხური გადმოცემით სახელი — მელოური მეღიებიდან წარმოშობილა, რადგან წინათ აქ ძალზე ბევრი მეღია ყოფილა. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ აქ ძველად ცხოვრობდა გვარი „მელაძე“ და სახელწოდება „მელოური“ იქიდან იყოს წარმოშობილი.

მართალია, მელოურის ციხე დღეს სოფელ ძულუხვის განაპირა უბანია, მაგრამ საუკუნეების წინ მოსახლეობა ციხის ზემოთ რამდენიმე კილომეტრზე ვრცელდებოდა. ძველი დასახლების კვალი დღეს ნათლად ჩანს გორმალალზე. ქვისროდინზე, ნაეკლესიებზე, ნასამჭედურებსა და სხვა ადგილებში. გორმალალზე დღესაც არის ქვევრები. აქვე ერთი კმ მანძილზე დანგრეული ეკლესიაა; ნ კმ მოშორებით მეორე ნაეკლესიები. აქვე ახლო ორი დიდი ქვის როდინია და აქედან დაერქვა ამ ადგილს „ქვისროდინი“, რასაც დღესაც ეძახიან. ხალხში არსებობს ასეთი თქმულება — თაკაროულის მთას დევი სანისლიის შთიდან ესროდა ქვებს, რომლითაც ხალხმა მერე ეკლესია ააშენა. იქ სადაც ახლა სოფელ ძულუხვის ცენტრია, ძველად ქვისჯვარი ყოფილა და სახელადაც მას „ქვიჯვარს“ ეძახდნენ.

ვანის რაიონის ტერიტორიაზე რამდენიმე ნაციხარია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მნიშვნელოვანი არც ერთი არ არის. მიუხედავად ამისა ციხის მოვლა-პატრონობას ყურადღება არ ექცევა. ციხის შიგნით ამოსულია მცენარეები და ეკლები. საჭიროა რაიონის კულტურის განყოფილებამ, ძულუხვის საბჭომ და სკოლამ ყურად-

ღება მიაქციოს ციხეს. ის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ღირსია დაენიშნოს მცვე-
ლი, რომელიც მოუვლის და უპატრონებს მას. ძეგლს რაიონის სკოლებისათვის საცემ-
კურსიო მნიშვნელობაც ექნება. ძეგლებებისათვის ეს ციხე სიამაყეს წარმოადგენს
და ყველამ უნდა იზრუნოს მის მოვლაზე.

15 წლის წინათ მელოური დასახლებული იყო, ამჟამად დაცარიელებულია. ეს
არ არის კარგი. საჭიროა აქ ისევ დავასახლოთ მოსახლეობა, რაც გაადვილებს ძეგ-
ლის მოვლას. თუ გზას შევაკეთებთ ციხემდე, აქ ისეთი შესანიშნავი ჰავაა და ხელსაყ-
რელი პირობები სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, განსაკუთრებით კი მეფუტკ-
რეობის განვითარებისათვის, რომ დასახლების მსურველი მრავალი განდგება.

ვინ იცის. რამდენ საიდუმლოს ინახავს მელოურის ციხე. საჭიროა საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტმა მიაქციოს მას ყურადღება და
მის შესასწავლად მიავლინოს სპეციალისტები.

გორიჯვრის ეკლესიის შესავლისათვის

ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ აღნიშნავს, რომ: „გორის პირისპირ არს ეკლესია წმინდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, სასწაულთმოქმედი. თავი წმინდის გიორგისა მდებარეობს ჯვარსა შინა, უწოდებენ გორიჯვარს. არა იყო მუნ წყალი, დედოფალმან რუსუდან მოიტანა მთიდან“¹

ეს ეკლესია ციხე-გალავნით იყო გარშემორტყმული და თუ „გორის ციხე კარზე მომდგარ მტრებს იარაღით ებრძოდა, გორიჯვარი წმ. გიორგის შესთხოვდა მტერზე გამარჯვებას.“² ეკლესია 1920 წლის მიწისძვრამ ნანგრევებად აქცია, მაგრამ მის შესახებ მრავალი საინტერესო თქმულება დარჩა. ერთ-ერთი ასეთი თქმულება, რომელიც ჩვენს მიერაა ჩაწერილი ქ. გორში სამეცნიერო მიუღინების დროს, შემთავი ხასიათისაა: წმ. გიორგი (ვის სახელსაც ატარებს გორიჯვრის ეკლესია. ა. ნ.) ხელმწიფის კარზე მომუშავე ადამიანი ყოფილა. იგი კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მეფეს, მაგრამ ბოროტი ენების მემულობით მეფე მისდამი მტრულად ვანწყუო. მეფეს უთხრეს—ეგ ინეთო ადამიანია, რომ მალე ხელმწიფობას შეგეცილებო. განრისხებულმა მეფემ ბრძანა გიორგის 365 ნაწილად დაჭრა და ამ ნაწილების საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებულ მთებში დამარხვა.

მიუხედავად მეფის ასეთი დაუნდობელი უსამართლო მოქმედებისა „კეთილმა სძლია ბოროტსა“ და იმ ადგილებში, სადაც გიორგის სხეულის ნაწილები იყო დამარხული, თავს იყრდნენ ანგელოზები. ამ ამბავმა მეფე ძლიერ დააღონა, გიორგი წმინდანად გამოაცხადა და მისი სხეულის ნაწილების დამარხვის ადგილებში ეკლესიების აშენება ბრძანა.³

ჯერ კიდევ XIV—XV საუკუნეებში გერმანელი მოგზაური ჰანს შელიტბერგერი წერდა, რომ ქართველები წმინდა გიორგის მეტისმეტად თაყვანსა სცემენო.⁴ როგორც ვიცით, საქართველოში ყველაზე მეტი ეკლესია წმ. გიორგის სახელზეა აგებული. ხალხში გავრცელებულია რწმენა რომ საქართველოში იმდენი წმინდა გიორგია და მასთან დაკავშირებით მისივე სახელობის ეკლესია, რამდენი დღეცაა წელიწადში. ალბათ ამიტომაცაა, რომ ვახუშტი აღნიშნავს, „არ არიან ბორცვნი და მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი ეკლესიანი წმინდის გიორგისანი“—ო.⁵

ქართველი ხალხის რწმენით წმინდა გიორგი ღვთაებათა შორის უფროსობით და ძლიერებით პირველია, მეორეა ღმერთი შემოქმედი, ხოლო მესამე ადგილზე—ელია დგას. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით წმინდა გიორგის კულტმა ქართველთა მთავარი ღვთაების მთვარის კულტი შეცვალა.⁶

თქმულების მიხედვით, გორიჯვრის ეკლესია თამარ მეფის აგებულია⁷. მის შესახებ ცნობები აქვთ მოცემული მ. ბროსეს, დ. ბაქრაძეს, ე. თაყაიშვილს და სხვებს. პ. უვაროვას აზრით როგორც ეკლესია, ასევე მისი ციხე—გალავანი უძველესი დროისაა,⁸ მაგრამ მისი აშენების ზუსტი თარიღი არასად არ არის ცნობილი. ერთი კი ცხადია, რომ ეს ეკლესია კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574—1605) დროს უკვე კარგადაა ცნობილი.



ვახუშტი აღნიშნავს, რომ გორიჯვრის ეკლესიაში წმ. გიორგის თავია—„ჯვარსა შინა გამოსახულიო“. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ეკლესიაში ჯვარი იყო. ამის დასტურებას ბის შესახებ მეტად საინტერესო თქმულებაა შემორჩენილი, რომლის მიხედვითაც ჩვენს კვევა, რომ ჯვარი გიორგი ამილახვარს ორთაშენში წაუღია, მაგრამ როგორც სოფელ დიდგორიჯვარში მცხოვრებმა 70 წლის ალექსანდრე ივანეს ძე მოციქულაშვილმა გადმოგვცა „ჯვარი გამოქცევი ამილახვარს და როგორც ანთებული ცეცხლი ისე მოფრინავდა თავის ადგილას ეკლესიაში“⁹

როგორც ცნობილია, წარსულში და ამჟამადაც ეს ეკლესია სალოცავად ითვლებოდა. გორიჯვრის სასწაულთმოქმედ წმ. გიორგის მიძიმე სენისაგან განკურნებას ვეუდრებოდნენ (ბნედა, სულით დაავადება, დაყრუება, დამუნჯება და სხვა). მეფე და დიდებულები მას ძვირფასი შესაწირავებით ამკობდნენ. კახთა მეფე ალექსანდრე II რომელსაც ცოლად ჰყავდა ბარძი ამილახვრის ასული (ამ უკანასკნელს კი ეკუთვნოდა გორიჯვრის ეკლესიის მამული) შესწირა გორიჯვარს კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი, რომლის სიმაღლე 1,88 მ. სიგანე 0,84 მ. შემკულია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც რელიეფური ჭედვით გამოსახულია წმ. გიორგის ცხოვრებისა და წამების სცენები. ჯვრის ქვეშთ ტოტზე ჯვრის გაკეთების დროინდელი წარწერაა, რომელიც ქარაგმების გახსნის შემდეგ როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, შემდეგნაირად იკითხება: „წქ მოწამეთა შორის

დაუსვენებლო ვარსკულავო,
კერპთ შემშუსერელო და მოწამეო, დიდო,
ღმობა ტანისა და ძვალთა ჩემთა ბრძვილნი
განმიკურნე მე, მეფესა ალექსანდრეს
რომელთა ვინებეთ ხატთა თქვენთა მოჭედა...“¹⁰

წარწერას არა აქვს თარიღი, მაგრამ როგორც აკად. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, სურათების სტილით და ნაწილობრივ თვით წარწერის ხასიათით, ეს უფრო XVI საუკუნის კახელი ოსტატების ნამუშევარი უნდა იყოს. მისივე ვარაუდით, ჯვრის შემკობა ვერცხლის ნაჭედი ფირფიტებით კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574—1605) საქმეა, იმ ალექსანდრესი, რომელმაც ესოდენ უხვად უბოძა ზარები სვანეთის ეკლესიებს.¹¹ ჯვრის ქუდს პირამიდული მოყვანილობის ფორმა აქვს. რომელიც დაფარულია ტლანქი შტამპიანი სურათებით.¹²

ზემოსწინებელი მკვლევარის ცნობით რეკონსტრუქციის დროს გორელ ნემამულეს, გიორგი ამილახვარს გადაუტანია თავის სასახლეში ეს ჯვარი და მიუსაკუთრებია. 1920 წელს მისგან ეს ჯვარი შეიძინა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ.

გორიჯვრის ეკლესიის მიდამოებში წყალი არსად არ იყო, ვახტანგ VI მეუღლემ ჩერქეზთ ბატონის ასულმა რუსუდანმა ბურეთის მთიდან გამოიყვანა წყალი (თავისი მეუღლის ვახტანგის დასახსნელად, რომელიც იმ დროს (1712 წ.) ირანის შაჰის კარზე პატიმრობაში იმყოფებოდა) როგორც თვით აღნიშნავს „ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და ძეთა ჩვენთა ბაქარისა და გიორგის აღსაზრდელად ქრონიკონი უ“ (1712 წ.)¹³

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეკლესიასთანაა დაკავშირებული დღეობა „გორიჯვრობა“, რომლის დროსაც მრავალი საინტერესო რიტუალი სრულდებოდა. (ჩველზე შანებჩამოკიდებული მლოცველების ღამის თევა, შესაწირი საქონლის დაკვლა, ქადაგად დაცემა ლოცვა, პურობა, ცეკვა—თამაში და სხვა).



საკიროდ მიგვაჩნია სათანადო ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ
ნგრევადად ქვეულ ამ ძველ ისტორიულ ძეგლს.

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 57.
 2 ს. შაკალათია, ლიახვის ზეობა, 1971, გვ. 105.
 3 მთხრობელი ვარა სოლომონის ასული მერაბიშვილი, 70 წლის ქ. გორი, 1969 წ.
 4 იბ. ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, გვ. 48.
 5. Description géographique de la Géorgie, გვ. 52.
 6 ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, გვ. 49-50.
 7 ი. მეგრელიძე, დიდი ლაზის ზეობის სიძველენი და მათი წარწერები, სტალინის პედ.
 ინსტიტუტის შრომები III, 1957, გვ. 241.
 8. П. Уварова, Материалы по археологии Кавказа, IV, стр. 161—162.
 9 ამილახვრის კარმიდამოდან ჭვრის გაქცევა დაგვიდასტურეს სოფელ ბატარა გორიქვარში
 მცხოვრებმა 70 წლის დავით სიმონის ძე შოშიაშვილმა და ქ. გორში მცხოვრებმა ვარა სოლო-
 მონის ასულმა მერაბიშვილმა.
 10 ე. თაყაიშვილი, «გორიჭვრის კანკლის წინ დასადგმელი ჭვარი». ი. სტალინის სახ. თბილი-
 სის საბელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1948 წ. ტ. XXXVI, გვ. 385.
 11 იქვე, გვ. 385.
 12 იქვე, გვ. 385.
 13 წარწერაიანი ქვაფიქალი ინახება გორის ისტორიულ-ენოგრაფიულ მუზეუმში, ინვენ-
 ტარის წიგნი, 1964 ი. მეგრელიძე, გორი, სტალინის პედ. ინსტიტუტის შრომები, III, 1957,
 გვ. 234.

ციხესიმაგრეთა საღიდავლი

(ხალხური პოეზია ციხესიმაგრეთა შესახებ)

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ წარსულში ესა თუ ის ციხესიმაგრე ძირითადად საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა, რომელსაც სტრატეგიული ფუნქცია ჰქონდა შინიჭებული. აქედან ხაზი უნდა გაესვას იმ უცილობელ, მჭკრემტყველურ ფაქტს, რომ სწორედ ამ ციხესიმაგრეებმა, წარსულის მრავალი სისხლიანი ტრაგედიის ამ უტყვმა მოწმეებმა, ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, სრული ფიზიკური განადგურებისაგან გადაარჩინეს საქართველო, ქართველი, ქართული... ანუ ფიგურალურად რომ ვთქვათ, ჩვენი ქვეყნის მრავალტანჯულ მიწაზე ეს ციხესიმაგრეები ჩამოკვავდნენ იმ ფუძემდებელ პიტალო კლდეებს, რომლებზეც, აქეთკენ დაძრულ, შაკქმნილ ურდოთა უსასრულო და უწმინდური მდინარის მღვრიე ტალღები იმსხვრეოდა...

ქართულ ციხესიმაგრეთა წარმომობასთან, მათი მშენებლობის გარკვეულ მომენტებთან, მათი საბრძოლო ბიოგრაფიის ცალკეულ ეპიზოდებთან უთვალავი ზეპირსიტყვიერი ნიმუში, ისტორიული თქმულება. ლეგენდა თუ ხალხური ლექსია დაკავშირებული. არაერთი ქართული ციხესიმაგრე, ფოლკლორული პოეზიის ხოტბისა და მაღალმხატვრული განსახიერების ობიექტად იქცა. საგმირო თემატიკის ბევრ წყობილ-სიტყვიერ ტექსტში ციხესიმაგრეები და მეციხოვნენი არდავიწყების მარადმუდმივი პიშით არიან განდიდებულნი, ფანტიკური თავყანისცემით არიან გარემოსილნი.

შეუდრეკელობა და გაუტყვლობა! — აი ის უპირველესი მოთხოვნილებანი, რომელიც ციხესა და მეციხოვნეებს წაეყენებოდა:

ანავის ციხე ჰალაო,

შეუპოვარო მტრისაო.

ამა თუ იმ ციხისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ლექსი მამულისათვის თავგანწირული ბრძოლის პატრიოტულ-ჰეროიკულ ეპიზოდებს მგზნებარე პათოსით გადმოგვცემს, რეალურ-კონკრეტულ ბატალურ სცენებს შთამბეჭდავად გვიჩვენებს. ასეთ ციხესიმაგრეებთან საქართველოს მატანიის მრავალი ღირსშესანიშნავი თარიღი მჭიდროდ ორგანულად არის გადახლართული. ანალოგიური ხასიათის ციხესიმაგრეთა თემაზე შექმნილი ლექსების ტიპს განეკუთვნება საგმირო-ისტორიული პოეზიის ნაწარმოებები „სად არის გაფრინდაული“, „წოვეთში გიგის ციხეო“ და სხვ. ამ ლექსებში საშობოლოს დაცვა ციხის დაცვასთან არის შეპირისპირებული და გაიგივებული. ციხის ციტადელი, ბასტიონი, ქონგურები თუ სვეტები სიმაგრის ბურჯებად არის სახელდებული. ამიტომაც ციხეს ისევ და ისევ სიმტიცე მოეთხოვება. ერთ-ერთ ასეთ ლექსში ციხისადმი უშუალო მიმართვის ფორმა გამოყენებული. ამით ხალხური მთქმელი ციხის მიმართ საკუთარ ღირსეულ-სუბიექტურ დამოკიდებულებას ამყარებს. აქ ციხე პერსონიფიცირებულია, მას ადამიანური თვისებები აქვს მიწერილი:

გამაგრილი გიგის ციხეო,

ჩაქვი ვალცხო ტანზედა!



მსგავსი ვითარება შეინიშნება სხვა ლექსშიც. აქ საკუთარ გმირულ რაგვადასაწინააღმდეგობას ვალს ციხე დრამატულად დაძაბული ერთ მოგვითხრობს:

— იამბე ციხის ნაშალო,
რა დრო გაქვს გამოვლილიო,
ვისი რა აგებული ხარ,
ვისირა ჩამოშლილიო,
ერთი სიტყვა ციხის ნაშალო
ძალიან გასაკვირიო,
— შალვაის აგებული ვარ,
ტინისა შედგა ძირიო,
სისხლის ღერა, შეილდის ზულიო
ბერი მიქვს გამოვლილიო...

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს საგმირო ბალადა „შურის ციხე“. მის ექსპოზიციურ ნაწილში მოცემულია დასახელებული ციხის არქიტექტონიკის პოეტურად აღწერილობა:

კვირავ გათენებადა შთას გადავიდეს შენია,
გასწირეს შურის ციხეი, საცა სიმაგრე ძეულია,
ხმალას რომ მღვარან ციხენი ცას მიზღენია წვერია,
ციხე უოფილას ცხრა თვალი, დახედულ მშვენიერია,
გვერდებზედ ხქონდეს ჩარღაზნი, ეუთებზეუ სათოფენია,
მიწი-მიწ ქქონდა დარანი წყაროზე ჩასასვლელია.

შემდეგ ამ ბალადაშიც ციხის მთავარ ღირსებად სიმტიცვე და ქედმოუხრელობა არის მინიშნებული:

მიულოციან: „ციხეო, ნემც მაგერევის მტერია,
ნემც ვაგიტყუების იღბალი, ეგრ დადევ როგორც კლდენია!.

ესა თუ ის ციხესიმაგრე მტერზე გამარჯვების ტრიუმფალური კვარცხლბეგეიც იყო და. ზოგჯერ, სამწუხაროდ, რიცხვჭარბ დუშმანთან უთანასწორო შერკინებაში უიღბლო დამარცხების სვედიანი ნანგრევიც:

ახადს ვოდერძის ციხეო,
კი მოვადგნენა კარზედა!
თუ ეგრე შალე ვაგტებდეს,
ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა!

ციხე რომელიმე კუთხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მყარ, ცოცხალ სიმბოლოს წარმოადგენს, ციხის დაცემა კუთხის თავისუფლების დაკარგვას მოასწავებს. ასე, მაგალითად, მოძალადეთა ერთ-ერთი რაზმის მეთაური სწორედ ასეთივე ავი ზრახვებით არის შეპყრობილი:

თუ გორის ციხე ავილეთ,
ქართლი ჩვენი შაიქნება.

მინორული განწყობილებითაა აღბეჭდილი ლექსი „მარტია შუქიაური“, რომელშიც ციხე საკუთარი პატრონის — თავისი უერთგულესი გუშაგის დაღუპვას დაუოკებელი მჭმუნვარებით განიცდის:



ცხუ სტიხს შუქიანურთა,
უხმობს ქვიტკირის კარია,
სიკვდილსა შუქიანსას
იწყენს წყალ-შუის ჯვარია:
„ორიე დამეძეა ბეღელი,
დროშას შამიწყდა ზარია.
პატრონ მარტია შამიკვდა,
მტერმ შამამართვა თვალა“.

ლექსი—„როგორი უნდა იყოს ვაჟკაცი“ შეიცავს სავაჟკაცო კოდექსს, რომლის ერთ-ერთი პრინციპის მიხედვით თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი მამულიშვილი მტრებთან შეუპოვრობით ციხეს უნდა ედარებოდეს:

ვენაცვლე დედის გაზრდილსა,
ვინც შკლავთით იმედიათი,
...მტრებისად გულის უინვარი,
რო ციხე ჩარდაბიანი...

სხვა ლექსში თავიანთი ფოლადისებური ხასიათითა და გაუტეხლობით ადამიანები პირდაპირ ციხესიმაგრეებად არიან მეტაფორიზებული:

მმანო, კარებო რკინისაჲ,
ციხეებო აღმასისი.

ციხესთან შეუდრეველი ვაჟკაცის შედარების ხერხი სხვა საგმირო, საისტორიო თუ სამგლოვიარო ხასიათის ლექსებშიც არის რეალიზებული.

საქართველოს ტერიტორიაზე გაფანტული ციხესიმაგრეები ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი გმირული წარსულის უკვდავების ძლევაშისილი მონუმენტურობით არიან აღმართული. ქართული ხალხური პოეზიის რეპერტუარში ეს ციხესიმაგრეები მაღალპოეტურად და მაღალენოციურად არიან ამტყველებული.

ტყავის სამოსელი

(საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექცია)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთ უძველეს ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში კავკასიაში ადრე არსებული სამოსელის უნიკალური კოლექციაა თავმოყრილი.

ქართული ეროვნული ტანსაცმლის დამახასიათებელი ელემენტებიდან მრავლად წარმოდგენილია ხევესურული, რომელთა შორის მცირე ადგილი უჭირავს ტყავის კოლექციას¹. მიუხედავად ამისა, ამ ტიპის სამოსელიდან ზოგიერთ ცალზე მოცემული შემკულობა მათ საგანგებოდ გამოარჩევს და ჩვენი შესწავლის საგნად აქცევს.

სიცივისაგან დასაცავი ეფექტური საფარველის მოპოვება, ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე მაინც, აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, ამიტომ საქართველოს მთაშიც ძველთაგანვე განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ თბილი სამოსელის დამზადებას. ამ რიგის ჩასაცმელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ტყავის სამოსელი შეადგენდა, რომლის მოხმარება სქესით შეუზღუდავი ყოფილა.

აღნიშნული ელემენტის მასალად ხევესურეთში შინაური თუ გარეული ცხოველის (თხა, ცხვარი, ზბო, ჯიხვი და ა. შ.) ტყავს იყენებდნენ. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ნადირის ტყავის და, კერძოდ, ჯიხვის ტყავის ტარების უპირატესობით მამაკაცები სარგებლობდნენ². ამ წესიდან გადახვევის ერთ-ერთ მაგალითად უნდა დავასახელოთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცული საქალო ტყავის კოლექციიდან ის ნიმუში, რომელიც საინვენტარო წიგნში დეკანოზი ქალის ტყავის სახელწოდებით არის გატარებული (იხ. სსმ ექსპონატი № 3-59/1).

ტყავის შესაკერ მასალად ნადირის ტყავის გამოყენების შემთხვევები საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც არ არის უცხო. მოხმარების თვალსაზრისით იგი ერთ-ერთი ძველი მასალათაგანია, რომლის გავრცელების აუცილებლობასა და ტრადიციულობას, ძველ დროს მასალათა სიმცირიანობასთან ერთად, შესაძლოა ადამიანის რელიგიურმა აზროვნებამაც შეუწყო ხელი, კერძოდ კი, ცხოველის ტყავის მაგიური ძალის რწმენამ³. იქნებ ასეთ რწმენასთან კავშირშია განსახილველი ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი და ვ. ბარდაველიძის მიერ ქვემო სვანეთის ლენტეხის თემში დამოწმებული⁴ მოხუცი სვანების მიერ მგლის ტყავიდან დამზადებული სამოსელის მოხმარების ფაქტიც.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული არც თუ ისე მდიდარი (ექსპონატები №№ 105-13/23, 13-27/99, 3-59/1, 15-59/8, 19-59/i, 19-59/2, 20-59/1 და ა. შ.) კოლექციიდან მაინც ხერხდება საქალო ტყავების ორ ჯგუფად დანაწილება. ორივე ჯგუფისათვის საერთოა თარგი და თითქმის მორთვის ხერხებიც. გამომყოფ ნიშნად ჩვენ ორთქუთხედის ფორმაზე მოყვანილ ზურგში გადაფენილი საყელოს



არსებობა მივიჩნით. ტყავთა კოლექციებიდან უმეტესობა მეორე ჯგუფშია შენახული.


საქალო ტყავი (სსმ ექსპ. № 19-59/2) გარეული და შინაური თხის ტყავისაგან არის შედგენილი. ტყავი წელშია გადაჭრილი და სწორკალთებ შეყენებული. გვერდებში გაირიბებული, პატარა ზომის აზლოტები აქვს, შედგმული. გულისპირის კალთების ნაპირები წელამდე, გრძელი სახელოებიანი ბოლოები და ზურგზე გადაფენილი-დაკერებული საყელოც მაღალი ჭავლის მქონე შავი ხავერდის ნაჭრით არის გაწყობილი, რის მერცე დაქარგული ნაჭრის ზოლებია შემოკერებული, რომელთა შემკობაში ვერცხლის ფულები და ფერადი წვრილი მძივებია ჩართული. საყელოს გარშემო შემოკერებულია წითელ ნაჭერზე შესრულებული ნაქარგობის ზოლი, რომლის რუხ ქობას შემოსაღვეს ძეწკვზე ასხნული ვერცხლის ფულების წყება, ვერცხლის სვეადიანი ჯვრით ცენტრში. ჯვრის წვერებად გაზიდული ნაწილები ძეწკვზე ჩამომხული ვერცხლის ფულებით არის შევსებული. ტყავი შემკულია აგრეთვე დაკერებული ნაფთულითა და ნაჭრელათი. განსაკუთრებული მონდომებით არის გაფორმებული წელის ხაზი და საყელოს შუა მოთავსებული არე.

ასეთივე ფორმაზეა დაჭრილი ტყავის ის ექსპონატი, რომელიც № 15-59/8 ნომერს ატარებს და შედგენილია რამდენიმე ცხოველის (ხბო, თხა, არჩვი) ტყავისაგან. არჩვის ტყავის ნაწილი ბეწვიანი მხარით ზურგშია გადაფენილი ოთხკუთხედი საყელოს 38×27 სმ.) სახით, რომელზეც შენარჩუნებულია ყურები. ამავე ტყავით არის გაფორმებული გულისპირის წელამდე დასული ნაპირები. ხშირად, ტყავის დასამაგრებლად უხმარიათ წელის ხაზის გასწვრივ დაკერებული ლითონის სხვადასხვა ფორმის „საყურლა“. აღწერილ ნივთს ამ მიზნით გაკეთებული აქვს დაღწატიანი ოქრომჭედლობის ნიმუში — ორი ბალთის შემადგენლობით, რომლის თითოეული ნაწილი წარმოადგენს თავაწვეული არწივის სტილიზედ გამოსახულკბას. ვერცხლის ბალთები შემკულია სვეადითა და ცვრით, ქვემოთა მხარის ნაპირზე საკიდით ჩამომხულია სხვადასხვა დროს (1907, 1926, 1928, 1934, და ა. შ.) მოჭრილი ვერცხლის ფული. ორივე ბალთას შეხვედრის ადგილთან გაკეთებული აქვს ლითონის რგოლები. მარცხენა მხარეს დაყოლებული ძეწკვზე გამოხული ჩხირის მაგვარი ლითონის ნაწილით ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან.

მრავალმხრივი შემკულობით, რომელშიც იგრძნობა ვერცხლის სამკაულების სიჭარბე. არის წარმოდგენილი დუშეთის რაიონის სოფ. ბაკურხევიდან შემოსული ექსპონატი (№ 20-59/11). სამოსის დასახელებული ელემენტი თხის ტყავისაგან არის დამზადებული. მას აქვს ისეთივე საყელო როგორც უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ იგი ზურგთან კი არ არის დამაგრებული, არამედ ახსნილია. საყელო (14X23 სმ.) გულისპირის ნაპირებზე დაკერებული ხბოს ტყავის ნაჭრების ზემოთ გადატარების შედეგად არის გადაფენილი მისი ნაპირი და წელის ზედა ნაწილი შემკულია ვერცხლის ყაწიმების მწკრივით.

ზემოთ მოტანილი მასალის მიხედვით ტყავთა ეს კოლექცია საგარეო ჩასაცმელთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. საყოველთაოდ გამოყენებული ტყავი ფორმით ისეთივე იყო, ზოგჯერ უფრო გრძელი და სახელოებ დაგრძელებულიც. მათ შესაჩქობად დაზუქუჭებული მატყლის მქონე ცხვრის ფერად ტყავს გამოიყენებდნენ. ახალგაზრდა თეთრს ირჩევდა, ხნიერი კი შავს. თუ ჭალი „უმამისახლო“, იყო ის სულ არ გაიკეთებდა მოსართავ საშუალებას.

აქვე გვინდა დავახასიათოთ თუშეთში XIX ს. ბოლოსა და XX ს. მეორე ნახევარ-



ხევსურული ტყავი

Хевсурская шуба

ში ქალის მიერ სახმარი ტყავის სამოსელი, რომელიც ადგილობრივთა თქმით, „ტყავ-კაბადა“ ხნობილი, ხშირად სახელოთა ფორმის განო „საქელ-ჩაქნულაათაც“ გახსენებული.

სამწუხაროდ, ამ ტიპის სამოსელის არც ერთი ნიმუში არ ქცეულა სამუშეუშო ნიეთად და თუშური ტყავ-კაბის თარგი და მორთვის ხერხებიც მხოლოდ ზეპირსიტყვიერი მასალით, გაგარინის ალბომის ერთი ჩანახატისა და ფოტოსურათების მიხედვით აღვადგინეთ. იგი, საკაცო ტყავებისაგან განსხვავებით, სახელოებში ხელეგაყრით ყოფილა მოხმარებული, მაგრამ ისე, რომ „ყუთურ-მაჯებივით“ ჩამეებულ სახელოებში ქალის მკლავებისა გაყრის პროცესი მაჯასთან კი არ მთავრდებოდა, არამედ ილღიასთან და დეკორატიული სახელოების თითქმის მთელი სიგრძე დაკიდებული რჩებოდა. საარქივო მასალების სხვა ჩანაწერებში, საკაცო ტყავებისაგან განცალკევებით, გ. ბოტორიძეს მოხსენებული აქვს „ქურქა“ — წამოსასხამი, კარგი ტყავისაგან დამზადებული სამოსი, რომელიც პირველისაგან განსხვავებით, წელში გამოწყობილობითა და სახელოების დეკორატიული მოხმარებითაა დახასიათებული⁵.

ერთი ტყავ-კაბის დასამზადებლად საჭირო ყოფილა ექვსი-შვიდი ტყავი. მის თარგს ქმნიდა „უბე“, „საპლები“, „მაჯები“, „ბეჭები“ წინა და უკან „კალთები“ ანუ „აზლოტები“. წელში გამოყვანილ ტყავ-კაბას წელშივე უკეთდებოდა „ჩაჭები“⁶ „ნაოჭები“, რომელთა ჩიბუხივით ამობურცული თავები ირთებოდა ფერადი ძაფით და ტყავისავე ფერადი ნაჭრებით. ჩიბუხის თავის ფორმასე მოყვანილი ნაოჭების მრავლობა დამასასიათებელი ნიშანთაგანია სახეიმოდ მოხმარებული ნიმუშებისა. („ქალ გორ ვინ იარებოდე, წულთან ქოშებთან. თავს მესურ ლასტიკის მანდილი. ფუნჯიან ხავარვანიო (ჯავარიანი), ტანს მეცვა თეთრი ტყავ-კაბა, შვიდ მედგა ნაოჭიანი“),



ჩოხის გვერდებზე თითო ჩიბუხის თავის ფორმის მსგავსი დეტალის, ე.წ. „მარცხენა ბის“ არსებობა, სხვა ნიშნებთან ერთად, შესაძლოა, ტყავ-კაბაზე მოცემული მსგავსი ნაწილებიდან მომდინარეობაზე მიუთითებდეს.

თუშეთში საქალო ტყავ-კაბის ძველებურ ნიმუშებს უკეთებენ მეტისმეტად ვიწრო და გრძელ სახელოებს. ცხადია, ამგვარ ფორმაზე მოყვანილ სახელოებს პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდათ. ასეთი ტიპის სახელოები ტყავის წამოსასხამ სამოსელზე 1904 წ. დალესტანში დამოწმებული აქვს ივ. ჯავახიშვილს⁶. ბალხარულ ქალებთან დღესაც არ გაჭირდება მათი ნახვა, მსგავსი სახელოები აქვთ გაკეთებული ხევსურული შალისგან დამზადებულ ორ წამოსასხამს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაუნჯებული.

სიარულის დროს გრძელ სახელოებს რომ უშნოთ რხევა არ დაეწყეთ, მხრებზე გადაიწყობდნენ და ყაითნით დაიმარებდნენ, ისე რომ სახელოები ქვევით „უბალახივით ჩაჰკიდავდა“. დროთა ვითარებაში ამგვარი სახელოების სიგრძე თანდათანობით დამოკლებულა და სიგანე გაფართოებულა, ილღის ძირას გახსნილი ნაწილიც იდაყვამდე მიუტანიათ. გ. გაგარინის ალბომის ერთ-ერთ ტაბულაზე გამოსახულ ორ თუმ მანდილოსანს, რომლებიც აღავერდობა დღეობის დროს თიხის ტურქლით მოვაჭრესთან არიან გაჩერებული, ჯუბის ზემოდან აცვიათ გრძელი სამოსელი, რომელიც ჩვენ ტყავ-კაბად მიგვაჩნია და რომლის სახელოები იმეორებენ უკვე დახასიათებულ სახელოთა ფორმას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი სიგრძე ჩვეულებრივად მიღებულ სახელოთა სიგრძეს შეესაბამება. ტაბულაზე მოცემული სახელოთა ბოლო ნაწილი კი მსგავსია საერთოდ თუშეთში გავრცელებული ჯუბის სახელოების ბოლოზე არსებული ქარგულობისა. ხშირად სახელოებს იდაყვს ქვემოთ ოქროსფერია ბუზმენტი-თაც მორთავენ. ზოგჯერ, სახელოს თავსა და ბოლოში ორი-სამი თითის დადებამდე შავი სკლატის ზოლს შემოაყოლებდნენ.

შემგობა სახელოთა გარდა ტყავ-კაბის სხვა ნაწილზეც ვრცელდებოდა. ირთვებოდა წელიდან ილღისაკენ მიმავალი ხაზი, „გარმირგელი“ ბატკნის ფერადი მატყლი ე. წ. „მაუდაგი“ ან შავი სკლატი უნდა შემოეყოლებინათ. იშვიათად, ტყავ-კაბას მხრებზე და წელზეც „სარტყლად“ სახელდებულ, ორად მოკეცილი ტყავის ზოლი სიგანით ჰქონიათ დაკვერბული, რომელთა ბოლოები ნაკერში ყოფილა ჩამაგრებული. ძველებური მორთულობა ტყავისა გულისხმობდა ვერცხლის სამკაულებით და ღილებით მის გამშვენებებსაც.

ტყავ-კაბის გული ღიად რჩებოდა, წინ შეუკრავი. ხანდახან ზევიდან ქამრის შემორტყმაც სცოდნიათ.

დეკორატიული სახელოები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაცულ ბევრ ძველებურ სამოსზე გვხვდება. ასე მაგალითად, მთის რაჭაში გამოყენებული სამოსელის კომპლექსიდან კაბა — „კაფთარაზე“. მათ ხან ჩამოშვებულად ხმარობდნენ, ან თავბურჯის დამთავრების შემდგომ წინ გულთან გაინასკვავდნენ, თავზე გადაიტარებდნენ და უკან ზურგში მოათავსებდნენ⁷. დეკორატიული სახელოებითაა შედგენილი საქალო ქათიბი და საკაცო ყურთმჯობიანი კაბა. შედარებით განსხვავებული ფორმისაა ხევსურულ წარმოსასხამებზე და სამეგრელოში არქანჯელო ლამბერტის მიერ დადასტურებული⁸. სამოსელის ცრუსახელოები. ორივე შემთხვევაში უჩვეულოა სახელოთა სიგრძე-სიგანე. ამ ნიშნით, სამეგრელოში გავრცელებულ სამოსელს მიწამდე დაშვებული სახელოები ჰქონია.

სახელოთა ფორმებს სამოსელის მოხმარების ფორმაც ეთანხმება. წერილი და გა-



უხსნელი სახელოებით შედგენილი სამოსელი წამოსასხამებია, თუშური ტყავ-კაბისა თუ საქართველოს ბარში არსებული კაბა-ქათიბის სახელოები კი ტანსაცმლის ინტერესულ შემნტია, რომელსაც გარდამავალი ადგილი უჭირავს წამოსასხამსა და ჩასაცმელ სამოსელს შორის, რადგან მეპატრონეთ ასეთი ნახევრად ცრუსახელოების თავებში ხელების გაყრის შესაძლებლობაც აქვთ მიცემული. აღნიშნული გარემოების გამო, მსგავსი ტიპის სამოსელის ზოგად სახელად ნ: ალექსი-მესხიშვილი ჩასაცმელ-წამოსასხამს ხმარობს.

ტყავების დამზადებაში ადგილობრივ მამაკაცებთან ერთად, ქონებიც მონაწილეობდნენ. მორთვა-შემკობის საქმეში კი კარგად მოჩანს ქალების ხელნაწნარიც.

უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ ჩვენს მიერ განხილული ტყავის კოლექციები განსაკუთრებული მზრუნველობის კვალს ატარებენ, რაც მათი სავანგებო დანიშნულებით შეიძლება აიხსნას. თუმეათი საპატარძლოსათვის მისართმევ ძღვევში, რომელიც გ. ბოჭორიძის საარქივო მასალებში „საკმაზის“ სახელწოდებით არის მოხსენებული, ჯუბის დასამზადებლად საჭირო მატყლთან, მანდილთან და ვერცხლის ფულთან ერთად, ტყავ-კაბაც არის დასახელებული. ასევე დუშეთის რაიონის სოფ. ნოჯაში დამოწმებულია საპატარძლო ტყავ-ქათიბის მოხმარების ფაქტიც⁹. ტყავ-ქათიბი ახალგაზრდა ქალს პირველად ნიშნობაში უნდა ჩაეცვა.

ასეთი ტიპის სამოსელს უნდა მივაკუთვნოთ ალბათ საქართველოში ძველად არსებული წამოსასხამი — „ლაფაჩა“, რომელიც მე-X ს. შემდეგ ქრება.¹⁰ ლაფაჩას შესახებ „ეისრამიანის“ პირველი გამოცემის თანდართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ქორწილის შესაწირავი ტანსაცმელი, რომელსაც უწინ სანიჭარს უწოდებდნენ“ (465) ქორწილის რიტუალში ამგვარი სამოსელის მონაწილეობა უკვე აღნიშნულის მიხედვით შემთხვევითი არ უნდა იყოს, შემდგომშიც ასეთი ფორმის სამოსელი სამგზავრო-საცხენოსნო ჩაცმულობასთან ერთად („ვეფხისტყაოსანი“) კარგად ითავსებს საქორწილო ტანსაცმლის ფუნქციასაც, რაც ნათლად ჩანს თეიმურაზ (II-ის „სარკე თქმულთას“ შემდეგი სტრიქონებით: „ტყავისა სახელს მოჰკიდებს ხელს მეფე, წესად არის“. „ხელთ ეპყრას ტყავის სახელო მას უებრობა სძალიას“.

ამ ტიპის სამოსელის საქორწილო ფუნქცია თუშური „საქლეჩაქნეულა“ ტყავ-კაბის სახით XX ს-მდე აღწევს და ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ აზრს, რომ რიტუალური დანიშნულების სხვა საგნებთან ერთად, ჩასაცმელიც ხალხის ყოფაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებს არსებობას.

აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში სათბუნებელი სამოსელისათვის განკუთვნილი ტერმინები — ტყავი და ტყავ-კაბა აფსებენ ასეთი სახის სამოსელის აღმნიშვნელ სახელწოდებათა მწკრივს (ქურჭი, ტყაბუჭები, ტყავ-ქათიბი და ა. შ.) ისტორიულ წყაროებში უადრესი ძეგლების მიხედვით ბეწვის სამოსლის ზოგად სახელად „ტყავია“ მიღებული, მზითვის წიგნებში (ანუკა ბატონიშვილის 1712, ჭინის ერისთავის ელენეს 1713 და სხვა) ორივე ტერმინი (ტყავი, ტყავ-კაბა) გვხვდება. ხოლო ამ ტერმინების ასეთი დაწყვილებით „ტყავითა და ტყავკაბითა“ არის შევსებული შემოთ დასახელებული მზითვის მეპატრონეთათვის გატანებული მზღებელთა მზითვის სიებიც, ვახუშტი ბატონიშვილისათვისაც ორივე ტერმინია ცნობილი. „ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთრთვად... კვალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარ დიდო.. ქალთაცა მგზავსათ გარნა სარტყელი წვერნი ჩაშვებულნი და მას ზეით კაბა-ახალუხი ამოჭრილი“. ვახუშტის მიერ მისი თანადროული ჩაცმულობის ვრცელ დახასიათებაში სხვა ადგილას



ქალის ტყავის სიგრძელ მიწამდე დასული ზომაა ნახსენები („გარნა ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწამდე“). ტყავის შესახებ ჩვენთვის საინტერესო ცნობას ვახსოვს ტი ერთმეფობის დროინდელი სამოსელის გაცნობისას გვაწვდის: „არანედ პირველ ერთმეფობასა შინა სცმიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედ მცემელი და გრძელბეწოსანი, პერანგი ბერული ტილოსი, საგულე და კაბა გრძელი კოჭამნდე უდილოდ, მას ზედა სარტყელი ფორჩაშებული, ტყავი დიდი სახელევიწრო და ფერხთა ზედა მოგვი, ვითარცა იცნობიან ნახატებთა ზედა“.¹¹ ნახატებში ვახსოვს რომ ქართულ ფრესკებს გულისხმობს, ეჭვმიუტანელი უნდა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ქანდაკებებიც.

მესხიშვილი ისტორიული პიესის დადგმის გამო „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც ლაპარაკია ვახუშტის მიერ ერთმეფობის დროს არსებული ტყავის შესახებ, აკეთებს შენიშვნას, რომ მსგავსი სამოსელი დღესაც მოიპოვება თუმცა თანო. ვახუშტის ეს არასრული დახასიათება არ გვაძლევს საშუალებას ამ ელემენტების შესადაარებლად, თუმცა ერთი ძირითადი ნიშანი სახელევიწროობა მათი ფორმების დაახლოვების შესაძლებლობასაც სახაფს...

ამრიგად, ზემოთ განხილული მასალა ერთ-ერთი საინტერესო უბანია ქართული ეროვნული ჩაცმულობის ისტორიის შესასწავლად. მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი კი გვეხმარება ძველქართულ ფრესკებსა თუ წყაროებში მოცემული სამოსელის ტიპისა და მნიშვნელობის გარკვევაში.

¹ იხ. ლ. მოლოდინი, გ. ჩაბაშვილი, ქართული კოსტიუმის კატალოგი, I, ზევსურული, თბ., 1964, გვ. 73-76.

² ლ. ბოჭორიშვილი, ზევსურული ტალავარი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბ., 1956, 103, 104.

³ Л. Я. Штернберг. Первобытная религия, Ленинград, 1936, 414.

⁴ В. В. Бардавелидзе. По этапам развития древнейших религиозных верований и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тб., 1957, 45.

⁵ გ. ბოჭორიშვილის არქივი, დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში, საქმე № 1753, 370.

⁶ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1962, 33. 6.

⁷ Н. П. Браиладшвили, Женский костюм горной рачи, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბ., 1959, გვ. 136.

⁸ არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, აღ. ჭყონიას გამოცემით, თბ., 1938, გვ. 38-41.

⁹ ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973, 33- 149.

¹⁰ ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

¹¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქ. გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 32.

პურჯლის შემკობის ხალხური ხერხები შროშაში

(მუზეუმში დაცული ექსპონატების მიხედვით)

შროშაში ტურჭლის შემკობის რამდენიმე ხერხი დასტურდება: „მოინგლისება“, „მოწერნაქება“, „მოხარატება“, „მოჭიქვა“, ტურჭლის შეზავებული შემკობა (მოხატვა-ამოკაწრა), ტურჭელზე სხვადასხვა სკულპტურული ფიგურების-კოპლების, ვაზის ფოთლების და მტევნების მიძერწვა-მიწებება.

მოინგლისება ტურჭლის შემკობის მარტივი საშუალებაა. კარგად გამშრალ, გათეთრებულ ტურჭელს ინგლისი გარედან ესმება. ინგლისი ტურჭელს შიგნიდან რომ მოხედეს არ შეიძლება, მას დაალობს და დაშლის. გაუმშრალ ტურჭელზე ინგლისის წასმა არ შეიძლება.

შროშულ მეჭურჭლეობაში ყველაზე იოლ საქმედ ინგლისის წასმა ითვლება. ამიტომ ამ საქმით ძირითადად ქალები არიან დაკავებულნი. ინგლისწასმული ტურჭელი მაშინვე შრება, შემდეგ კი აპრიალებენ. ტურჭლის მოინგლისება შროშისათვის ლოკალურია. მოინგლისებული ტურჭლის დაჭრელება-მოხატვა შეიძლება, რაც უკვე მეჭურჭლე მამაკაცის საქმეა.

ტურჭლის „მოხატვა“, „დაჭრელება“, „მოჭრელება“, „ჭრელის გამოყვანა“ შროშაში ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება. ტერმინი ტრელი მიუხედავად იმისა მოხატულია (წერნაქით) თუ ამოკვეთილ-ამოღარული ან დაძერწილი, ტურჭელზე გამოსახულ ორნამენტს ეწოდება. ტრელი იგივე მნიშვნელობით იხმარება ხისა და ლითონის ნაკეთობათა შემკობის დროსაც.

შროშული მეჭურჭლე ტრელის გამოყვანის დროს არასდროს არ არის მართლ შემსრულებელი, იგი თითქმის შემოქმედიც არის, რომელიც ეძებს ტრელის ახალ-ახალ სახეებს, ცდილობს გაამდიდროს მის მიერ დამზადებული ტურჭელი ორნამენტით; არ იშურებს ძალასა და ფანტაზიას, რომ სუფრაზე მისატანი ტურჭელი ლამაზი და მომხიბლავი იყოს. ტურჭელზე ტრელის გამოყვანის დროს მღელანდება ის მხატვრული აღლო, რომელიც შროშულ მეჭურჭლეს გააჩნია. კომპოზიციას მეჭურჭლე დაჭრელების დროს ქმნის; ფიგურების მიძერწვის დროს მეჭურჭლე წინასწარ მიინიშნავს ადგილს, სად რა უნდა გაუკეთოს ტურჭელს. ამიტომ შროშული ტურჭლის ტრელის კომპოზიცია ყოველთვის კარგად ერწყმის ტურჭლის ფორმას.

ტრელის სახეები ტურჭელზე გამოჰყავთ წერნაქით-„წარნაქით“, „ხარატი“-გონგით. გონგით ორნამენტი სველ თიხაზე ტურჭლის სრულ გაშრობამდე სრულდება, წერნაქით მოხატვა კი — ტურჭლის სრული გაშრობისა და მოინგლისების შემდეგ. ტრელის სახეებია ხაზოვანი, წერტილოვანი, ხაზოვან-წერტილოვანი, მოკლე ირიბი ღარები, „სპირალური“, ტალღური, მცენარეულ-ყვავილოვანი (წიწვოვანი, ვაზის ფოთლები, ყურძნის მტევნები), ნალისებური-ნახევარმთვარისებური, წრესაზე, ჯვრები, ხუთქიმიანი ვარსკვლავები, შედგენილი წვრილი ბურთულების გეგმაზომიერი განაწილებით, ზოომორფული (მტრედი, ჯიხვი, ვერძი) და ანტროპომორფული ფიგურ-



სატკბილე

Сосуд для вина

რები, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის რელიეფური გამოსახულება და სხვა. ჭრელის სახეების უმრავლესობა სიმბოლურ ხასიათს ატარებს. მიღებულია აგრეთვე ჭურჭელზე გაკეთების თარიღისა და გამკეთებელი ხელოსნის ვეარისა და სახელის ან ინიციალების აღნიშვნა. საღვინე ჭურჭელს ხშირად მოკლე სადღევრძელოს აწერენ „ვინც დალიოს გაუმარჯოს“, „შენი დღევრძელობისა იყოს“ და სხვა. ერთ საღვინე დოქზე ნ. ბარათაშვილის საღალღობო ლექსიც არის წარწერილი: „ამავეს ღვინით; აგავსებ ღვინით, შესვი? გაამოს“.

ჭრელის განაწილება ჭურჭლის ფორმით არის ყოველთვის განპირობებული, რომელიც თავის მხრივ მისი პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარეობს.

ჭურჭლის მოხატვა მორგვეზე ხდება. მორგვეზე შედგმული ჭურჭელი „სატრელებლინა“ და მომზადებული წერნაქის სითხის საშუალებით ჭრელდება. ჭურჭელზე წერნაქით გაელეული ტალღისებური ხაზები მიანიშნებს, რომ ეს ჭურჭელი „მუდამ სავესე იყოს სითხით“. შავი ფერის წერნაქის წერტილები „წვიმის წვეთებია“, მრგვალი წერნაქის წრესაზები „მზე“, ნახევარწრესაზები „ნამგალა მთვარე“ და ა. შ.

გავრცელებულია ჭურჭლის შემკობა ყურძნის მტეენებითა და ვაზის ფოთლებით. ამ ორნამენტით იმკობა საღვინე დოქები და ხელადები.

წერნაქით (წითელი, შავი) ძირითადად გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები გამოიყავთ. გეომეტრიული ორნამენტის კომპოზიციის მრავალსახეობა რამდენიმე ელემენტისაგან შედგება: სწორი და ტალღური ხაზები, ზიგზაგები, წერტილები, ვარსკვლავები, ჯვრები და სხვ. ტალღოვანი ხაზებით ჭურჭლის შემკობას ამიერკავკასიაში უძველესი ისტორია აქვს. ანალოგიური ორნამენტით ჭურჭლის შემკობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული ურმიისპირეთის, ჩრდ. მესოპოტამიისა და სირია-კავკა-



დოკიის კერამიკულ ჯგუფებშიც, რომელთა ელამური და ირანული წარმომადგობა ახლანდელა უფრო საჩქოვდაა მიჩნეული (ე. გოგაძე). ტალღისებური ხაზებით შემკული კურჭელი მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოში. იგი, როგორც ყოფაშიც მოწმდება, წყლის სიმბოლური გამოსახულებაა. „წითელ ქილებზე და დერგებზე შავი საღებავებითაა გამოყვანილი შევრონები, რომლებშიც ჩაწერილია წყლის სტიქიის გამომსახველი ტალღისებური ხაზები“ (საქართველოს არქეოლოგია). ანალოგიური ორნამენტით შემკული თიხის კურჭელი აღმოჩენილია ვანში. „ტალღური ხაზების მოტივი მოხატულ კერამიკაში, რომლის შინაარსი, როგორც წყლის გამომხატულება, შორს იწევს პრეისტორიის სიღრმეში (შეად. V ათასწლეულის კურჭელი თეფე გავრდადნ ტიგროსისა და ეფრატის პეიზაჟური გამოსახვით“ (ე. ა. სპეიზერი). ხაზოვან-ტალღისებური ორნამენტი, როგორც სიკეთის სიმბოლური გამოსახულება ცნობილი იყო რუსეთისათვის (ბ. ა. რიბაკოვი).

გავრცელებულია აგრეთვე კურჭლის შემკობა ე. წ. „წიწვის“ ორნამენტით. შროშაში წიწვით იმკობა საღვინე და საწყლე დოქები და ხელადები. წიწვის გამოსახულება კურჭელს უკეთდება წერნაქით ან გონგით. ოდნავ ირიზად გავლებულ წერნაქის ხაზს მარცხნივ და მარჯვნივ წერნაქის მოკლე ხაზები ჩაუყვება ანდა გონგით გავლებულ ირიბ ხაზს ირიბი ნატყევეების მწკრივი ჩაუყვება. კურჭლის გვაშზე გამოყვანილი წიწვის ორნამენტი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

წიწვის ორნამენტით თიხის კურჭლის შემკობა ამიერკავკასიაში ცნობილია ბრინჯაოს ეპოქიდან. ანალოგიური ორნამენტით შემკული კურჭლის ფრაგმენტები აღმოჩენილია ვანში. წიწვის ორნამენტით იმკობოდა სპილენძის კურჭელი, იგი გამოსახულია აგრეთვე ქსოვილზე.

ორნამენტის როლს ასრულებს სხვადასხვა დანიშნულების თიხის კურჭელზე წერნაქით გამოსახული ჯვარი. ჯვარი ავი თვალისაგან დასაცავი აპოთროპული ხასიათის გამოსახულებაა და, ამასთან ერთად, როგორც ყოფაშიც მოწმდება, ორნამენტის როლსაც ასრულებს. ჯვრის გამოსახულება განათხარ თიხის კურჭლებზეც გვხვდება შუა ბრინჯაოს ეპოქაში (ე. გოგაძე).

წერნაქით კურჭლის მოხატვას საქართველოში უძველესი ტრადიციები აქვს. ეთნოგრაფიულ ყოფაში წერნაქით კურჭლის მოხატვა-დაჭრელება გვხვდება კახეთში, ქართლში, ზემო იმერეთში.

თიხის კურჭლის შემკობის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს შროშაში ფართოდ გავრცელებული ე. წ. მიძერწილი ორნამენტი. კურჭელს სილამაზისათვის ძეგრწავენ: დილებს-გობლებს, ზოლებს, სკულპტურულ ფიგურებს, ყურძნის მტევნებს და ა. შ. მეტურჭლე მწინასწარ იცის კურჭლის რომელ ნაწილს რა გამოსახულება უნდა მიაკრას. საღვინე დოქს ჩვეულებრივ ყურძნის მტევნებით ამკობენ ზოლზე. შროშაში, ღონღატების ოჯახში ვინახულეთ „სამძრედ“ გამოყენებული ე. წ. „ბუკიანი“ საღვინე დოქი, რომელსაც გვაშზე სამ ადგილას აქვს მიძერწილი თიხისაგან გაკეთებული ყურძნის მტევნის გამოსახულება. ყურზე დოქს ყურძნის რამდენიმე „მარცვალი“ აქვს დაკრული.

მსგავსი ორნამენტით შემკული საღვინე დოქი დავამოწმეთ ქსნის ხეობაში, ლარგვისში, ჩიტიშვილების ოჯახში. დოქი სოფ. ცხავატშია დამზადებული. იგი შემკულია წითელი ფერის წერნაქის ფართო ზოლით; ორ ადგილას მხარზე მიძერწილი აქვს ყურძნის მტევნისა და ვაზის ფოთლის მცირე ზომის გამოსახულება. მიძერწილ ყურძნის ორნამენტს თიხის კურჭელზე ქართული არქეოლოგიაც იცნობს. სასიარეთში აღ-



მოჩენილია საღვინე დოქი, რომელსაც სამ ადგილას მიძერწილი აქვს ყურძნის მტვერის გამოსახულება (ა. ბოხოჩაძე).

თიხის ჭურჭლის შემკობის ერთ-ერთი ხერხია ჭურჭლის „მოხარატება“ — „დახარატება“ ანუ ჭურჭლის შემკობა რელიგიური და კონტრრელიგიური (ჩაღარული) ხაზებით. მოხარატებული ჭურჭელი ჩვეულებრივ მოუინგლისებელია. მოხარატებული ჭურჭლის შემკობის სრულყოფისათვის იყენებენ აგრეთვე კოპლებს. კონტრრელიგიური ხაზების გამოყენება ოდნავ შემშრალ ჭურჭელზე ხდება, მისი სიღრმე კეცის სისქეზეა დამოკიდებული. მოხარატებლად ჭურჭელი მორგვზე დგას ხოლმე.

ჭურჭლის მოხარატების ორნამირი ხერხი მოწმდება შროშაში. პირველი წესის მიხედვით მეჭურჭლე მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ნაჭერს იფარებს, იდაყვს მაგრად აყრდნობს მარჯვენა მუხლს და ავლებს ხაზებს ჭურჭლის ზედაპირზე. მარცხენა ხელით იგი მორგვს ნელა ატრიალებს მარცხნიდან მარჯვნივ. ნაჭერგადაფარებულ საჩვენებელ თითს ხელოსანი დროგამოშვებით წყალში ასველებს ხოლმე, რომ ფრჩხილით გაავლებული ხაზი მკვეთრი და თანაბარი სისქის იყოს. ასე ხდება ოდნავ ჩაღრმავებული, პარალელური წრეხაზების შემოვლება ჭურჭლის გვაშზე, ყელზე და ყელის ძირზე.

შედარებით იოლია ჭურჭლის მოხარატება ე. წ. სახარატო გონგით, წერტილების, ჭდეების გაკეთება კი დანა-ჩხირით ხდება. ხელოსანს სახარატო გონგი მარჯვენა ხელში უკავია, მარცხენა ხელით — მორგვს ატრიალებს. გონგის ფაქიზი დაწოლით ხელოსანი ჭურჭლის ზედაპირზე ავლებს პარალელურ ღარებს, ტალღოვან ხაზებს, უკეთებს ნაჩხვლეტებს, ნაჭდევებს და ა. შ. ღარების გავლების შემდეგ ხდება ჭურჭელზე კოპლების მიკვრა-მიშერწვა. კოპლების გასაკეთებლად ხელოსანი მიწის პატარა გუნდებს ხელში ამრგვალებს და აკრავს. კოპლების მიძერწვის შემდეგ ხდება მათი „მილურსმნა“ ასანთის ღერით, რის შედეგად კოპლების ცენტრში ჩნდება მცირე ზომის ღრმული.

ჭურჭლის შესამკობად შროშაში ხშირად მიმართავენ შემკობის ე. წ. კომბინირებულ ხერხს (მოხარატება-მონატვა, მონატვა-მიძერწვა, მოხარატება-მიძერწვა და ა. შ.)

ჭურჭლის მოჭიქვა ჭურჭლის შემკობის ერთ-ერთი საშუალებაა შროშაში. ჭურჭლის მოჭიქვას შროშაში მხოლოდ ერთი — მოდებამჭეების გვარი მისდევს.

პრაქტიკაში ჭურჭლის მოჭიქვის რამდენიმე ხერხი არსებობს: მშრალი მოჭიქვა, სველი მოჭიქვა — ჭიქურში ამოვლება, ჭიქურის გადავლება და ა. შ. შროშაში ჭურჭლის მოჭიქვის დროს მხოლოდ სველ მოჭიქვას მიმართავენ. მოსაჭიქველ ჭურჭელს ავლებენ ან არა და შემოდან გადაავლებენ ჭიქურის ხსნარს. იმ შემთხვევაში, როცა ჭურჭელი მოჭიქვის სველი მეთოდის გამოყენებით იჭიქება ორფერად (ამ შემთხვევაში ფერები გემოვნებით არის შეხამებული), ერთფერად, ორივე მხრიდან, ან მხოლოდ შიგნიდან ან გარედან. მოჭიქვის დაწყებამდე ხელოსანი ამზადებს რამდენიმე (თეთრი, შავი, მწვანე, მტრედისფერი, ყვითელი, მოწითალო, ბადრიჯნისფერი) ფერის ჭიქურს, თუ განსაზღვრული აქვს ჭურჭლის დაღებვა რამდენიმე ფერში. სხვადასხვა ფერის ჭიქური ცალკეულ ჭურჭლებში — ისარნებში ისხმება.

აღსანიშნავია, რომ ჭიქურში ამოვლებამდე ერთხელ გამომწვარ ჭურჭელს ნატავენ, აჭრელებენ თვითნაკეთი ფუნჯებით. ეს არის სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული ე. წ. „ჭიქურშიგა მოხატულობა“, რომელიც დამახასიათებელია აღმოსავლეთის კერამიკისათვის და ტიპურია ეგვიპტის, ირანის, წინა და ცენტრალური აზიის კერამიკული წარმოებისათვის (ე. კვერფელდტი).



ღვინის ხასხისები — „ჭინჭილები“



სანადიმო თიხის ჭურჭელი

Винные сосуды — «Чинчила»

Винный сосуд для пира

მოჭიქვამდე ჭურჭლის მოხატვა ხელოსნისაგან მაღალ გემოვნებას მოითხოვს. კომპოზიციას ხელოსანი მოხატვის დროს ჭმნის, რომელიც მთლიანად ხალხურ ტრადიციას ეყრდნობა. აჭრელებენ ყვითლად, თეთრად, მტრედისფრად, ყავისფრად, ფირუზისფრად. მოსახატავ მასალად იყენებენ სპილენძის ნაფხეკს, სპილენძის ქანკს, „თოგალს“. სკულპტურული ფიგურებითა და კომპოზიციურად მდიდარი ნახატით შემკული ჭურჭელი ჭიქურში ამოვლების შემდეგ სინათლისა და ჩრდილის კარგ შეხამებას იძლევა.

ჭურჭლის მოხატვის დროს იყენებენ ქართულ ასოებსაც. ასო პ — ორ რივად არის დაწერილი ჭურჭლის გვამზე ყურის პარალელურად თოგალით. ქვედა რიგის პ მარცხენა ხელით იწერება ხოლმე. თოგალის გადნობის შემდეგ ნახატი როგორც „ნაძვის ტოტი“ ისე ჩამოეკიდება ჭურჭლის გვამს. ზოგი ხელოსანი კი პ-ს სამ ადგილზე აწერს ჭურჭლის გვამს ერთმანეთის გასწვრივ. დუღილის დროს თოგალი დნება და ირიბ ზოლებად ეფინება ჭურჭლის გვამს. თუ ჭურჭელი კობლებით არის შემკული, მაშინ კობლებს უსვამენ თოგალს. ჭიქურში ამოვლების შემდეგ კობლებიდან ჩამოღვეთილი საღებავი ჭურჭლის მთელ ზედაპირს ეფინება, რაც შრომულ მოჭიქულ ჭურჭელს მიწვიდველს ხდის.

თოგალით დაჭრელებულ-მოხატული ჭურჭელი მალე შრება. უმ, გამოუწვავ



ტურტელზე თოგალის წახმა არ შეიძლება, ტურტელი „დეიქოშება“ — დაიშლება. თოგალით დატრელებული ტურტლის ტიქურში ამოვლება ტურტლის შემკობის მომდევნო პროცესია.

ხელოსნის სამუშაო ოთახში (ტურტლის მოჭიქვა გარეთ არ შეიძლება, წამალი სუფთად უნდა იყოს დაცული) ერთ მხარეს წითლად გამომწვარი ტურტელი აწყვია, მეტურტლე წინასწარ ახდენს მოსატიქაე ტურტლის კლასიფიკაციას. ორფერად მოსატიქაე ტურტელი ერთად აწყვია შესაბამისი ფერის წამლებთან, ერთფერად მოსატიქაე ტურტელი კი ცალკე.

როგორც წესი, ტიქურის ხსნარში ჯერ ტურტლის გვამი ხველდება. ხელოსანი ტურტელს წამალში ამოვლებამდე კარგად წმენდს სუფთა, მშრალი ჩერით. შემდეგ თავში კიდებს ხელს და გვამით ტიქურში ასველებს. გვამის სითხეში ამოვლების დროს ტურტლის ძირივე ხველდება. წამლიდან ამოვლებასთანვე ტურტელს ძირი ეწმინდება ჩერით და იქვე ეწყობა გასაშრობად. როცა ყველა მოსატიქაე ტურტელი „დაიღებება“ გვამით, მერე პირიქით ხდება; ხელოსანი ტურტელს გვამში კიდებს ხელს და თავს უსველებს ტიქურში. გასაშრობად ტურტელი კელავ ძირით იდგმება სწორ ზედაპირზე.

ყვითელგვამიან ტურტელს თავი ყავისფერ ტიქურში აქვს შეღებილი. ზევიდან ქვევით ჩამოღერილი ყავისფერი ტიქური კარგად ეხამება ყვითელი ფერის ტურტლის გვამს. ჯამები ყოველთვის ორივე მხრიდან იჭიქება. თოგალით იხატება ჯამის გული და ფარფლი. ჯამებს ყოველთვის ღია ფერის (თეთრი ან ყვითელი) ტიქურში ავლებენ, გამოწვის შემდეგ ზურმუხტისფერი ზოლები ჯამის გულში, ხოლო უწესრიგოდ ნაღვეთი თოგალი ჯამის ფარფლიდან ღია ფერის ფონზე ტურტელს ალამაზებს. დოჭები იჭიქება მხოლოდ გარედან ტიქურის გადავლების საშუალებით. ღვინის სახმისი ტურტები მოუხატაეა და მოჭიქულია გარედან წითლად ან შავად. ორსართულიანი „სამლიტრინი“, კოპლებით შემკული ტინტილები იჭიქება ერთფერად და მთლიანად, თუ თოგალით არის მოხატული; შავად ან ნუქყავისფერად მოჭიქული, მრავალი კობალით შემკული სამლიტრინი ტინტილები მოჭიქულია ქვედა სართულის ტინტილების შუა გვამამდე. ტურტლის ასეთი მოჭიქვა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს, ტიქურის ბრწყინვალება კარგად ეხამება შროშული წითელი მიწის ბუნებრივ ფერს.

ღვინის სახმისი მარნის მოჭიქვა ხელოსნისაგან კიდევ მეტ ფანტაზიას საჭიროებს. ყურძნის მტეენები და ვაზის ფოთლები შავი და მწვანე ფერის ტიქურით იფარება. ვერძის ან ჯიხვის თავი და რქები სხვა ფერის წამალშია შეღებილი, ხოლო საწინებელი და ტურები მუქი ფერის ტიქურითაა დაფარული.

ტურტლის შემკობის დროს შროშელი ხელოსანი დაინტერესებულია მის მიერ დამზადებულ ტურტელს, გარდა ყოფითი მნიშვნელობისა, ესთეტიკური ღირსებაც გააჩნდეს. ლამაზი ფორმის, ნატიფად შემკულ და სახმარად მოხერხებულ შროშულ ტურტელში ორივე ღირსება კარგადაა შერწყმული.



ქართული სახალწლო ჩიჩილაკი

ქართული ახალი წელი ლამაზი, საინტერესო დღესასწაულია. მისი ყოველი ელემენტი აღბეჭდილია ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შრომის პროცესში შექმნილი ტრადიციით, რის გამოც ეს დღესასწაული ქართველი ხალხის სულიერი კულტურის საგანძურის კუთვნილებას შეადგენს. ტრადიციის ყველაზე კარგი გამომცდელი — დროა, რადგან იგი მუდმივად უკუაგდება ხოლმე ძველსა და ნიადაგამოცილებს, ისეთს, რომლის არსებობა არ შეესაბამება ახალ საუკუნეს, ხოლო პერსპექტიული და მდგრადი ტრადიციები, მიუხედავად არქაული წარმომოხისა, მტკიცედ მკვიდრდება ყოფაში და განუმეორებელი ეროვნული კოლორიტითა და ისტორიული სურნელებით ამკობს დღევანდელ დღეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ამ პროგრესული სქემის მიხედვით როდი ხდება: ალაგ-ალაგ მავნე გადმონაშთი ბოგინობს, რომელსაც აქტიურად ებრძვის მეცნიერება და საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ ხშირად მოძველებულსა და გამოუსადეგარს საინტერესო და საჭიროც მოყვება ხოლმე, რომლის პოენა-აღდგენა ვარკვეული დროის შემდგომ შეუძლებელი ხდება. ჩვენი ხალხის ისტორიული ყოფის საღაროდან მრავალი ცეკვა თუ სიმღერა, სიტყვიერი თუ მატერიალური ძეგლი უკვლოდ გაქრა, რომელთა ადგილას დარჩა შეუვსებელი ხარვეზი. ამ მცირე წერილის მიზანია, მკითხველს მოაგონოს ქართული სახალწლო ჩიჩილაკი, რომელიც დასავლეთ საქართველოში საყოველთაოდ მზადდებოდა ამ 50—30 წლის უკან და ახლა მთლიანად გაქრა ყოფიდან.

ჩიჩილაკი აღწერილია და შესწავლილი მეცნიერების მიერ და მიჩნეული აქვს სათანადო ადგილი ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში. ამდენად იგი მეცნიერების წინაშე ვალმოუხდელი არ წასულა, მაგრამ მისი გაქრობის შემდეგ გურია-სამეგრელოსა და იმერეთის სახალწლო დღესასწაულს ერთი ლამაზი სამკაული მოაკლდა.

განსაკუთრებით საინტერესო კომპლექსი ჩანს გურული კალბიანი ჩიჩილაკი. მისი დამზადების წესი და მასალა ერთობ უბრალოა და ალბათ არქაულიც. ჩიჩილაკისათვის მოჭრიდნენ თხილის მომსხო ჯოხს, ასე ერთი მეტრის სიგრძისას. სახლში მოიტანდნენ თუ არა, მოჭნილობის შესამატებლად გაახურებდნენ ცეცხლზე და იწყებდნენ მის დამუშავებას. ჯერ კანს გააცლიდნენ და გაასუფთავებდნენ, შემდეგ კი მახვილი, თხელი დანით იწყებდნენ წვრილი, უწყვეტი ბურბუშელის აცლას, ისე, რომ ბურბუშელას თითქმის ჯოხის მეორე ბოლომდე გაიტანდნენ, აქ კი აკეცავდნენ და ძირს დაუშვებდნენ. ასეთი წესით უამრავი ბურბუშელა აიჭრებოდა და ჩიჩილაკის ღეროც თანდათან იფარებოდა საფარით, ე. წ. „ბასილას ან ჩიჩილაკის“ წვერებით. ჩიჩილაკის ღეროს, „წვერების“ თავმოყრის ადგილას ჩამოაცმევდნენ და მიამაგრებდნენ მწვანე ფოთლებითა და კურკანტელის წითელი ნაყოფით მოწულ რგოლს, კალპს ისე, რომ „ჩიჩილაკის წვერები“ ამ რგოლიდან დაფენილ სხივებად ეშვებოდა ძირს. კალპს შენოდან ღეროს ჩამოაცმევდნენ ყველითა და კვერცხით შეზავებულ, გულამოჭრილ სპეციალურ კვერს, ბოკელს. ამის შემდგომ ჩიჩილაკის ღეროს წვერზე ჯვარისსახედ ჩასვამდნენ ორ ჯოხს, რომელთა ბოლოებზე ამაგრებდნენ ორ ბროწველს ან ვამლს და ორსაც სპეციალურად გამომცხვარ სფერულ კვერს, „ყვინჩილას“. ასეთნაირად გამარ-



საახალწლო ჩიჩილაკი

Новогодний чичилаки

თულ ჩიჩილაკზე სცოდნიათ გაპუტული შაშვის ჩამოკიდება, რომელსაც მხოლოდ ბოლოს დაუტოვებდნენ ხოლმე. ასევე კიდებდნენ ძვირფას სამკაულსაც თუკი სახლში მოეპოვებოდათ. სამეგრელოში ჩიჩილაკს ფერადი ძაფებითა და ნაჭრებით ამკობდნენ, იმერეთში კი ენდროთი შეაფერადებდნენ ხოლმე.

ჩიჩილაკის მაგივრად რაჭაში საახალწლოდ ამზადებდნენ გვერგვს, რომელიც გურული ჩიჩილაკის კალპის ნაირსახეობას წარმოადგენს. გვერგვი ოციოდ სანტიმეტრის

დიამეტრის მქონე რგოლია, რომელსაც წნავდნენ ვაზის ლერწმისა და მარადმწვანე ფრთ-
ლებისაგან. შუაში ჯვარისსახედ ჩასვამდნენ ხოლმე თხილის მომსხო ჯოხებს, რომელ-
თა წამახული წვერები რგოლის გარეთ იყო გამოშვებული და ზედ წიფელ დაშლენს
ჩამოაცმევდნენ ხოლმე. ჩიჩილაკის ლეროს მსგავსად იცოდნენ ამ ჯვრის მხრების ათ-
ლა კიდიდან ენტრისაკენ, ისე რომ ჯვრის მხრების დაბოლოებები მაროსავით ფარ-
თოვდებოდა და შიგნიდან სხივებივით ეფინებოდა გარემომცველ რგოლს. ასეთნაირად დამ-
ზადებულ გვერგვზე დებდნენ ჯვარგახაზულ ნამცხვარს, ე. წ. „საოჯახო ტაბლას“,
რომელზეც იცოდნენ ჯამით თაფლის დადგმა ან ჯერცხლის წერილი ფულის თუ შაქ-
რის ნატეხების დაწყობა.

ჩიჩილაკითა და გვერგვით ახალ წელს მიუკვლევდნენ ერთნაერთს, თან მიწის ბა-
რატქასა და საქონლის სიმრთელეს, გამრავლებას, ოჯახის წევრების სიცოცხლეს და
სიმდიდრეს დაუბედებდნენ ხოლმე.

საინტერესოა, რომ ჩიჩილაკი და გვერგვი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში
ყოფილა გავრცელებული, თუმცა ხეებისა და მათი სიმბოლოების მორთვა-შოკაზმვა
სადღესასწაულოდ ყველა ქართულ ტომში სცოდნიათ. მიცვალებულის მოხსენიებასთან
დაკავშირებით სვანეთში აგებდნენ ე. წ. „კამარაჲ“-ს: რკალივით გადმოღუნავდნენ და
მიწაზე დაამაგრებდნენ მოზრდილ ხეს და შემდეგ ზედ დიდი რაოდენობით კვიდებ-
დნენ პროდუქტს, სხვადასხვა ნაკეთობებს, სამკაულს და ა. შ. ფშავში იცოდნენ ნუფე-
დედოფლისათვის ქორწილზე „მაშხალის“ მირთმევა. ეს მაშხალა იყო მრავალმხრიანი
ხის ტოტი, რომელზეც ეკიდა წითელი კვერცხები, ვაშლები, საფუხრე, თეთრი თავსა-
ფარი, ფერადი აბრეშუმის ძაფი, ჭრელი წინდები და ა. შ. ტოტის წვერზე ჯვარს და-
ამაგრებდნენ. მაშხალის მიმტანი მას გადასცემდა საქორწინო წესის აღმასრულებელ
პირს, ხოლო ეს უკანასკნელი საჯაროდ გააცნადებდა, რომ ამა და ამ ნათესავს სურ-
და ქორწილი ნუფედედოფლისათვის ხართა და ფურიით მიელოცა, მაგრამ უსახს-
რობის გამო იძულებულია ამ მცირედით დაკმაყოფილდესო. ამ წესიდან ყურადღებას
იქცევს მაშხალისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. ეს უკანასკნელი ცვლიდა
ძვირად ღირებულ საქორწილო საჩუქარს.

შემკული ხის ტოტის მირთმევა სცოდნიათ ძველად ეპიდემიური ავადმყოფობების
ღვთაებების — ბატონებისადმი. ავადმყოფს უმზადებდნენ ე. წ. „ბატონების მისართმევ
ხეს“, თუთის ტოტს, რომელსაც შემოაკრავდნენ ჭიაფრით შეღებილ ქალადის ზო-
ლებს, ტოტებზე კვიდებდნენ ქალადის სხვადასხვა ფორმის ფორჩებს, რომელთაც ასევე
ჭიაფრით ღებავდნენ წითლად; აბრეშუმის წითელ, ლურჯ და ყვითელ ნაკუწებს
სხვადასხვა ფორმის ნამცხვარს, რგვალს, „კალათებს“, „მერცხალს“, „გუგულს“, „მა-
მალს“, „მტრედს“, „თხას“, „ქათამს“ და ა. შ. ტოტებზე ჩამოცმული იყო წითელი
ვაშლები, წითელი კვერცხები, ხმელი ხალი, თუ გაზაფხული იყო „მისართმევ ხეს“
ფერადი ნატეხებით მიაბამდნენ აყვავებული მცენარეების, ატმის, ტყეშლის, ალუბლის
და ა. შ. ყვავილოვან რტოებს.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ჩიჩილაკი და სხვა, სადღესასწაულოდ შემკული
ხეები და მათი სიმბოლოები, მეტად არქაული წარმოსობისა უნდა იყოს. საგნები აგე-
ბულია უძველესი, ასტრალური და კოსმოგონიური წარმოდგენების მიხედვით, რომლის
გადმონაშთები მრავალადაა შემორჩენილი ჩვენი ხალხის ყოფაში. ქართველთა წინაპ-
რებს, ჩინებულ მიწისმოქმედებს, მელითონეებსა და მესაქონლეებს ინტენსიური
სამეურნეო საქმიანობის პროცესში საკმაოდ დიდი ცოდნა ჰქონიათ დაგროვილი მათი
გარემომცველი, მიწიერი ბუნებისა თუ ცის მოვლენათა და საგანთა შესახებ. ეს ცოდ-



ნა მელაუნდებოდა როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ისე რიტუალებში, მითებსა და ლეგენდებში, კოსმოგონიურ წარმოდგენებში. ბუნებრივია, ამ წარმოდგენებში განსაკუთრებული ადგილი უნდა სჭეროდეთ დღისა და ღამის ცის უდიდეს მნათობებს, მზესა და მთვარეს. ასევე შემჩნეული ჰქონიათ ღამის ცაზე ცდომილთა, ვარსკვლავთა და თანავარსკვლავედთა ამოსვლისა და ჩასვლის რიგი. მათი მეშვეობით ხდებოდა წლიური ციკლისა და მისი შემადგენელი პერიოდების დადგენა. ქვეყნიერებას ოთხი ძირითადი მხარე ჰქონდა რომელსაც ცაზე მზის მდგომარეობით განასაზღვრავდნენ. ეს კარგად ჩანს მხარეთა ქართული სახელწოდებებიდან, რომლებიც აღწერენ ცაზე მზის მდგომარეობას: აღმოსავლეთი, სამხრეთი (ბლუარი) დასავლეთი და ჩრდილოეთი (ე. ი. მხარე, სადაც მზე არასოდეს არ დგას) ძველი ხალხების ხელოვნებაში ეს რწმენა მრავალი სიმბოლოთი და კომპოზიციით იყო წარმოდგენილი, მაგრამ ყველაზე უფრო პოპულარული სიმბოლო ქვეყნიერების ოთხი მხარისა იყო ჯვარი, რომელიც საფუძვლად ედო თითქმის ყველა ასტრალურ თუ კოსმოგონიურ კომპოზიციას.

ჩვენი წინაპრების წარმოდგენით გუმბათოვანი ცა ვარსკვლავებით იყო „მოჭედილი“ და ქვეყნიერებას გადმობურული ჰქონდა მადლიდან. ამიტომაც სიტყვიერებაში გაგვანია ტერმინი „ცარგვალი“, ციური სხეულები ერთმანეთის „მოდე-მომძეებად“ მიაჩნდათ და რადგან ისინი სხვადასხვა დროს ამოჩნდებოდნენ ცარგვალზე, — ამიტომ ერთმანეთის „სტუმარ-მასპინძლებს“ უწოდებდნენ. მრგვალ ცაზე მზე გარს უვლიდა უძრავ, ოთხკუთხოვან ქვეყანას. ამიტომაც ძველ ხელოვნებაში მზის გზას ქვეყნიერების გარშემო წრეში ჩასმული ჯვრის სახით გამოსახავდნენ. ამ ჯვრის ბოლოებზე სვამდნენ ხოლმე მზის სიმბოლოებს, წრეებს. ან არადა ხატავდნენ უბრალო, ტოლმხრიან ჯვარს, ბოლოებზე ასტრალური სიმბოლოებით. ასეთი ნივთები სწორად კეთდებოდა სხვადასხვა სადღესასწაულო-სარიტუალო დანიშნულებით და ცერემონიალის შესრულებისას ალბათ შესაბამისი შინაარსის სიტყვიერი თანხლებაც ექნებოდა. ასეთ გალექსილ თუ პროზაულ ტექსტებს პიმენტის სახით ასრულებდა ხოლმე გუნდი. ასტრალური სიმბოლოების გარკვეული სისტემით გამოსახვა სხვადასხვა საგნებზე გამოწვეული იყო დამწერლობის უქონლობით, მაგრამ იდეათა გადმოცემის ასეთი მიახლოებითი ხერხიც საკმაოდ ზუსტად ასახავს მაშინდელ წარმოდგენათა ძირითად არსს.

აღმოსავლეთის ძველი ხალხებისა და მათ შორის ქართველთა წარმოდგენის თანახმად ცარგვალს იჭერდა სიცოცხლის ხე, რომელსაც გარს ეხვივნენ ფრინველები და ცხოველები, მის ტოტებზე დავანებულნი იყვნენ ღვთაებები, რომლებიც ციურ სხეულებს განასახიერებდნენ. სიცოცხლის ხის ფესვები ქვესკნელს წვდებოდა, მისი ძირიდან გამოდიოდა წყარო. ამდენად ამ ხის სახით წარმოიდგინებოდა ციური, მიწიერი და ქვესკნელის სამყარო. თრიალეთის თასის ფრიზზე გამოსახულია ხის ქვეშ ტახტზე მჯდომი ღვთაება, რომლის წინაშე ხელქვეითი ღვთაებები ჩამწკრივებულან. ისინი ღვთაებრივ სასმელს სვამენ. ასეთი სასმელი ძველი ინდოევროპული ხალხების წარმოდგენით სწორედ სიცოცხლის ხესთან იყო დაკავშირებული. ვედების რელიგიაში სიცოცხლის ხედ წარმოდგენილია თვით ბრაჰმა, რომელმაც შემდგომ ამ ხისაგან ნაოფლიო შექმნა. თავად იგი ზის ხის ძირში და სვამს ღვთაებრივ სასმელს სომას. ასეთი თქმულებები არსებობდა ძველ შუამდინარეთში, ეგვიპტეში, კელტებსა და სკანდინავიის ხალხებში.

ქართველ ეთნოგრაფთა შრომებში სიცოცხლის ხის ვარიანტები ფართოდაა შესწავლილი და ჩიჩლაკიც მიჩნეულია ამ ხის ერთ-ერთ სიმბოლოდ. მართლაც,



მისი „წვერები“ დაბურულ ხეს განასახიარებს, ზედ დადგმულია მწვანე ტოტებისა და წითელი ნაყოფებისაგან შეკრული წრე, კალპი, ხოლო კენწერო შემავალია კენჭიერი რომლის ბოლოებზე წამოცმულია ბურთულები, „ყვინჩილები“, ვაშლები და ბროწეულები. სფერული „ყვინჩილა“ მზის სიმბოლოა, ისევე როგორც ბროწეული და ვაშლი, და მათი სიმბოლოცა კარგადაა ცნობილი ძველ რელიგიებში. ბროწეული ჰიპოკრატესა და პლინიუსს ჩასახვისა და მშობიარობის ხელშემწყობ ნაყოფად მიიჩნედათ. პავსანიას ცნობით ბროწეული ქერასა და აფროდიტეს საკულტო მცენარე იყო და კვიპროსზე იგი პირველად აფროდიტეს დაურგავს. ვაშლსა და ბროწეულს ხშირად შეხედებით გმირების დაბადების შესახებ შექმნილ ლეგენდებსა და ზღაპრებში. ნაყოფიერების იდეა უძველეს რელიგიებში სოლარულ წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული და მრავალი სფერული და წრიული საგანი მზის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ანტიკომ ნიჩილაკის წვერზე ეს ნაყოფები მზეს განასახიერებს. ჩიჩილაკს ზემოდან სწორედ ის ჯვარი ადგას, რომელიც სქემატიურად გადმოგვცემს მზის ტრიალს ცარგვალზე ქვეყნიერების ოთხ მხარესთან მიმართებაში. ამდენად ჩიჩილაკის სახით სრულიად დასრულებულად გადმოცემულია წარმოდგენა ზეაზრიელებისა და სიცოცხლის ხის შესახებ. მის კენწეროს გარს უვლის მზე, ზედ მგალობელი ფრინველები და ციური მნათობები ბუდობენ, რომელთაც შაშვი და სხვა ფერადი სამკაულები განასახიერებს. ამიტომაც იყო, რომ ჩიჩილაკი, როგორც ზეაზრიელებისა და სიცოცხლის სიმბოლო, მზადდებოდა წლის განახლების დღესასწაულზე.

რა თქმა უნდა, ეს კოსმოგონიური სისტემა ხალხს დიდი ხანია აღარ ახსოვს და ჩიჩილაკი მისი არსებობის უკანასკნელ ხანებში მხოლოდ სადღესასწაულო სამკაულს წარმოადგენდა. მისი ადგილი ჩვენში დაიჭირა ამავე კონცეპციის პარაშომ, მთელს მათფლიოში აღიარებულმა საახალწლო ნაძვის ხემ, მაგრამ ჩიჩილაკი იყო ამ უნივერსალური იდეის ეროვნული თვალსაზრისითა და ჩვენი ხალხისათვის დამახასიათებელ მხატვრული და ესთეტიური საშუალებებით გადმოცემის ცდა. ეს მომენტი კი განსაკუთრებით საინტერესოა ამა თუ იმ კულტურული მოვლენის შეფასებისას, რადგან სწორედ იგი განსაზღვრავს ხალხური შემოქმედების კოლორიტს. ამდენად ქართული საახალწლო ჩიჩილაკი საინტერესო ძეგლია და მისი შენარჩუნებით ტრადიციული ხალხური საახალწლო დღესასწაული ხალხისა და მშვენივალს შეიმატებს.



მხატვარ-რესტავრატორის პრაქტიკიდან

საქართველოს შუა საუკუნეების მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის, სამწუხაროდ, ბევრია ისეთი, რომელთა მოხატულობა ავარიულ მდგომარეობაშია. მხატვარ-რესტავრატორთა მოვალეობაა გაამაგროს მხატვრობა კედელზე, როცა შელესილობის ფენა სცილდება მას, გაამაგროს საღებავის ფენა და გაწმინდოს იგი. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა თვით არქიტექტურულ ნაგებობას დაღუპვა ელის და საჭიროა ფრესკების სასწრაფო გადარჩენა, თუ კი ასეთები ძეგლში არსებობს. სწორედ ასეთი სახის სამუშაოს ჩატარება მოგვიხდა 1956 წელს ყაზბეგის რაიონში, სოფ. გველეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში, სადაც ძეგლთა დაცვის სამმართველოს დავალეზებით სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოდან მივლინებულნი ვიყავით რესტავრატორები -- შალვა აბრამიშვილი და ამ წერილის ავტორი.

სოფ. გველეთი მდებარეობს ყაზბეგიდან ჩრდილოეთით 8 კმ-ის მანძილზე, ეკლესია სოფლის დასავლეთითაა მთის წვერზე იგი ერთნაირად დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენდა და ნაშენი იყო ადგილობრივი კირის ქვის მშრალი წყობით. მისგან შემორჩენილი იყო მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი, როგორც ფიქრობენ ეკლესია XI საუკუნეში ყოფილა მოხატული. მოხატულობის შესასრულებლად ეკლესია შეუღესიან მშრალ წყობაზე, კირის მხოლოდ ერთი ფენით. სწორედ ამ ერთი ფენით შეღესიან განაპირობა ფრესკების მოხსნის თავისებური მეთოდი.

არსებობს კედლის მხატვრობის მოხსნის სამი წესი:


1. როდესაც მხატვრობა იხსნება შელესილიანად ისე, რომ კედელი ხელუზღებელი რჩება;

2. როდესაც მხატვრობა იხსნება შელესილიანად, მაგრამ ისე, რომ იშლება კედელი;

3. როდესაც იხსნება მხოლოდ საღებავის ფენა.

ამ შემთხვევაში, რადგან შელესილობის ხსნარი ღრმად იყო შესული მშრალ წყობაში და მისი მოცილება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, გადაწყდა მიგვემართა მეორე წესისათვის, ე. ი. კედელი მოგვეცილებინა შელესილობისათვის. სირთულეს ქმნიდა ისიც, რომ იქ, სადაც შელესილობა ეკვროდა ქვას, იგი ძალიან თხელი იყო. ხოლო ქვებს შორის შესული ხსნარი სქელი და კონუსის მაგვარი ფორმის მქონე (ნახ. I). ეს ქმნიდა უაღრესად კონტრასტული სიმაგრიის მქონე შელესილობას და ძალიან ართულებდა მის მთლიანად შენარჩუნებას.

სულ მოსახსნელი იყო კომპოზიციებით დაფარული 16 კვ. მ. კომპოზიციები სხვადასხვა ზომისა იყო, მათგან ყველაზე დიდი წარმოადგენდა ამხედრებულ წმ. გიორგის გამოსახულებას (2,60 მ X 1,60 მ). გადავწყვიტეთ მოგვეხსნა წმ. გიორგის გამოსახულება მთლიანად, დაუჭრელად; დანარჩენი მოხატულობა დავჭერით სცენების მიხედვით, სცენების გამყოფ წითელი ხაზის გაყოლებით (ყველა კომპოზიცია შემოფარგული იყო, როგორც წესი, დაახლოებით 5 სმ სიგანის მქონე წითელი ზოლით, ჩარჩოთი). რადგან ეკლესიას არ ჰქონდა გადახურვა, ცხადია, მზისა და ბუნე-




ნახ. 1.

чертеж 1

ბრივი ნალექების მოქმედების შედეგად, საღებავის ფენის უმეტესი ნაწილი დაკარგული იყო და შემორჩენილი ჰქონდა მხოლოდ პირვანდელი მონახატი.

პირველ რიგში იქ, სადაც საჭირო იყო, გაემაგრეთ საღებავის ფენა, შემდეგ, დავჭერით კომპოზიციები წითელი ხაზების გასწვრივ და დავიწყეთ მხატვრობის მოხსნა. მოხსნის პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობდა: საღებავის ფენის გამაგრების შემდეგ თითოეულ კომპოზიციას ცალ-ცალკე ავაკარით ხის წებოს ხსნარით თხელი ქსოვილი, რომლის შემოდანაც ცოტაოდენი შემრობის შემდეგ იმავე ხსნარით, ავაკარით ქალაღის რამდენიმე ფენა.

როდესაც ქსოვილისა და ქალაღის ფენა საკმაოდ გამაგრდა, დავიწყეთ კედლის დაშლა. კედელი, (სისქე ერთი მეტრი) ნაშენი იყო საკმაოდ დიდი



чертеж 2

ზომის ქვევით, ისე რომ ზოგიერთი ქვის მოცილება კედლის წყობიდან ორ კაცს გვიჭირდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შელესილობა ზოგ ადგილას ძალიან თხელი იყო და ზოგან კი ძალიან სქელი. ამიტომ იძულებული ვიყავით იგი დამატებით, ფანერით გაკვემაგრებინა ორივე მხრიდან. შელესილობის გამაგრება მთლიანად ფანერით იმ მხარეს, სადაც მოხატულობა იყო, შესაძლებელიც იყო და ადვილიც. კედლის მხრიდან შელესილობას ფანერით ვამაგრებდით თანდათანობით, რაც უფრო დაბლა ჩავდიოდით, მით უფრო დაბლა ვწევდით ფანერას და ცარიელ ადგილებს ვავსებდით ქალღლით, რომ ფანერა სა და შელესილობას შორის სიცარიელე არ წარმოქმნილიყო, ფანერებს შუა მოქცეულ შელესილობას ვამაგრებდით ფანერების ერთმანეთზე მიწოლით ჭახრაკების (струбишки) საშუალებით (ნახ. 2).

ასე თანდათანობით ვაცილებდით შელესილობიდან ქვის წყობას (ნახ. 1). მოხსნილ მხატვრობას ვაწვენდით წინასწარ დამზადებულ ხის ციგებზე და ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით თოკებით ვუშვებდით კედლის დაქანებულ ზედაპირზე. შემდეგ კი გადაგვიქონდა ყაზბეგის მუზეუმის სათავსოებში ჩარჩოებში ჩასასმელად.

ასე მოიხსნა ცალ-ცალკე ყველა კომპოზიცია. დაიწყო მუშაობის შემდგომი ეტაპი, რომელიც ყაზბეგის მუზეუმში მიმდინარეობდა. დავიწყეთ ჩამოხსნილი მხატვრობის ჩარჩოებში ჩასმა: მოხსნილ შელესილობას ვაწვენდით სწორ ზედაპირზე, პირით ქვევით (ე. ი. მხატვრობით ქვევით), ვასუფთავებდით, ვაცილიდით ზედმეტ კირის ხსნარს, ზევიდან ვადებდით ჩარჩოს, დაწნული ბადით (ნახ. 3, 4, 5) და მთლიანად ვფარავდით თაბაშირის ხსნარით (უფრო სასურველია კირის ხსნარის გამოყენება). თაბაშირის გაშრობის შემდეგ ფრაგმენტს ვაბრუნებდით მთლიანად და ვიწყებდით მოხატულობის დამუშავებას. პირველ რიგში ვაცილიდით ქალღლით, რომელსაც ვაღობდით წყლით, შემდეგ გადავდიოდით ყველაზე სათუთ სამუშაოზე — მხატვრობიდან ქსოვილის აღებაზე. ქსოვილი რაც შეიძლება კარგად უნდა დაღებეს, რათა წებომ სიმარგრე დაკარგოს და ქსოვილის აღებისას საღებავის ფენა არ აიყოლოს, ქსოვილის მოცილების შემდეგ მხატვრობის ზედაპირზე რჩება წებოს ნაწილი, რაც აგრეთვე უნდა მოიწმინდოს ძალიან ფრთხილად სუფთა წყლით.


მხატვრობის განთავისუფლების შემდეგ ვასწორებდით დამატებული თაბაშირის ხსნარის ზედაპირს, ვავსებდით ბზარებსა და ვაკეთებდით ტონირებას.

ყველა ეს სამუშაო მიმდინარეობდა ოქტომბერსა და ნოემბრის პირველ ნახევარში. მისი ჩატარებისათვის აუცილებელი იყო მშრალი ამინდი, რადგან მუშაობა გვიხდებოდა ღია ცის ქვეშ. ამინდმა მართლაც გაგვიმართლა.




საქართველოს
საშენობის უნივერსიტეტი

უახანა ხელის ხსენაჩის მასშაბება



შუაღსიღობა




ნახ. 3-3.

чертеж 3—4

ნახ. 5.

чертеж 5

შრნა ხელი კსოზიღის ვოსიღაღს შუაღება



ჩაღრო ზის ან შაბთის

ხსნაღი აიღის ან თაბაღიღის

ღო შუაღსაღ შუაღებაღი ზღა გაუაბთღას ბონიღაბა

გოსსნიღი ღა ჩაღროღი ჩაღსღი აუღღის შუაბღიღობა

განვიხილოთ კედლიდან მხატვრობის მოხსნის კიდევ ერთი მაგალითი. 1957 წელს კულტურის სამინისტროსთან არსებული ძეგლთა დაცვის სამმართველოს დავალებით სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო სააწროო სახელოსნომ გაგვაგზავნა გე-

გეგმორში, მარტვილის ეკლესიაში კედლის მხატვრობაზე გაწმენდა-გამაგრებელი მუშაობის ჩასატარებლად.

მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ სამხრეთის მკლავის მესამე რეგისტრში არის მხატვრობის ორი ფენა. მეთოდურმა საბჭომ გადაწყვიტა მოხსნილიყო ზედა ფენა, რომელიც XVI საუკუნით თარიღდება და გამოჩენილიყო XIV საუკუნით დათარიღებული ქვედა ფენა.

საქართველოში, კედლის მხატვრობაში, ხშირად გვხვდება ფენოვანი მხატვრობა. ამ შემთხვევაში XIV საუკუნის მხატვრობა ამოიჩქნილი იყო ბრტყელი წვეტიანი იარაღით, რათა შემდგომში XVI საუკუნის შელესილობას ჰქონოდა კედელზე მკვიდრად მოჭიდების საძირკველი. აქ უკვე გვქონდა შელესილობიდან-შელესილობის მოცილების შემთხვევა. დაზვერვის შედეგად გამოირკვა, რომ ზოგიერთ ადგილებში ზევითა შელესილობა მკვიდრად არ იყო მოჭიდებული ქვედა შელესილობასთან, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც შერჩენილი იყო მხატვრობა. გარდა ამისა, ამოიჩქნილი ადგილები არც ისე ხშირი იყო და ეს გარემოება გაგვიადვილებდა დასახული სამუშაოს ჩატარებას.

წინასწარ მოვამზადეთ მოსახსნელი ფართობის ზომის მქონე დაფა, მხატვრობას ავაკარით გასამაგრებლად თხელი ქსოვილი და შემოვჭერით შელესილობა კომპოზიციის მიხედვით. ამის შემდეგ დავიწყეთ ზედა ფენის ფრთხილად მოცილება ბრტყელი, გრძელი იარაღების დახმარებით. ასე თანდათანობით მოვხსენით ზედა ფენა, დამამაგრეთ ფანერის დაფაზე და თოკებით დავუშვით ეკლესიის იატაკზე, რის შემდეგ ჩავსვით სპეციალურად დამზადებულ ჩარჩოში.

ამგვარივე სამუშაო ჩავატარეთ მარტვილის ტაძრის ეზოში არსებულ მცირე ზომის ეკლესიაში, საიდანაც გუმბათის ყელის ქვედა არეებიდან, ქვის წყობიდან, მახარობელთა გამოსახულებანი მოვხსენით. მოხსნილი ფრაგმენტები და მარტვილის დიდი ტაძრის ჩვენს მიერ ჩამოხსნილი XVI საუკუნის მხატვრობის კომპოზიცია გადავვცით გეგმპეორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, სადაც ისინი დღესაც ინახება.





ხურჭუჭის კოშკი — „გოშიაბ-ულა“

Башня «Гошанкала»

თეიმურაზ მიხაშანი

ქართული ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიაში

ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი სხვადასხვა ეპოქის ძეგლთა საინტერესო სამ-ყაროს წარმოადგენს. აქედან ჩვენ გვინდა მოკლედ შევხებით ყარაჩა-ბალყარეთის ტერიტორიაზე მიმოხილულ შუა საუკუნეების ზოგიერთ მატერიალურ კულტურის ძეგლს ყარაჩა, რომელიც ძირითადად ყარაჩაელებით არის დასახლებული, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ყარაჩა-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში შედის, ხოლო ბალყარეთი ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ში. ყარაჩა მდ. ყუბანის სათავეში მდებარეობს, ბალყარეთის მდინარეების მალყარის, ბეზენგის, ჩეგემის, ბახსანისა და მალკის ხეობებში. ყარაჩა-ბალყარელები ერთი ეთნიკური ჯგუფიდან განაყარი მონათესავე ხალხებია- მათი წარმომადგენლობის საკითხი მიმდინარე საუკუნის 60-იან წლებამდე ბურუსით იყო მოცული. სწორედ ამან განაპირობა 1959 წელს ნა-ლიჩივი სპეციალური სამეცნიერო სესიის მოწვევა, რომელიც მიეძღვნა აღნიშნული ხალხების ეთნოგენეზის პრობლემას. ამ სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც ადგილობრივმა მკვლევარებმა, ისევე ცნობილმა საბჭოთა კავკასიისმცოდნეებმა პროფ. ი. ლავროვმა, ალ. რობაქიძემ, რ. ხარაძემ, ზ. ანჩაბაძემ და სხვ. როგორც გა-ირკვა, ეს ხალხი მათ დღევანდელ ტერიტორიაზე შემოსახლდნენ არა უადრეს XIV-XV საუკუნეებისა. ყარაჩაელები ბალყარელებს უნდა გამოყოფოდნენ XVII საუკუნის შუა წლებში და დასახლებულიყვნენ ყუბანის სათავეებში. სესიის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ ყარაჩა-ბალყარელთა ეთნიკური ფორმირების პროცესში, ჩრდილოეთ კავ-კასიის სხვა ხალხებთან ერთად გარკვეული როლი უნდა შეესრულებინათ სვანებსაც.



მონასტერი შუანა, ხედი აღმოსავლეთიდან Монастырь Шуана, вид с востока

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დღევანდელ ყარაჩა-ბალყარელთა ტერიტორიაზე ოდესღაც სვანებს უნდა ეცხოვრათ. მიუხედავად ამისა, დღევანდელ ყარაჩა-ბალყარელების ეთნოგენეზის მკვლევართ კვლევა არა აქვს გამახვილებული ყურადღება სვანების აღნიშნულ ტერიტორიაზე განსახლების შეაძლებლობის საკითხზე.

წლების განმავლობაში ამ საკითხთან დაკავშირებით დაგროვილი მასალა გვარწმუნებს, რომ სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლება დასტურდება უამრავი ფაქტით.

რომ არაფერი ვთქვათ დოკუმენტებსა და ჩვენს მიერ სვანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩაწერილ გადმოცემებზე, ყურადსაღებია იქ არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, ქართველური წარმოშობის ტოპონიმები და გვარები. მართო ბალყარეთის ტერიტორიაზე 90-მდე ასეთი ტოპონიმი გამოვლენილი (ლაშგუდა, კუდაი ნაკ, ლესგენ, ჟაბოლარ, ლაბუ, ლაგურა, ლაღვერ, ლამგუთ, ლახრან, ქულუ, გაგიშ შურუ, მუხოლ და სხვ). ყუბანის სათავეებში კი 30 (უშგულან, მახარ, ხურსუკ, ლაბგვიარ, დალარ, ბაჩა-ბოგ, ტიბერდა, კლუხორი, ხატიფარა, სულახატ, სენტი, მუხუ, ხუმარა, შუანა და სხვ.). სვანური და ზოგჯერ რაჭული წარმოშობის გვარებიდან აღსანიშნავია: ბოტტავე-კახიანი, გვიევი-კახიანი, ებზევე-არღვლიანი (ებზე-ს ყარაჩა-ბალყარელები ეთნონიმის სახით ხმარობენ სვანების მიმართ,) ერისტავე-ერისთავი, ოთარლარ-დადეშქელიანი, ჟაბულარ-დადეშქელიანი, რახაილარ-რეზვიამვილი, სოტტავე-ყიფიანი, ტაპასხანოვ-ქურდიანი, ქურდანოვ-ქურდიანი, შაბ-მურზავე-გუჯეჯიანი, შუანოვ-(?) „შუან“ სვანურად სვანეთი, ჩარკუიანოვ-ჩარკვიანი, ჯაპპუევი-ჯაფარიძე, ხუბიევი-ხვიბლიანი, წულკიანოვ-წულკიანი, მიმჩუევი-მიმჩუანი და სხვ.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია ყუბანის სათავეებში მდ-



„ბალყარუ-კალა“ სოფ. ზედა ჩეჩეში (ელტი- «Балкару-кала» село верх. Чегеми უში)

ბარე ქრისტიანული მონასტრები, რომლებიც დათარიღებულია X-XI საუკუნეებით ერთ მათგანს ეწოდება სენტი (ქვედა თებედრა), ამ სოფლის ადრინდელი სახელი. მეორეს — შუანა, რომელიც აშენებულია ამავე სახელწოდების მთაზე. შუანა ადრე ეწოდებოდა დღევანდელ აულ კოსტა-ხეთაგუროვოს, სადაც 1870 წლიდან მოსახლეობენ ჩრდილო ოსეთის სოფ. ნართიდან გადმოსული ოსები. ორივე ძველი სავალალო მდგომარეობაშია, ჩამოხსნილი აქვთ კარები, შიგნით საქონელი შედის და სიბინძურის გამო ადამიანის შესვლა შეუძლებელიცაა.

შუანა იგივე „ქართული ხარა-ხოტო“ — უნდა იყოს. რომელსაც ვახუშტი იხსენიებს, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ეპარქიას. საყურადღებოა თვით ადგილის სახელწოდება, რაც ნიშნავს სვანეთს. ასევე, სენტი იდენტური უნდა იყოს სვანეთის სენტი (მესტიის შუა სოფელი).

აულ ხურზუგში (მდ. ყუბანის სათავე), მთაზე დგას XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული სვანური კოშკი, რომელსაც „გომაიახ-ყალა“ ეწოდება. მას თავი მორღვეული აქვს და ამდენად სვანური კოშკებისათვის დამახასიათებელი პარაპეტი ვერ შემოუნახავს.

სვანური თქმულება-გადმოცემებით იგი მიჩნეულია გომუანების საკუთრებად, რომლებიც ცხოვრობდნენ ხურზუგში. იქ ჩადენილ მკვლელობის გამო ისინი იძულებით გადმოსულან სვანეთში. გადმოცემის მიხედვით სვანეთში გადმოსული სამი ძმა გომუანისაგან არიან წარმოშობილი ისეთი გვარები როგორიცაა: ჩხუმანი, ხერგიანი, მარგველიანი. ისინი ახლაც ნათესაობენ ერთმანეთს.

ყარაჩაში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით ხურზუგის კოშკის მეპატრონე გომაია-ბიჩე (გომუანის ქალბატონი) დასაფლავებულია მეორე აულში, ქართ-ჯრთის სასაფლაოზე, სადაც მის აკლამას ეწოდება „გომაიახ-ბიჩექემენი“ — გომუანის



«თახები კლდეში (თამარის შთის შიდაშოები) «Комнаты» в скале

თამარის ქვაჩი აულ ზუმარაში



Крест Тамары

ქალბატონის აკლდამა. ეს აკლდამა დათარიღებულია XVI-XVII საუკუნით.

დღემდე შემონახული სოფ. ბეზინგიში სვანური კოშკი ე. წ. „აკ-ყალა“, (თეთრი კოშკი). მას ადრე „ეზე-ყალას“ (სვანების კოშკს) უწოდებდნენ, მაგრამ ადგილობრივმა მკვლევარებმა მას, რატომღაც, სახელი შეუცვალეს. იგი თავმორღვეულია. არსებობს ამ კოშკის სურათი, რომელიც ე. ბ. ბერშტეინს 1937 წ. გადაუღია. მაშინ



კომსკ შენარჩუნებული ქვინია თავისი მთლიანობა და სვანური კომსკებისათვის დატოვებული ხასიათებელი პარაპეტიც. ეს სურათი ალ. რობაქიძემ და რ. ხარაძემ გამოაქვეყნეს 1959 წლის სამეცნიერო სესიის მასალათა კრებულში, რომელიც გამოვიდა 1960 წ. ძველი დათარიღებულია XVII-XVIII საუკუნით.

უენებლადაა გადარჩენილი ჩეგემის კომსკი, რომელიც მკვლევართა მიერ უცილობლად სვანურ კომსკად არის აღიარებული. დათარიღებულია XVII ს. მნიშვნელოვან ანსანბლს წარმოადგენს ჟაბოფევის ციხე-სიმაგრეთა კომპლექსი. ჟაბოფევი დადემქელიანებია. ჟაბ-სვანური სიტყვაა და აღმოსავლეთით მდებარე უბანს, ადგილს ან ციხეს ნიშნავს. მსგავსი ტოპონიმები სვანეთშიც გვხვდება.

საგულისხმოა, რომ ხუმარის მომიჯნავე ხეობის, ყუბანის თავში მთასა და მასზე კომსკის ნანგრევების ნაშთს ადგილობრივნი «Гора Тамары» და «Крепость Тамары»-ის უწოდებენ. ეს ტოპონიმი კარაჩაევსკის რაიონის ყველა მცხოვრებთათვის ცნობილია და ?ით უმეტეს მხარის წარსულის მკვლევართათვის. რომლებიც ამ სახელწოდებას რატომღაც არსად არ იხსენიებენ ტოპონიმებისა თუ ძეგლების მიმოხილვის დროს.

ამავე აულ ხუმარაში არის ერთი დიდი ქვა, რომლის სიგრძე 5 და სიმაღლე, 3.5 მეტრია. მას თამარის ქვას უწოდებენ. გადმოცემით, აქ ჭედაჯდნენ თამარის ცხენს, რომლის ფლოჭეების ანაბეჭდები ახლაც ეტყობა ქვას. ქვაზე მართლაც სამი სხვადასხვა ზომის „ყუთია“ ამოჭრილი.

ხუმარის თავზე, მთის ძირში 3 მეტრი სიმაღლის ბრტყელი, უბეზად გათლილი ქვაა აღმართული, რომლის მთელ სიგრძე-სიგანეზე ჯვარია გამოსახული. ადგილობრივნი მასაც თამარის სახელს უკავშირებენ. მათივე თქმით თამარი ქართველი ჯარის მეთაური იყო (და არა მეფე), რომელიც შიშის ზარს სცემდა მტერს და მოღვაწეობდა 500-600 წლის წინათ.

თამარის მთის მომიჯნავე კლდეებში დაახლოებით 36 „ოთახია“, რომელშიაც დაეტევა ექვსამდე ადამიანი. ეს კატაკომბები VIII-XII საუკუნეებით არის დათარიღებული. გადმოცემების მიხედვით მათში თამარის ჯარი იყო ჩასაფრებული. აულ ხუმარ.ში ჩაეიწერეთ საინტერესო გადმოცემა თამარის გარდაცვალების თაობაზე. მათი რწმენით, თამარი, სადღაც მისი მთისა და კომსკის მახლობლად არის დასაფლავებული.

ჩრდილოეთ კავკასიაში ზემოხსენებული მსგავსი ძეგლების ნანგრევები და ნაშთები სხვაც ბევრია, რომელთაც კვლავ სპეციალური შესწავლა და ყურადღება სჭირდებათ.



იმართის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის ეპიგრაფი
ტრაპიზონში

1801 წ. ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთდა. ახლებურად დაისვა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ბედ-იღბლის საკითხიც. იმერეთის მეფე სოლომონ II ენერგიულად იბრძოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და თავისი პოლიტიკური ხელისუფლების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში ფეხმოკიდებულ რუსეთისათვის სრულიადაც არ იყო ხელსაყრელი დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი სამეფოს არსებობა და დღეს თუ ხვალ მის გაუქმებას არ დააყოვნებდა. სოლომონ მეორე გრძნობდა, რომ მის მეფობას საფრთხე ექმნებოდა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს სოლომონმა რუსეთის მიმართ ისეთი პოზიცია დაიკავა, რომ უნებლიეთ თურქეთის ბანაკში აღმოჩნდა. რუსი მოხელეებიც ნიდაგს ამზადებდნენ მეფის მოსაცილებლად. 1810 წ. მათ შეიპყრეს სოლომონი, მაგრამ მან მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა და იმავე წლის მაის-ივნისში სათავეში ჩაუდგა, რუსეთის კოლონიური ხელისუფლების დამყარებით უკმაყოფილო, იმერელთა აჯანყებას. სოლომონი დამარცხდა და იძულებული შეიქმნა თურქეთში ეძია თავშესაფარი. ახალციხე, აზრუმი, ბაიბურთი, ტრაპიზონი ასეთი იყო თურქეთში მისი ყოფნის მარშრუტი. მაგრამ მისმა ცდამ — დაებრუნებინა ტახტი — შედეგი ვერ გამოიღო და 1815 წ. გარდაიცვალა ტრაპიზონში. იგი სათანადო პატივით იქნა დაკრძალული ტრაპიზონში წმ. გრიგოლის ბერძნული კათედრალური ტაძრის¹ ეზოში.

სოლომონის საფლავზე მაშინვე ააგეს ეკვდერი. 1912 წელს ტრაპიზონში ჩასულმა პ. შუბინსკიმ საგანგებოდ დაათვალიერა სოლომონ მეორის საფლავზე დადგმული ეკვდერი და დაწვრილებით აღწერა იგი.²

პ. შუბინსკის აღწერის მიხედვით, საყდრის მთავარი შესასვლელი კარების პირდაპირ, საკმაოდ დიდი, ოთხკუთხა, ღია კარავის ფორმის ეკვდერი ჩანდა. ზემოთ გუმბათი ჰქონდა, გარეთ და შიგნით ადგილ-ადგილ ლამაზი ფრესკული მხატვრობა იყო შემორჩენილი. შიგნით — დიდი თეთრი მარმარილოს ფილა, ერთი შეხედვით სადა ბიზანტიურ ნაგებობათა ტიპური ნიმუშის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა. საკმაოდ ამაღლებულ გრანიტის კვარცხლბეკზე ოთხი ლამაზი სვეტია დადგმული, რომელიც იმავე ქვის გუმბათითაა გადახურული. ნახევარწრიული ამონაკვეთებით, მორთულია ორმაგი კარნიზით, რომელთა შუალედებიც ბიზანტიურ სტილშია მოხატული; გადახურულია კრამიტის სახურავით, რომლის ზემოთაც მოთავსებულია პატარა თლილი ქვის კოშკური, ლამაზი კარნიზით და დაგვირგვინებულია ლითონის რვაკუთხა ჯვრით.

ამ კოშკურას შიგნით მარად მანათობელი კანდელი ეკიდა სოლომონის საფლავის თავზე (ამჟამად კანდელი აღარ არის). ძველის სიმალლე ჯვრით დაახლოებით ათი, სიგანე კი ხუთი არშინია. ძველი, როგორც ჩანს, ახლახან გაურემონტებია გაუწაფავ ხელს, რის შედეგადაც დიდი ნაწილი წარწერებისა და მხატვრობისა, რომლითაც დაფარული იყო ძველი, წაშლილია. მხატვრობა მხოლოდ გუმბათის შუა მხარესაა კარგად შემორჩენილი. აქ ჯერ კიდევ ნათლად ჩანს ბაგრატიონთა ღერბი, რომელშიც გამოხატულია დავით მეფის შურდული, მისი ქნარი, უფლის კვართი, სამეფო სფე-



ვეფერი სოლომონ II საფლავზე ტრაპიზონში Памятник на могиле царя Соломона II в Трапезунде

რა და სასწორი — მეფური სიბრძნის ემბლემა. ეს ღერბი ეყრდნობა ორ ლომს, მის ზემოთ კი გამოსახულია სამეფო გვირგვინი. გვირგვინის ქვეშ, ღერბის ზემოთ გამოსახულია გადაჯვარედინებული მახვილი და სკიპტრა, გვერდებზე ორი ფრთოსანი სერაფიმით, გუმბათის შიდა მოპირდაპირე მხარეს გამოსახულია წმინდა გიორგის ტაძარი, მისი პირვანდელი სახით, გადაკეთებამდე.

სოლომონ მეფის საფლავის თეთრ მარმარილოს ფილაზე, ძველი ქართული ხე-



წმ. გრიგოლის კათედრალური ტაძარი ტრაპიზონში - Кафедральный собор св. Григория в Трапезунде

ცურით გაკეთებულია დღეისათვის ნახევრად წაშლილი შემდეგი წარწერები:

„განმე არცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და ნმუნეიურება და მდებარე ვარ შიმ-
ველ დაკდემულ საფლავსა ამასა შინა, ტომისაგან დავეითისა, შთამოსარული ბაგრატი-
ონი ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისათვისაცა ვითხოვ შენ-
დობასა. თებერვლის 7. -- ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩყიე“.

ქვემოთ: „საჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და კბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემ-
თა; სრცხუნოდენ და კდემებოდნენ, რომელნი ეძიებენ სულსა ჩემსა“ (ფსალმუნნი,
მუხლი 34).

ძეგლის აღმოსავლეთით, მისი კარნიზის გასწვრივ ასეთივე წარწერაა შესრულე-
ბული გამოუცდელი ხელით. როგორც ჩანს იგი შესრულებულია ძეგლის დადგმის
შემდგომ ხანაში.

საფლავის ფილის ქვედა ნაწილზე ყვაეილებით სავსე დიდი ღარნაკია გამოხა-
ტული, რომლის გვერდებზეც ორი კიპარისია. ქართულ და ბერძნულ ენებზე შესრუ-
ლებული წარწერები და მხატვრობა, რომლითაც დაფარული იყო ძეგლის გარე ნაწი-
ლები, დროთა განმავლობაში ჩამოციკიდა.

საყდრის ახლახან ჩატარებული რემონტის დროს, საყდრის საკრებულოს წარ-
მომადგენლებმა, რომლებიც ამ საქმეს განაგებდნენ, გადაწყვიტეს სოლომონის ძეგ-
ლიც შეკეთებინათ.

მათ შუაგულს სახურავი და განკარგულება გასცეს შეეღესათ ყველა დასაბუ-
ბული ადგილი. ამან საგრძნობლად დააზიანა ძეგლი, განსაკუთრებით კი მისი მხატვ-
რობა.

3. შუბინსკის მიერ მოცემულ სოლომონ II საფლავის ძეგლის აღწერას გარკვე-
ული ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა, პირველყოვლისა, განპირობე-
ბულია იმით, რომ ვერც ტაძარმა და ვერც საფლავის ძეგლმა ჩვენამდე ვერ მოაღ-
წიეს. მის მიერ დაბეჭდილი ტრაპიზონის წმ. გიორგის კათედრალური ტაძრის და
სოლომონ II საფლავის ძეგლის ფოტოსურათები, აგრეთვე ამ ძეგლის თავდაპირვე-
ლი და მისი თანამედროვე სახის დაწვრილებითი აღწერა, სოლომონ მეორის ცხოვრე-
ბის უკანასკნელი პერიოდის მომენტების აღწერასთან ერთად, თვალწინ წარმოუდგენს
შკითხველს ამ უიღბლო ისტორიული პიროვნების ტრაგიკულ დასასრულს.

¹ აღნიშნული ტაძარი აშენდა XIII საუკუნეში. 1875 წელს იგი გადაკეთდა, ხოლო 1922
წელს თურქმა, ფანატიკოსებმა იგი დაანგრიეს სოლომონ II საფლავის ძეგლთან ერთად.

² Шубинский П.—Гробница имеретинского царя Соломона в Трапезунде.
Исторический вестник. I. CXXXII (апрель) 1913, стр. 275—282.

პალაის ივერთა მონასტარი

ქართული ეკლესია მთელ საქრისტიანოში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

საქართველოს სამეფოს მრავალი ტაძარი ჰქონდა: იერუსალიმში ჯერის მონასტერი (IV ს.), იორდანის ნაპირზე ფარანის ლავრის ახლოს სოფ. აბუსლასში (IV ს.), იოანე ღვთისმეტყველის (V ს.), ათონის (VIII ს.), ოლიმპოზე (VI ს.), ათონის ივერის (X ს.), შავი მთის, ანტიოქიის ახლოს (X ს.) სინას (XI ს.), პეტრიწონის — ბულგარეთში და სხვ. ამ ტაძრებს ყველგან დამოუკიდებელი მართვა ჰქონდათ.

მთელ საქრისტიანოში სახელი გაითქვეს ქართველმა მოღვაწეებმა: წმ. პეტრე აპერმა (412—491) მურვანი, თედულ და წმ. მარტირი საბაწმინდელი, წმ. იოანე მოსხი, წმ. სასწაულმოქმედი ილარიონ ქართველი, ისიხარტირიონი სავა ხალდი, წმ. კიორგი ნიკომიდელი, ღირსი მამა იოანე ივერიელი, ღირსი მამა თორნიკე, ღირსი იამა გაბრიელი, თეოფილე მიტროპოლიტი ტარსი, ექვთიმე აგიორიტი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, ექვთიმე — თორნიკე, იოანე, — ზოსიმე და სხვ.

XVII ს. როდესაც რუსეთი გაძლიერდა, იოანე მესამემ ბიზანტიის იმპერატორის შვილი სოფიო პალეოლოგი შეირთო ცოლად. ბიზანტიის იმპერიის გერბი, ორთავიანი არწივი გადმოიღო რუსეთის გერბად და თავი ჩასთვალა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურად და მფარველად. ძველსა და ძლიერ მორწმუნე ხალხს, მათ შორის ქართველებს (საქართველო იმდროისათვის არ იყო ძლიერი სახელმწიფო) ქრისტიანული სამოსელით დაუწყო დაპატრონება. ამის შედეგად გაჩნდა რუსეთის ტერიტორიაზე ივერთა ღვთისმშობლის ხატის სახელზე საეკლესიო ტაძრები და მონასტრები. კლასიკურ წყნარობაში საქართველო ცნობილია ივერიის სახელით. ქართული კულტურის უდიდესი რელიგიური ცენტრი — ივერიის ღვთისმშობლის ხატის მონასტერი, საბერძნეთში ათონის მთაზე 999 წელს აშენდა. გარდა ამისა

1. XVII ს. დასაწყისში ქ. ენისეისკში აშენებული მონასტერი, 1764 წელს გადააკეთეს ივერიის ღვთისმშობლის მესამე კლასის ქალთა მონასტრად;

2. 1855 წელს ქ. სამარაში დაარსებული იქნა ივერიის ქალთა მონასტერი საერთო საცხოვრებლით, რომელსაც შესწირეს საკარმიდამო მიწები და მამულები მღაბით ნაზაროვმა და ვაჭარმა ქალმა სიპაგინამ;

3. უფრო ადრე, 1648 წლის 13/X ათონის ივერთა მონასტრის ხატის ასლი გადმოიტანეს მოსკოვში და დაასვენეს ნიკოლსკის ტაძარში. მთელი წლის 12/II, 31/III და 12/X ორშაბათობით დღესასწაულობდნენ ივერთა მონასტრის ხატის სასწაულმოქმედებას;

4. ზუსტი ასლი მოსკოვის წმინდა ივერთა მონასტრის ღვთისმშობლის ხატისა ვალდაის მამათა მონასტერში გადატანილი იქნა 1654 წელს. მონასტერი ააშენა კათალიკოსმა ნიკონმა და იწოდება ივერიის ღვთისმშობლის წმინდა ტბის პირველი კლასის მონასტრად. გარდა ამისა ნიკონმა 1655 წელს მოსკოვის ახლოს ააშენა ახალი იერუსალიმის ტაძარი, ხოლო 1656 წელს ონეგის ტბის ახლოს ჯვარის



ვალდაის ივერთა მონასტერი

Иверский монастырь на Валдае



მონასტერი.

ნიკონი იყო მეექვსე პატრიარქი მოსკოვისა და მთელი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დაახლოებული პიროვნება, სარგებლობდა მეფის ნდობით. 1652 წლის 25 ივლისს გლეხი მინას შვილი შედგა სრულიად რუსეთის პატრიარქის მმართველობაში, მისდია რა ჩვეულებას, რომელიც დიდი ხნის წინათ დამყარდა რუსული ეკლესიის უმაღლეს იერარქთა შორის, მის პირველ საქმედ იყო დაეფუნებინა თავისთვის მონასტერი და გაეთქვა სახელი ახალი წმინდანობით. ამ მიზნით ნიკონმა შეირჩია ადრე შენიშნული პატარა კუნძული ვალდაის ტბაზე და ახალდაწყებულ სავანეს ივერიის ღვთისმშობლის საპატივევლოდ უწოდა ივერიის ღვთისმშობლის მონასტერი, რომლის ხატი ათონის ივერთა მონასტერში 999 წლის 31 მარტიდან იმყოფება.

ნიკონის დავალებით და ივერიის არქიმანდრიტის პახომის თანხმობით (პახომი იყო ტირნოვოდან, — ბულგარეთი, საეკლესიო ორატორი, ოქროპირი 1654 წ. ტუმრად იმყოფებოდა მოსკოვში), ათონის ივერთა მონასტერში გაიგზავნა მკოდნე კაცები და გადმოღებულ იქნა ივერიის ღვთისმშობლის წმინდა ხატის პირი. რომელიც საფუძვლად დაედო ვალდაის ივერთა მონასტრის მშენებლობას. როდესაც აგებულ იქნა ქვის ეკლესია, ხატი შეამკეს ოქროთი, ძვირფასი თვლებით და იქ დადგეს. ეს ხატი ამ მონასტრის პირველ ხატად ითვლებოდა. ამასთანავე ნიკონმა გადაიტანა ღირსი იაკობისა და ბორიციის საწაულმომქმედი ნაწილები და ამრიგად, ახალდადაფუძნებული სავანე გახდა ორმაგი თაყვანისცემის სავანი.

ნოვგოროდის ეპარქიის ივერიის ღვთისმშობლის პირველი კლასის მონასტერი აგებულია ვალდაის ტბის კუნძულზე. აქ მიწა სილიანია, კუნძული კი ტყიანი, სადაც იზრდება ფიჭვი, ნაძვი, არყის ხე და სხვ. მონასტერი ვალდაიდან 3 კმ არის დაშორებული, ხოლო ნოვგოროდიდან 137 კმ-ით.

გადმოცემის მიხედვით — ვინმე ფინს — ვალდოს (მჭედელს) შეუქმნია სოფელი — დასახლებული პუნქტი. უნგრო-ფინურ ენაზე ვალდაი — ნიშნავს თეთრს, გამჭვირვალეს. ტბის სახელია სელიგერი. ფინურად სერვერ ნიშნავს დაჭრილ ტბას (ტბაში ბევრი კუნძულია — დაჭრილია კუნძულებით). ტბაში 169 დიდი და პატარა კუნძულია რომელთა ფართობი 274 კვ. კმ შეადგენს ანუ ტბის ფართობის 15 პროცენტს. სელიგერის სიგრძე 90 კმ-ია, სიგანე — 37, სიღრმე — 100 მ ნოვგოროდში ეს ტბა სიღრმით პირველია, სიდიდით 6-ე მესამე. მდიდარია თევზით.

1653 წლიდან სელიგერის ტბა — ივერთა მონასტრის წმინდა ტბად იწოდება. ვალდაი პატარა ადგილია მოსკოვ-ლენინგრადის შუაგზაზე, რომელიც 1770 წელს ეკატერინე II ბრძანებით ქალაქად დამტკიცდა, მაშინ იქ 1950 მაცხოვრებელი იყო, ამჟამად კი — 30.000. ისინი შრომობენ მექანიკურ, ლითონდამამუშავებელ და თევზის ქარხნებში. ვალდაი ცნობილი იყო აქაური ოსტატების მიერ დამზადებული ეტლის ცხენების ზარებით.

მონასტრის ასაშენებლად ნიკონმა საუკეთესო ოსტატებს მოუყარა თავი ვალდაიში. ბელორუსიიდან ჩამოსულ ოსტატ ბერებს შორის იყო დიდოსტატი ავერკი მაკევი (იგი ქართული ამბერკი მაყაშვილი უნდა იყოს. XVII საუკუნეში ქართველებისათვის ძნელბედობის დროს საქართველოდან გაბიზნულა. ბ.კ.). იქნებ სულაც ამბერკი მაყაშვილის ამხანაგებიც საქართველოდან წასული ოსტატები იყვნენ. ისინი ასწავლიდნენ ბერებს ხეზე კვეთას ტაძრის შესასვლელ მუხის კარებზე. ეს ორნამენტები ახლაც არის მონასტრის კარებზე და სრულებით არ გვანან რუსული ხელოვნების



საქართველოს
წიგლმწოდველობა



ვალდიის ივერთა მონასტერი
შიძინების ტაძარი

Иверский монастырь на Валдае



ნიმუშებს. საუცხოო ფერთა თამაშით გაფორმებულია ფასადები, სარკმლები და სხვ.

ა. მაკევემა ააშენა აგრეთვე სატრაპეზო 11,6×25,2 გრანდიოზული ბოძით (შუაში), მისივე აშენებულია მთავარი ტაძარი — მიძინების სახელზე და სამრეკლოც, რომელზედაც 13 ზარი გუგუნებდა.

ა. მაკევეი იყო ამ მშენებლობის სული და გული. იგი გრძნობდა მშენებლობის მონუმენტურ ბუნებას. მცირეოდენი მასალითაც აღწევდა დიდ პარმონიულ ამბლერბულ სილამაზეს. მის შემოქმედებაში არ არის დეტალების სიუხვე, მაგრამ შინაგანი ეფექტი ძალიან დიდია. მის მიერ შექმნილი არქიტექტურული სახეები თავისი შინაარსითა და მხატვრული სრულყოფით მნახველთ აღაფრთოვანებენ.

ბელორუსიიდან გადმოსასვლელი ბერები მუშაობდნენ აგრეთვე ხის კვეთაზე. ნემონახულია ნაწილობრივ, ტაძრის შესასვლელ კარებზე ბერების ნამუშევარი ხეზე კვეთილობა. მათ უნუშავიათ ქარგაზე, ფერწერაზე და ა. შ. მათ აღმოაჩინეს კუნძულზე კარგი თიხა და ღუმელების დამზადება დაიწვეს.

მეფე ალექსანდრე მიხეილის ძემ მონასტერს გადასცა ათეული სოფელი, მათ შორის სამეფო სოფელი ვალდაი. 10 წლის განმავლობაში ხელოსნები, ვაჭრები, მეთევზეები ამრავლებდნენ მონასტრის ქონებას, რას შედეგადაც იგი გადაიქცა ერთერთ უმსხვილეს საფეოდალოდ, და ექსპლუატაციას უწევდა თავის ყმებს. ივერიის ღვთისმშობლის მონასტერი რუსეთში მერვე იყო, ხოლო ნოვგოროდში მეორე იგი ფლობდა 7.113 ყმასა და 4.275 დღიურ სახნავ მიწას. მონასტრის კედლის სიგრძე 1.052 მ. აღინდელი 9 კოშკიდან დღეისათვის 5 დარჩენილი.

ნიკონმა ათონის ივერთა მონასტრიდან მიიღო, როგორც ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი, აგრეთვე ივერიის მონასტრის გეგმა, რომლის მიხედვითაც აშენებდა იგი რუსეთში ივერიის მონასტერს.

ათონის ივერთა მონასტრის წინამძღოლმა პახომმა შეკრიბა მონასტერში 365 ძმა, იგალობეს, ილოცეს, გაბანეს ივერიის ღმრთისმშობლის ხატი წმ. წყლით, ხატმწერალმა ბ-ნ იაშვილმა რომანოვმა ისე კარგად გადმოხატა ხატი, რომ ვერ გააჩვენდით ასლს დედნისაგან. აღნიშნული ხატი მიიტანეს მოსკოვში. ამავე ხატის ასლი მოსკოვში დაიტოვეს წითელ მოედანზე ნიკონის ტაძარში, (ხატის მინდორზე გამოსახულია 12 მოციქული), იქიდან კი ვალდაიში ხატი გააცვია ოთხმა მოსკოველმა წმინდანმა: პეტრემ, ალექსეიმ, იონამ და ფილიპემ. 1654 წლის 26 თებერვალს ზარების რეკვით იგი საზეიმოდ მიიტანეს ვალდაიში. (ვალდაის ტბას დაარქვეს სახელი — წმინდა ტბა) ათონის ივერთა მონასტრის გეგმით აგებულ ვალდაის ივერთა ღმრთისმშობლის ტაძარში წინამძღვრად დანიშნეს დიონისე I და მისცეს მას გუჯარი, რომლითაც გაათავისუფლეს იგი გადასახადებიდან და დაუმორჩილეს მონასტერზე მიწერილი გლეხები. ნიკონმა ხატი შეამკო ორმოცდაოთხი ათას მანეთად (ჯერცხლის) ღირებული სამკაულით — ოქროთი, ალმასის თვლებით და მარგალიტებით. თავისივე თანხით ჩამოასხმევინა 1000 ფუთიანი ზარი და ჩამოჰკიდა ტაძარში. მალე ძმათა რიცხვი ტაძარში 200-ით გაიზარდა. 1654 წელს სამონასტრო ვლახებიდან 10—15 მსროლელი შეარჩიეს მონასტრის გუშაგებად.

ნიკონი დიდ ყურადღებას აქცევდა მონასტრის დაცვას. მან მოამარაგა მონასტერი ზარბაზნებით, თოფებითა და 200 მსროლელით. გარდა ამისა გლეხებიდან არჩევდა ყოჩაღ ბიჭებს და აყენებდა ქვემეხებთან. მეფემ არუქა ივერთა მონასტერს დაცვისათვის პირველად ორი ქვემეხი, მეორედ 16. თითოეულ სალდათს მონასტრის

დაცვისათვის აძლევდნენ ორ-ორ მანეთს.

ნიკონმა ბელორუსიიდან (из Хутиского Спасо-Варлаамиева монастыря) «Учебный часослов», «Рай мысленный», «Сказание об Иверской иконе», «Сказание о созидании Онежского крестного монастыря» და სხვა.

აღნიშნული სტამბა ივერიის ტაძარში მოქმედებდა 1657 დან 1665 წლამდე. სტამბაში მუშაობდნენ ბერები. შემდეგ სტამბა გადაიტანეს ახალ იერუსალიმის ტაძარში მოსკოვის მახლობლად.

1730 წლისათვის ივერთა მონასტერში იყო:

1. ქვის ეკლესია ხუთი გუმბათით;
2. ნათლილების (ღვთის გამოცხადების) ეკლესია (ქვის შენობა)
3. იაკობ ბორაეციკის ქვის ეკლესია სასწელოთი (საავადმყოფო)
4. წმ. ფილიპე მიტროპოლიტის კარის ეკლესია (ხის შენობა)
5. სამრეკლო საათით (ქვის)
6. წინამძღვრის სენაკი (ქვის)
7. მოღარის სენაკი (ქვის)
8. ორსართულიანი სენაკი (ბერების)
9. სენაკი ბაღში.
10. მაცივარი (ხის შენობა).
11. მონასტრის 9 კოშკი ხის გაღვენით, მახლობლად საქონლის სადგომი ხის შენობა და მსახურთა სახლი.

დღეისათვის ივერთა მონასტერში არის

1. მიძინების ტაძარი ხუთგუმბათიანი — XVII ს. არქიტექტურა, 4 ბოძით, რომელსაც ეყრდნობა ტაძარი. ირგვლივ მიშენებული აქვს ტალანი — ჩრდილო და სამხრეთ მხარეს ორსართულიანი შენობა. ერთში ბიბლიოთეკაა, მეორეში — ეკლესიის შედმეტი ნივთები. ტაძრის კანკელი ხუთსართულიანია, ლამაზი ნახატებით, ვენახი ვაზის მტვენებით ქართულ ყაიდაზე. იქვე საკურთხეველი მოხატულია სახარების ისტორიის სცენებით. საკურთხეველთან მოწყობილია ეკვდერი (სტოა).

2. მონასტრის ჩრდილო მხარეს ღვთის გამოცხადების ტაძარია (ქვის შენობა). რომელიც უკავშირდება ძმათა სატრაპეზოს.

3. მონასტრის სამხრეთ მხარეს სამრეკლოსთან მიშენებულია სამსართულიანი კორპუსი, წინამძღვრისა და ძმათა სენაკებით.

4. სამრეკლო (ქვის შენობა ქანდარით) მოოქრული ჯვრით;
5. სამრეკლოს მარცხენა მხარეს ორსართულიანი ქვის ფლიგელია ძმათა სენაკებით.
6. მონასტრის დასავლეთ მხარეს მთავარანგელოზის კარების მარჯვნივ ორსართულიანი კორპუსია ძმათა სენაკებით.
7. მონასტრის კარიბჭესთან მთავარანგელოზის ეკლესია (ქვის შენობა).
8. იქვეა კარიბჭესთან მოსკოვის მიტროპოლიტის ფილიპეს ეკლესია (ქვის შენობა).
9. მთავარანგელოზის ეკლესია დაკავშირებულია საპატრიარქო კოშკთან და ორსართულიან შენობასთან, რომელშიაც სასტუმრო სენაკებია.
10. სამხრეთ დასავლეთით კოშკთან ერთსართულიანი ფლიგელია (ქვის შენობა) მომსვლელ მლოცველთათვის.
11. ჩრდილო-დასავლეთით კოშკთან მოთავსებულ ფლიგელში (ქვის შენობა)



ვალდაის ივერთა მონასტერი
მიძინების ტაძარი

Иверский монастырь на Валдае.

ბაში) საკინიბო და ეტლების ფარდულია.

12. მონასტრის ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში წმინდა იაკობი ბოროვიცკის ეკლესია დგას (ქვის შენობა), რომელიც უკავშირდება ორსართულიან საავადმყოფო კორპუსს (ესეც ქვის არის).

13. მონასტრის 1052 მეტრიან ზღუდეზე დარჩენილ ექვსი კოშკიდან შესანიშნავია საპატრიარქო კოშკი, რომელშიც მონასტრის სტამბა იყო მოთავსებული.

14. მონასტრის ჩრდილო კედელთან არის აბანო და შეშის ფარდული.

15. სამხრეთით — ბოსელი, ეზო ძროხებისათვის. იქვეა ორსართულიანი შენობა სენაკებით, 1 სართული ქვის არის მეორე კი — ხის

16. ამას გარდა ვალდაიში (კალაქში) მონასტერს აქვს ორი სახლი მოსამსახურეთათვის.

მონასტერში ინახება ივერთის ღვთისმშობლის მოოქრული ხატი, ხოლო ნამდვილი ასლი ათონის ივერთა სასწაულმოიმედი ხატისა ზომით 1,33×92,5 სმ. მიძინების ტაძრის მარჯვენა ბურჯის სახატეში.

ისევე როგორც ათონში აქაც ხატის დღესასწაული დაწესებულია ყოველწლიურად ორშაბათობით, 25 მარტსა და 21 მაისს აქვეა ტაძრის ბურჯებს შორის საღაროს ქვემოთ შენახული სხვადასხვა წმინდა ნაწილები პატრიარქის ნიკონის შეწირული ჯვრცხლის ნივთები, სანათურები, თევზები, კოვზები, ჭურჭელი და სხვ.

1704 წელს მიძინების ტაძარში გაჩენილმა ხანძარმა დააზარალა მონასტერი,

